ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

21 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
პატრიარქები
8 ლარი

სამშაბათი, 28 მაისი, 2013 №124 (6125) ფასი: 30 თეთრი

შიდა ქართლში რუსებმა საზღვარი კიდევ 300 მეტრით გადმოსწიეს გვ.4

შსს ამ ფაქტს საერთაშორისო დონეზე გააპროტესტებს

„გამოიძიეთ გიორგი ჭანტურიას მკვლელობა!“

მამუკა გიორგაძემ და გიორგი ჭანტურიას შვილმა პროკურატურას მიმართეს გვ.3

გენადი მამაგულაშვილი: „ქარელის სოფლებს რუსები ეპატრონებიან“ გვ.5

დასავლეთი მერაბიშვილს მეორე ტიმოშენკოდ არ აქცევს გვ.2

ბიძინა ივანიშვილი: „საქართველოში დემოკრატია ფასადური აღარ არის“ გვ.2

დღეს ვანო მერაბიშვილის მხარდამჭერი აქციები გაიმართება გვ.3

ქუთაისში პაციენტები გაიფიცნენ გვ.6

უმუშევრობის დონე უმნიშვნელოდ შემცირდა გვ.6

ჩიორა თაქთაქიშვილის შეურაცხყოფისთვის ბრალდებულებს პირობითი მსჯავრი შეეფარდათ გვ.3

ადვოკატების უფლებები ისევ შეზღუდულია გვ.5

ანზორ წოწონავა: „დევნილთა სასიცოცხლო ინტერესები ერთად უნდა დავიცვათ“ გვ.4

ISSN 1987-9385

5 მიხეილ სააკაშვილი: „ამერიკელი გენერალი დიდი აღფრთოვანებით მიყვებოდა ქართველების გმირობაზე“

7 რაში ხარჯავდა თავდაცვის სამინისტრო ფულს

6 ჭიათურა-მარგანეცი გაიფიცება?

7 ამერიკის მართლმადიდებელი საქართველო

დასავლეთი მერაბიშვილს მეორე ტიმოშენკოდ არ აქცევს

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ აკაკი ასათიანთან

– ბატონო აკაკი, სააპელაციო სასამართლომ ვანო მერაბიშვილი კვლავ პატიმრობაში დატოვა. ბოლო პერიოდია საზოგადოება აქტიურად ითხოვს სამართლიანობის პროცესის აღდგენას. თქვენი აზრით, რამდენად დაიწყო ეს პროცესი და როგორი იქნება დასავლეთის რეაქციები?

– კომპლექსური შეკითხვაა, საზოგადოებაში ეს მოთხოვნა იყო და ძალიან ბევრი კითხვა არსებობდა: რა ხდებოდა, რატომ ჭიანურდებოდა ეს პროცესი. გახსოვთ, უამრავი საპროტესტო აქცია გამართულა მისი დაკავების მოთხოვნით, თუნდაც მარტო გირგვლიანის საკითხი რომ ავიღოთ და მეც არაერთ ასეთ აქციაში მიმიღია მონაწილეობა. ჩემი აზრით, მარტო მოთხოვნაში კი არ არის საქმე, რომ ხალხში ეს მოთხოვნაა, ეს მოთხოვნა შეიძლება სამართლიანიც იყოს და გაზვიადებულიც. მე მგონია, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს მთელი რიგი საკითხები, კითხვის ნიშნები მოიხსნას, ან ასე ან ისე. ამის საუკეთესო გამოსავალია გამოძიება, გამჭირვალე, ობიექტური და ობიექტური სასამართლო. მე იმედი მაქვს, რომ ასეც იქნება.

– საუბარია, რომ ღარიბაშვილს დათა ახალაიამ მიაწოდა საკმაოდ სერიოზული კომპრომატები ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ და დასავლეთისთვისაც ცნობილია ყველაფერი და ამიტომ არ აკეთებენ მკაცრ განცხადებებსო. ეს ყველაფერი რამდენად რეალურად გეჩვენებათ?

– მე კონკრეტული ინფორმაციები არა მაქვს, მე შემიძლია თქვენთან ერთად ვიმსჯელო იმ განცხადებების მიხედვით, რაც მანამდე კეთდებოდა დათა ახალიას მხრიდან, მერე ბაჩო ახალაიას ადვოკატმა ფოტოები რომ წარმოადგინა, თითქოსდა მერაბიშვილთან დაახლოებული პირის მეშვეობით, რომ ერთ-ერთი მოწმე სადღაც ისვენებდა და ბოლოს პროკურატურის ნათქვამი, რომ დათა ახალაია თუ ითანამშრომლებს გამოძიებასთან რაღაც შეღავათები ექნებაო. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ერთად გავაკეთოთ ეს დასკვნები. სხვა რაიმე დამატებითი ინფორმაცია ამის თაობაზე მე არ მაქვს. დასავლეთი ახლა მერაბიშვილის საქმეს ტიმოშენკოს მასშტაბებს არ მისცემს.

– თქვენი აზრით, რატომ დაიკავეს მერაბიშვილი ეკონომიკური ბრალდებით, როცა გაცილებით მძიმე ბრალდებებზე საუბრობენ? რა სტრატეგია იყო ეს?

– ალბათ ეს საკითხი უფრო გარკვეული და გამოკვეთილი იყო. სტრატეგიას რაც შეეხება, აქაც ვარაუდის დონეზე შეგვიძლია ეს დავუკავშიროთ იმ მოვლენებს, რაც 17 მაისს მოხდა და ერთგვარი რეაქციაც იყო მემგონი ხელისუფლებისგან, რომ რაღაცა ნაბიჯი დაძრულიყო. ეს არ იყო მარტო სექსუალურუმცირესობათა დამცველი აქცია და კონტრაქცია. ერთგავრი დაგუბებული უკმაყოფილებაც გამოვლინდა ხალხის მხრიდან.

– ბატონო აკაკი რამდენად დაიძრა პროცესი და უნდა ვივარაუდოთ თუ არა, რომ მერაბიშვილს სხვებიც მიუჯდებიან გვერდით? თქვენი აზრით, რამდენად ითანამშრომლებს მერაბიშვილი გამოძიებასთან?

– ამაზე ღიად ლაპარაკობენ უკვე და ყველა ელის, რომ საკმაოდ მაღალი რანგის პირები შეიძლება ვიხილოთ ამ მდგომარეობაში ყოფილი ხელისუფლებიდან. თავისთავად გასახარელი კი არ არის ეს, მაგრამ ხომ ნახეთ ხალხში რამხელა სიხარული იყო ამასთან დაკავშირებით. ამაზე უნდა დაფიქრდნენ. ისე არ უნდა იმოქმედო, რომ ასეთი რეაქცია იყოს ხალხში. ეს უნდა გააცნობიეროს ნაციმოძრაობამ და უნდა მიხვდეს, რომ დროა სხვა პოზიციები დაიკაონ და გადაიფასონ განვლილი მოქმედებები.

– ასევე საუბრობენ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხზეც, რამდენად დადგება უახლოეს პერიოდში მისი პასუხისმგებლობის საკითხიც?

– უახლოესში არ ველი და მერე არ ვიცი. მეეჭვება, რომ უახლოეს პერიოდში დადგეს სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი. ჩვენ ვიცით, რომ მიმდინარეობს გამოძიება რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება დაიკითხოს კიდეც, მთავარია, რომ ძალიან ღია იყოს ეს ყველაფერი. ვინც მართალია, იმან თავისი სიმართლე დაამტკიცოს, თუ ვინმე მტყუანი მისი ბრალეულობა დამტკიცდება და ერთხელ და სამუდამოთ ჩავდგებით ამ კალაპოტში. სწორედ ეს არის ევროპული დემოკრატია და სამართალი, ეს ნურავის ნუ უკვირს. ეს არც გასახარელია, არც საწყენია და არც გასაპროტესტებელია, ყველგან ასეა.

– ბევრი საუბრობს, რომ სერიოზული ვარდნა დაიწყო ოცნების რეიტინგმა, ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, ოცნებას ძალიან სჭრდება საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა და სწორედ ამ პერიოდში გადაიდგმება ბევრი რადიკალური ნაბიჯიო... თქვენ რამდენათ იზიარებთ ამ მოსაზრებებს?

– რეიტინგი დაიწევდა, ეს არის ბუნებრივი სრულიად. შეუძლებელია, ხელისუფლება ინარჩუნებდეს ისეთ მაღალ რეიტინგს, რისი საშუალებითაც მან შეძლო მართლაც და სასწაულებრივი გამარჯვება. იმაზე გაცილებით მეტი იყო მხარდაჭერა, რაც დაფიქსირდა არჩევნებში და იმდენად მეტი იყო, რომ ეს მაინც დაფიქსირდა. შეუძლებელი იყო ამ რეიტინგის შენარჩუნება და ეს ნაძალადევის შუალედურმა არჩევნებმაც დაადასტურა. ალბათ იფიქრებენ ამაზე, მაგრამ სხვა რამეებზეც უნდა იფიქრონ. მე მგონია, რომ იგივე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით უნდა გადაიდგას რაღაც ნაბიჯები, სულ ცოტა ის მაინც უნდა ვიცოდეთ, რა მიმართულებით შეიძლება იაროს ამ მხრივ ხელისუფლებამ და ამაზე ვიმსჯელოთ. სოციალურ სფეროში ნამდვილად გადაიდგა ნაბიჯები, ამას ვერ ვუარყობთ, თუმცა ეს ნაბიჯები ბოლომდე უნდა მივიდეს. ეკონომიკაში არის სერიოზული პრობლემები და ბევრი რამეა გასაკეთებელი. მარტო იმის მტკიცება და გამეორება, რომ ფასების და გადასახადების შემცირება მოხდა საქმეს არ შველის.

– ჩვენ არჩევნების თემასაც შევეხეთ და ამის შესახებაც ვისაუბროთ. როგორც ცნობილია, სახალხო კრებამ ნინო ბურჯანაძის კანდიდატურა წამოაყენა საპრეზიდენტო არჩევნებზე, ასევე ცნობილია, ოცნების კანდიდატიც, ნაციონალები ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ... თქვენი აზრით, რა შანსები აქვთ ოპოზიციურ კანდიდატებს და რამდენად მრავლად იქნებიან ისინი?

– სიტუაცია ისეთია, რომ ძნელი გამოსაცნობია რა იქნება. კანდიდატურას აუცილებლად დაასახელებენ ნაციონალებიც, ასევე დასახელდა ბურჯანაძე, ნათელაშვილი დასახელდა. ეს ანგარიშგასაწევი ფიგურებია ყველა თვალსაზრისით, კიდევ ბევრი ფიქრობს ერთობლივათ კანდიდატურის წამოყენებას, ასევე ცალ-ცალკეც. მგონია, რომ საინტერესო არჩევნები იქნება, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს ის ფუნქციები აღარ ექნება, რაც ჰქონდა.

– საუბარი იყო, რომ ოპოზიციას საერთო კანდიდატი ეყოლებოდა, რაზეც ვერ შეთანხმდა ოპოზიცია?

– ჯერჯერობით ვერ შეთანხმდა და შეიძლება ვერც შეთანხმდეს, მაგრამ არაუშავს. ეს არ არის ისეთი საკითხი, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ეს დაემსგავსება ერთგვარ რეიტინგულ გამოკითხვას. საპრეზიდენტო არჩევნები იქნება უფრო მომავალ არჩევნებზე გათვლილი. თუმცა მე მაინც მგონია, რომ მნიშვნელობა აქვს როგორც არჩევნებს, ისე ვინ იქნება მომავალი პრეზიდენტი, რა პოზიცია ექნება მას, რამდენად შეძლებს ის ყველასთან საერთო ენის გამონახვას. მე კიდევ ვიმეორებ, რომ ძალიან კარგი პიროვნებაა მარგველაშვილი, მაგრამ თუ ოცნება მთლიანად შეკრავს მთელ ხელისუფლებას, სრულ ძალაუფლებას აიღებენ. მეორე მხრივ ნაციონალების გამარჯვება, რაც ნაკლებად არის მოსალოდნელი, მაგრამ ამას თუ მაინც დავუშვებთ, ეს კვლავ კინკლაობის რეჟიმში დაგვტოვებს. სასურველი იქნებოდა, რომ პრეზიდენტი ყოფილიყო მოთანამშროლე ხელისუფლებასთან და ამავე დროს, ერთგვარი გამაწონასწორებელი, არბიტრი შიდა პოლიტიკურ პროცესებში, აფხაზებთან, ოსებთან. სრული თანამშრომლობა უნდა იყოს ყველა საკითხში, როცა პრეზიდენტი მიდის სადღაც, ეს შეთანხმებული უნდა იყოს, რის გაკეთებას აპირებს, რაზე ამახვილებს ყურადღებას.

– საუბარია, რომ მარგველაშვილი მთლიანად ივანიშვილზე იქნება დამოკიდებული და მის გარეშე ნაბიჯს არ გადადგამსო...

– ბუნებრივია, ასე იქნება და ჩვენ დავრწმუნდებით ამაში, აბა როგორ იქნება ის ოცნების კანდიდატია. მარგველაშვილს მე ნამდვილად ვერ ვუსაყვედურებ ამას, აბა რა ქნას, დაუპირისპირდეს ოცნებას? მაშინ ისევ ის გაგრძელდება, რაც აქამდე იყო. კინკლაობა უნდა დამთავრდეს. ეს მარტო მოსაბეზრებელი კი არ არის, ძალიან ბევრ რამეს უშლის ხელს, შიგნითაც და გარეთაც. ალბათ აჯობებდა ნეიტრალური კანდიდატი გვყოლოდა და იმას გაემარჯვა.

– ბურჯანაძის შანსები მცირეა ამ შემთხვევაში?

– ქალბატონ ნინოს უფრო ხისტი პოზიცია აქვს და შეიძლება ამან ცოტა პრობლემა შექმნას. მე ვფიქრობ, ცოტა გაძნელდება შუამავლის და არბიტრის როლის შესრულება შეძლოს.

ბიძინა ივანიშვილი: „საქართველოში დემოკრატია ფასადური აღარ არის“

გამოცემა „ეუობსერვერ.კომ“ 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის სიტყვას აქვეყნებს. პრემიერის განცხადებით, ის, ვინც 17 მაისს ძალადობა ჩაიდინა, განურჩევლად მისი სოციალური კუთვნილებისა და შეხედულებებისა, – აუცილებლად დაისჯება.

„გასულ პარასკევს მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალყურს თბილისში განვითარებულ მოვლენებს. ლგბტ აქტივისტების მცირერიცხოვან თავყრილობას 20 000-კაციანი საპროტესტო მსვლელობა დაუხვდა, რის გამოც სამართალდამცავები იძულებული გახდნენ გაერიდებინათ ისინი დაპირისპირების ადგილიდან. გარდა იმისა, რომ ამ ძალადობრივმა დაპირისპირებამ ცხადყო წინააღმდეგობა, რომელიც საქართველოს საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებს შორის არსებობს, მან ისიც დაგვანახა, რომ საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს ცვლილებები. ქვეყნის განვითარების გზა ყოველთვის უეკლო არ არის, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება არ უღალატებს თავის დაპირებას და უზრუნველყოფს საქართველოს ყველა მოქალაქის უფლებათა დაცვას.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრი, შეძრწუნებული ვარ 17 მაისს მომხდარი მოვლენების გამო. ეს იყო უხამსობა, რომელიც არ შეშვენის შემწყნარებლობის ეროვნულ და ქრისტიანულ ტრადიციებს საქართველოში. დემონსტრაციების ზოგიერთი მონაწილის მიერ ჩადენილ ძალადობას, პოლიციელთა და ჟურნალისტთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ჩათვლით, ვერაფერი გაამართლებს. უკვე დაკავებულია რამდენიმე პირი და მიმდინარეობს გამოძიება ყველა დამნაშავის სამართალში მიცემის უზრუნველსაყოფად. იყო სასულიერო პირი, – ეს არ არის ალიბი. დაისჯება ყველა, ვინც ჩაიდინა დანაშაული, დაარღვია კანონი, მოუწოდა ძალადობისაკენ ან მიიღო მასში მონაწილეობა.

მადლობას მოვახსენებ ჩვენს ევროპელ მეგობრებს ამ საქმეში მხარდაჭერისთვის, მათ შორის -— თომას ჰამარბერგს (ევროკავშირის სპეციალურ მრჩეველს), რომელიც იმყოფება საქართველოში ადამიანის უფლებების სფეროში ვითარების შესაფასებლად და რეკომენდაციებს უწევს ხელისუფლებას მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით. მე, როგორც პრემიერ-მინისტრი, ძალ-ღონეს არ დავიშურებ იმისათვის, რომ განვახორციელოთ აუცილებელი რეფორმები ევროკავშირისა და საერთაშორისო დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად.

მართლაც, გასული კვირის მოვლენები იყო საქართველოში მიმდინარე ცვლილებების ნიშანი, რამაც არა მხოლოდ აღშფოთება გამოიწვია, არამედ ახალი საქართველოს მომასწავებელიც გახდა.

ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის წინ, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ გარკვეულმა წრეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს იმას, რომ მე ერთმნიშვნელოვნად მხარს ვუჭერდი ყველა უმცირესობის თანასწორუფლებიანობას, სექსუალური უმცირესობების ჩათვლით. თუმცა, მე ისიც განვაცხადე, რომ საზოგადოება ნელ-ნელა შეეჩვევა ამ ახალ რეალობას, რომელიც ყველას თანასწორობას გულისხმობს. ეს არ არის ქვეყნისთვის უკან გადადგმული ნაბიჯი, ეს ქვეყანაში ათეულობით წლების პოლიტიკური რეპრესიების შედეგია, ეს იმის ნიშანია, რომ ქვეყანაში მტკივნეულად მიდის დემოკრატიული რეფორმები.

საქართველოს ხელისუფლება ვერაფერს დაუთმობს მათ, ვინც ითხოვს თავისუფალი შეკრებისა და გამოხატვის უფლების შეზღუდვას სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. საქართველოს კონსტიტუცია ამ უფლებას ანიჭებს საქართველოს ყველა მოქალაქეს – განურჩევლად, ხოლო ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თანასწორობის დაცვა და დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა. ხელისუფლება კვლავ გაუწევს სრულ მხარდაჭერას საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც მზადდება და რომლის მიზანიცაა დისკრიმინაციასთან გამკლავება. კანონის მიღების შემთხვევაში კი, ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთმისი მყისიერი და ეფექტიანი განხორციელებისათვის.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გასულ კვირას გამართული დემონსტრაციები ადასტურებს ახალგაზრდა დემოკრატიის არსებობას საქართველოში – ქვეყანაში, რომელიც გასული წლის ოქტომბრის შემდეგ იმართება არა როგორც პოლიციური სახელმწიფო, არამედ როგორც სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს გამოხატვისა და შეკრების უფლებათა დაცვას. არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საერთაშორისო დამკვირვებლებმა დაადასტურეს, რომარც ერთი ხელისუფლების პირობებში არ ყოფილა სამოქალაქო საზოგადოება და ოპოზიციური აზრის გამოხატვა ისე ხელშეწყობილი, როგორც ჩვენი ხელისუფლების პირობებში, და ეს ხდება საპარლამენტო და სამთავრობო არხებით. მიუხედავად ამისა, ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ეს არხები და უკეთესად დავიცვათ ყველა უმცირესობის პოზიცია.

გარდა ამისა, პოლიციის როლი გადამწყვეტია საქართველოს მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების დაცვის საქმეში. საქართველოს შეუძლია იამაყოს თავისი პოლიციელების გამბედაობით, პროფესიონალიზმითა და იმ ჯანსაღი დამოკიდებულებით, რომელიც მათ გამოამჟღავნეს 17 მაისს უკიდურესად დაძაბულ და მათ მიმართ აშკარად მტრულ ვითარებაში. ათასობით მძვინვარე დემონსტრანტის გარემოცვაში, რომელთა რაოდენობაც ბევრად აღემატებოდა პოლიციელთა რიცხვს, მათ მიიღეს ლგბტ საზოგადოების მცირერიცხოვანი აქციის მხარდამჭერთა ევაკუაციის გონივრული გადაწყვეტილება და ამით თავიდან იქნა აცილებული გაცილებით მეტი ზიანი.

დემოკრატია საქართველოში დღეს აღარ არის ფასადური. საქართველოს მოქალაქეებმა აირჩიეს ჩვენი ხელისუფლება, რადგან მათ ნამდვილი დემოკრატიის დამკვიდრება სურთ. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა ბევრი რეფორმის განხორციელება, რაც არც ისე იოლი იქნება და შეიძლება, არც-პოპულარული. მაგრამ მჯერა, რომ ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს ჩვენი ევროპელი მეგობრებისა და მრჩევლების მხარდაჭერის იმედი ამ ცვლილებების განხორციელების საქმეში და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეჭვი არ მეპარება, რომ საქართველოს მოქალაქეები ყოველთვის ევროპული ღირებულებებისა და ევროინტეგრაციის ერთგული იქნებიან“ – ნათქვამია გამოცემა „ეუობსერვერ.კომ“-ის ვებ-გვერდზე.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გამოიძიეთ გიორგი ჭანტურიას მკვლელობა!“

მამუკა გიორგაძემ და გიორგი ჭანტურიას შვილმა პროკურატურას მიმართეს

თამარ ნინიძე

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას მკვლელობის ხელახალი გამოძიების თხოვნით გუშინ მთავარ პროკურატურას გიას შვილმა გიორგი ჭანტურიამ და სახალხო პარტიის თავმჯდომარემ და გიას თანამებრძოლმა მამუკა გიორგაძემ მიმართეს. სავარაუდოდ, ერთი თვის ვადაში პროკურატურა განიხილავს ამ თხოვნას და პასუხს გასცემს გია ჭანტურიას ოჯახსა და მეგობრებს, დაიწყებს თუ არა ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის ხელახალ ძიებას. „ახალი თაობა“ მამუკა გიორგაძეს ამ საკითხთან დაკავშირებით დაუკავშირდა.

– ეს საქმე თავის დროზე არ იყო გამოძიებული, გამოძიება თითქმის არ ჩატარებულა მაშინდელი პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, შემდგომ ცოტა ხანში დაპატიმრებულების შეწყალებაც განხორციელდა და ჩაიფარცხა ეს საქმე. გამოძიების პროცესში როგორც პროცესუალური, ისე არსობრივი შეგნებული შეცდომები იქნა დაშვებული, რათა არ წარმართულიყო საქმე სერიოზულად. თუნდაც ის, რომ მე, როგორც პარტიის თავმჯომარის მოვალეობის შემსრულებელი, დაკითხული არ ვიყავი, არათუ სასამართლოზე მიწვეული, არ იყო დაკითხული მაშინდელი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები, თვით ედუარდ შევარდნაძე და მაშინდელი უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე, რომელიც აცხადებდა და ახლაც ამბობს, რომ ფლობდა ინფორმაციას ჭანტურიას მკვლელობასთან დაკავშირებით. ამის მიღმა არ არის გაცემული მთავარ კითხვებზე პასუხი, რა იყო მოტივი და მიზანი ამ დანაშაულის. ეს ხომ აღიარებულია როგორც პოლიტიკური მკვლელობა, საკამათო აქ არაფერი არ არის, მაგრამ დღესაც არ ვიცით, ვის ინტერესებში შედიოდა ეს მკვლელობა, ჩვენი პარტიის განვითარების შეფერხება, რომელიც იყო ერთ-ერთი წარმმართველი ეროვნული მოძრაობის. საქართველოს უახლესი ისტორია ამ მკვლელობით რომ შეიცვალა, ამას ყველა ადასტურებს, მაგრამ რისი შეცვლა უნდოდათ, რას ისახავდნენ მიზნად, თუ გვსურს, რომ საქართველო უფრო განვითარებული იყოს, ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს. შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმის დროს არ იყვნენ დაინტერესებული, რომ ეს გამოძიება განხორციელებულიყო. პროკურატურას თუ აქვს სურვილი, რომ აღდგეს სამართლიანობა, რომ გამოიჩინოს სახელმწიფოებრივი ნება, ეს უნდა იყოს გამოძიებული. თუ დღევანდელი ხელისუფლებაც არ შეეცდება ამ საქმის გამოძიებას, მაშინ ეჭვქვეშ დადგება თავად ამ ხელისუფლების საქართველოსადმი კეთილსინდისიერი მიდგომა, რაც ნამდვილად არ მინდა, რომ ასე იყოს.

– გაქვთ იმის იმედი, რომ გამოაშკარავდება ყველაფერი, დიდი დრო გავიდა, დამკვეთებზე ვინმე გავა, ან დადგინდებიან ეს პირები? საუბრობდნენ, რომ ეს იყო დაკვეთილი მკვლელობა და დაინტერესებული მის განხორციელებაში რუსეთი იყო?

– აქ ორი აზრი არ არსებობს, რა თქმა უნდა, გია ჭანტურიას მკვლელობის შემდეგ საქართველოში პოლიტიკური ვექტორი შეიცვალა, იმ ძალის განვითარების შეფერხებით, რომელსაც მაშინ მე წარმოვადგენდი და გიორგი ჭანტურია ხელმძღვანელობდა, იბრძოდა რუსული ვექტორის შეცვლისთვის და იმისთვის, რომ საქართველო დემოკრატიის გზაზე გასულიყო, ცივილიზებული სამყაროს გზაზე გასულიყო და დღეს სწორედ აქტუალურია ამ თემაზე საუბარი. იმედზე კი აღარ არის საუბარი, არამედ აუცილებლობაზე. საჭიროა იმისთვის, რომ ქვეყანაში გაანალიზდეს ვითარება. ეს ჩვენი უახლესი მემკვიდრეობაა. აქედან გამომდინარე ყველამ თავისი პოზიცია უნდა დააფიქსიროს ამ საკითხებთან დაკავშირებით და საბოლოოდ უნდა გაირკვეს. ქვეყანას სჭირდება და იმდენად მის შვილს არ სჭირდება, რომელმაც იცის, რომ ღირსეული მამა ჰყავდა და ეს ჩვენ მის თანამებრძოლებს იმდენად არ გვჭირდება, ეს სჭირდება მხოლოდ ქვეყანას. მან უნდა მიიღოს ობიექტური პასუხი და, ბუნებრივია, ხელისუფლებამ უნდა დაადასტუროს თავისი ერთგულება ქვეყნის მიმართ. 26 მაისის აღნიშვნა ვერ მოხდა ისეთ სათანადო სიმაღლეზე, რომელსაც დღევანდელი საქართველო მოითხოვს. სხვას რომ თავი დავანებოთ, როგორც წინა რეჟიმი, დღევანდელი ხელისუფლებაც მოერიდა კონტაქტს ეროვნული მოძრაობის უბრწყინვალეს წარმომადგენლებთან. 26 მაისი ვის მხრებზეც გადავიდა, ვინც სისხლი დაღვარა, ვინც ოფლი დაღვარა, ვინც ჯანმრთელობა შესწირა, არც ერთი სიტყვა, არც ერთი მადლობა მათ მიმართ არ ყოფილა ნათქვამი. როგორ შეიძლება 26 მაისი გვიყვარდეს და არ გვიყვარდეს ის ხალხი, ვინც ეს დღე განაპირობა. არც ერთი ღონისძიება არ მიძღვნილა თუნდაც მერაბ კოსტავასთან მიმართებაში, გია ჭანტურიასთან, ზვიად გამსახურდიასთან, ზურაბ ჭავჭავაძესთან მიმართებაში. ეს ხალხი ერთმანეთისგან იდეური ხედვით განსხვავდებოდა, ებრძოდა ერთმანეთს, მაგრამ ისინი ხომ საქართველოსთვის იბრძოდნენ. ზუგდიდში მხოლოდ მერაბ კოსტავას ძეგლი გაიხსნა და 26 მაისი ემთხვევა მერაბის დაბადების დღეს, ვერ აუარეს გვერდი, თორემ სხვა არც ერთი ღონისძიება არ ჩატარებულა. ჩვენ სახალხო პარტიის ხელმძღვანელობა იმ წვიმაში მთელი დღე ქაშვეთის წინ ვიდექით, ხელისუფლების და მედიის წარმომადგენლებმა ჩაგვიარეს, მაგრამ არ გაუშუქებიათ ეს აქცია, იქ იყო გამოტანილი ღირსეული მამულიშვილების სურათები, სპირიდონ კედიასი, ნიკო ნიკოლაძის, დათა ვაჩნაძის, შალვა ამირეჯიბის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის და სხვა მამულიშვილების. გუშინწინ ამ ადამიანების სული არ ტრიალებდა რუსთაველზე. ეს არის სწორედ სამწუხარო. თუნდაც ოფიციალური სახელმწიფო მიღების დროს, დავუშვათ, მამუკა გიორგაძე და სახალხო პარტია ვინმეს თვალში არ მოსდის, მაგრამ ეს ხალხი ხომ დღეს ცოცხალია და სითბოს ითხოვს. ეროვნული მოძრაობის ლეგენდა მარიამ ბაღდავაძე, რომელიც დღეს ლოგინს არის მიჯაჭვული და რომელმაც შესწირა თავისი ჯანმრთელობა ამ ქვეყანას, ერთი პატარა ყვავილის ღირსი არ არის, რომ სახელმწიფომ მას მიართვას? მადლობა უნდა ვუთხრათ ამ ადამიანს. 26 მაისისთვის ამ ადამიანებმა ყველაფერი გააკეთეს. ხვალინდელი თაობა როგორ უნდა აღვზარდოთ, მხოლოდ კონცერტით და არა იმითი, რომ ვუთხრათ, თუ რა ღირსეული მამულიშვილები ჰყავდა ამ ქვეყანას? მოქმედები თუ არ მოგვწონს, რას ვერჩით წასულებს, რომლებმაც 26 მაისი გაათენეს. ამიტომ ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და დაუბრუნდეს 26 მაისის ღირებულებებს. ცეკვა-სიმღერა ქართველებს არ გვეშლება, ნებისმიერ დროს შეგვიძლია კონცერტის ჩატარება, ჩვენ ხომ იმ ქვეყნიდან გამოსვლას ვზეიმობთ 26 მაისით, რომელსაც ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებული აქვს. ეს არ ჩანდა ამ დღეს.

– მართალი ბრძანდებით, ამ ადამიანების ღვაწლის დავიწყება არ შეიძლება, თქვენ მაშინ ხელი გაიშვირეთ იგორ გიორგაძისკენ, განაცხადეთ, რომ ედპ-ს ოფისში მოსასმენი აპარატურა ჰქონდა უშიშროებას დამონტაჟებული, ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო ყველას მოსმენები, ამავე დროს ირინა სარიშვილმა სკანდალური ბრალდება წაუყენა მაშინდელ შს მინისტრ შოთა კვირაიას და ის დაადანაშაულა გიას მკვლელობაში. თქვენ ეთანხმებოდით ირინას მაშინდელ განცხადებას თუ განსხვავებული მოსაზრება გქონდათ?

– პარტიის ხელმძღვანელის მოვალეობას მე ვასრულებდი, ვაცხადებდი, რომ პასუხისმგებლობა უმაღლეს ხელისუფლებას ეკისრებოდა შევარდნაძის მეთაურობით. უშუალო პასუხისმგებელი ასეთი მნიშვნელობის ტერორისტულ აქტზე, შეუძლებელია ედუარდ შევარდნაძის გარდა ვინმე ყოფილიყო საქართველოში. საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებობდა შესაბამისი სპეცსამსახურები, რუსეთში, რომელიც ამას უზრუნველყოფდა, მაგრამ შევარდნაძის გარეშე ეს ვერ გადაწყდებოდა. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ იმ პროცესებს, რაც შემდგომ მიმდინარეობდა. 1995 წელს მოდიოდა საპრეზიდენტო არჩევნები, ჩვენ დღეს არ ვამტკიცებთ იმას, რომ არჩევნებს მოვიგებდით, მაგრამ საკამათო არ არის ის, რომ ედპ განსაკუთრებულ როლს შეიტანდა არჩევნების შედეგებში. შევარდნაძე ვერ დადგებოდა ერთი ერთზე პატიაშვილის წინააღმდეგ, შედეგი ასეთი თვალნათელი ვერ იქნებოდა, როგორც იყო მაშინ ჩვენი მონაწილეობის გარეშე. თუკი ვინმემ ისარგებლა და ვინმეს ხელს აძლევდა გია ჭანტურიას ჩამოშორება, ეს, უპირველეს ყოვლისა, ედუარდ შევარდნაძე იყო. როცა დგება საკითხი, ყველაზე მეტად ვინ იხეირა ამ მკვლელობით, დგება მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის ფაქტორი წინა პლანზე. რაც შეეხება სხვა დანარჩენებს, შევარდნაძემ მკვლელობიდან ორი კვირის თავზე, გენერალ-ლეიტენანტის რიგგარეშე წოდება მიანიჭა უშიშროების მინისტრს. იგორ გიორგაძე ჩართული იყო თუ არა ამ საქმეში, ეს ერთი თემაა, მაგრამ უშიშროების მინისტრს, რომლის ქვეყანაშიც ტერაქტი მოხდა, ორ კვირაში რომ აჯილდოებ, ეს იძლევა დასკვნების გაკეთების საშუალებას. ჩვენ ვიყავით დაპირისპირებული იგორ გიორგაძესთან და ბრალს ვდებდით იმაში, რომ პარტიის ოფისი ისმინებოდა, ეს პირველი შემთხვევა იყო პოლიტიკური მოსმენების და იქ გიორგაძე თავს იმართლებდა და სხვა მინისტრს ადებდა ხელს. არ დავაკონკრეტებ ამას, ჩვენ ისედაც დაპირისპირებული ვიყავით იგორ გიორგაძესთან და შევარდნაძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გზიდან მოვეცილებინეთ; მაგრამ პრინციპული პოზიციიდან ვერ გადაგვიყვანა და კვლავ და კვლავ ვამბობდით, რომ ამ საქმეში მონაწილეობაზე ედუარდ შევარდნაძის ფაქტორი იყო უძლიერესი. სარიშვილი თითქმის ყოველ კვირას იცვლიდა პოზიციებს, ხან კვირაიას აბრალებდა, ხან ჟვანიას, ხან მარგიანს, იმის მიხედვით, რა პოლიტიკურ კონიუნქტურაში უწევდა ყოფნა. პარტიის პოზიცია იყო უცვლელი, ტექნიკურად ვინ რა როლი შეიტანა ამ მკვლელობაში, ეს გამოძიების თემაა.

– მიიღო პროკურატურამ ოჯახის და თქვენი განცხადება?

– განცხადება მიიღო და ველოდებით პასუხს, აღიძვრება თუ არა საქმე ხელახლა, ჩვენ ვითხოვთ, რომ ამ ეტაპზე დაიწყოს გამოძიება, ოფიციალურად აღიძრას საქმე, შესაბამისად, ხელს შევუწყობთ გამოძიებას ყველაფერში. თუ პროკურატურა არ აღძრავს საქმეს, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ საქმე პროკურატურამ გადაიტანა პოლიტიკურ სფეროში, მაშინ პასუხს მოვთხოვთ ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას; იმიტომ, რომ ეს იქნება არა სამართლებრივი, არამედ უკვე პოლიტიკური საკითხი. არ გვაქვს იმის სურვილი, რომ ეს საქმე პოლიტიზირებული გახდეს, ვთხოვთ პროკურატურას, რომ სამართლებრივ სივრცეში დავრჩეთ და ამ სივრცეში იქნება გამოძიება წარმართული. ჩვენ ახლავე არ მოვთხოვთ საქმის დაწყებას, მით უმეტეს, ვიცით, რომ პროკურატურას უამრავი საქმე აქვს, მაგრამ თვენახევრის შემდეგ გაგებით რომ ვეკიდებით ამას, რა თქმა უნდა, ამასაც ვადა აქვს და შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას.

დღეს ვანო მერაბიშვილის მხარდამჭერი აქციები გაიმართება

საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დღეს, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის მხარდამჭერი აქციები გამართება. ამასთან დაკავშირებით, დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა სერგო რატიანმა, სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ დაკავებას, დაპატიმრებასა და სასამართლოს გამოძიებას შორის არანაირი სამართლებრივი ბმა არ არსებობს. სწორედ ამიტომ ხვალ, დღის ორ საათზე საქართველოს ყველა ქალაქში, საოლქო პროკურატურასთან, ვანო მერაბიშვილის გათავისუფლების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართება“– განაცხადა რატიანმა.

შეგახსენებთ, რომ ვანო მერაბიშვილი დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ 21 მაისს დააკავა. წარდგენილი ბრალის მიხედვით მას 7-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება,თუმცა პროკურატურა მისთვის ბრალის დამძიმებას კიდევ ორი ეპიზოდის – სანდრო გირგვლიანის მკვლელობისა და 26 მაისის დარბევის გამო გეგმავს.

ნიუსპრესი

კახეთში ჯილეხით რვა ადამიანი დაინფიცირდა

სურსათის ეროვნული სააგენტო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენში დაავადება ჯილეხის საწინააღმდეგოდ 4000 სული შინაური ცხოველის იძულებით ვაქცინაციას ატარებს.

სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნულ სოფელში დაფიქსირდა საქონლის ჯილეხით დაავადების ერთი შემთხვევა, რომლითაც რვა ადამიანი დაინფიცირდა. მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქონლის მეპატრონემ სასაკლაოს გვერდის ავლით დაკლა უკვე დაცემული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომლის ნაწილიც მიირთვეს ოჯახში, ნაწილი – გაყიდეს. ოფიციალური ინფორმაციით, სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა ჯილეხით დაავადებული საქონლის ხორცი ამოიღეს 30 ოჯახიდან და შესაბამისი წესების დაცვით გაანადგურეს. გარდა ამისა, ვეტერინარულ-სანიტარული წესების მიხედვით, ადგილობრივი თვთმმართველობის ორგანოებთან ერთად მოეწყო სპეციალური სამარხი – სარკოფაგი, რომელიც იზოლირდება, რათა არ მოხდეს კერის გააქტიურება. სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, დაავადების კერაში 3 კილომეტრის რადიუსით შეიქმნა ბუფერული ზონა, სადაც მიმდინარეობს შინაური ცხოველების იძულებითი ვაქცინაცია. ამ ეტაპისთვის აცრილია 1800 შინაური ცხოველი. დაწესდება 15-დღიანი კარანტინი, რის საფუძველზეც აიკრძალება ცოცხალი ცხოველების გადაადგილება და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებით ვაჭრობა. დაწესდა მკაცრი ვეტერინარული ზედამხედველობა აცრილ ცხოველებზე.

ცნობისთვის: ჯილეხი მწვავედ მიმდინარე, ადამიანისა და ცხოველის საერთო ინფექციური დაავადებაა. ჯილეხის სპორა ნიადაგში წლების განმავლობაში ძლებს და შესაბამის პირობებში აქტიურდება. ამიტომაც, ვეტერინარულ-სანიტარული წესების მიხედვით, დაუშვებელია დაავადებული საქონლის დაკვლა და რეალიზება. ასევე, დაუშვებელია საქონლის დაკვლა ვეტერინარის ზედამხედველობის გარეშე. დაავადების დაფიქსირების შემთხვევაში იქმნება ბუფერული ზონა, სადაც ტარდება იძულებითი ვაქცინაცია.

მედიანიუსი

ჩიორა თაქთაქიშვილის შეურაცხყოფისთვის ბრალდებულებს პირობითი მსჯავრი შეეფარდათ

თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ, საპარლამენტო უმცირესობის წევრ, ჩიორა თაქთაქიშვილზე ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისათვის ბრალდებულებს – გელა მამალაძესა და ნიკა არაბულს, 1 წელი და რვა თვე პირობითი მსჯავრი შეუფარდა.

ბრალდებულები დანაშაულს აღიარებენ და სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ აპირებენ. საქმე მიმდინარე წლის 8 თებერვალს, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებს ეხება, სადაც ფიზიკური დაპირისპირების შედეგად, დეპუტატი ჩიორა თაქთაქიშვილი დაშავდა.

ნიუსპრესი

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილმა ღონისძიებებმა ოცდაექვსივე ქალაქში უსაფრთხოდ ჩაიარა

26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილმა ღონისძიებებმა საქართველოს ოცდაექვსივე ქალაქში უსაფრთხოდ ჩაიარა.

შსს-ს ინფორმაციით, მთელი დღის განმავლობაში, ქვეყნის მასშტაბით, ათობით საზეიმო ღონისძიება გაიმართა, მათ შორის, სამხედრო და პოლიციის ტექნიკის, ასევე, აღჭურვილობის გამოფენები, ფოლკლორული ანსამბლებისა და გუნდების საკონცერტო გამოსვლები, მხატვრების გამოფენები და სხვა.

„საზეიმო ღონისძიებებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ათი ათასობით მოქალაქე დაესწრო. შსს მათ უსაფრთხოებაზე მთელი დღის განმავლობაში ზრუნავდა. მასშტაბურობის მიუხედავად, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილმა ღონისძიებებმა მთელს საქართველოში ექსცესების გარეშე ჩაიარა. დღის განმავლობაში არც ერთ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

პირველი

სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა აშშ-ში ოფიციალური ვიზიტი დაასრულა

სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი კახაბერ ჩიხრაძე ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებს, მისურის შტატის სამხედრო პოლიციის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა ინჩიმ უმასპინძლა. თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აშშ-ში ვიზიტის მიზანი საქართველოს სამხედრო პოლიციის სტანდარტების ევროპულ და ამერიკულ სტანდარტებთან დაახლოება და გამოცდილების გაზიარება იყო. შეხვედრაზე ამერიკელმა სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსნებმა ქართველ კოლეგებს სამხედრო პოლიციის მართვის საკითხებში საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.

ნიუსპრესი

შიდა ქართლში რუსებმა საზღვარი კიდევ 300 მეტრით გადმოსწიეს

შორენა მარსაგიშვილი

შსს ამ ფაქტს საერთაშორისო დონეზე გააპროტესტებს

რუსებს ქართული მიწების მითვისება უკვე ჩვეულებად ექცათ. ჩვეულება კი მოგეხსენებათ რჯულზე მტკიცეა. ჰოდა მაისის მიწურულს რუსებმა საქართველოს სიღრმეში კიდევ 300 მეტრით გადმოიწიეს.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ყველას რატომღაც ეგონა რომ ამ მხრივ ვითარება შეიცვლებოდა. მეოცნებე ხელისუფლება რუსეთს აშკარად ენის მოჩლექით ესაუბრება. ცოტა ხნის წინ სოჭში გამართულ ზამთრის ოლიმპიადაზეც გადავწყვიტეთ მონაწილეობის მიღება. ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, ბიძინა ივანიშვილი ვლადიმერ პუტინთან ერთად გახსნის ოლიმპიადასო.

ჩვენი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა კი ისიც ირწმუნა, რომ სააკაშვილის წასვლის შემდეგ რუსეთი ჩვენთვის წართმეულ ტერიტორიებს დააბრუნებს. ამაზე საჯარო განცხადება სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმაც გააკეთა. ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა იმის მტკიცება დაიწყო რომ რუსეთი ძალიან კეთილია და ბოლო 200 წლის მანძილზე სულ შემთხვევით სჩადიოდა ჩვენს წინააღმდეგ საშინელებებს.

რუსეთი რომ არ იცვლება და არც არასდროს შეიცვლება ამაში რამდენჯერმე დავრწმუნდით. გუშინ ცნობილი გახდა რომ რუსებმა გორის რაიონის სოფელ დიცში 300 მეტრით წინ წამოიწიეს. ამის შესახებ ინფორმაცია პირველმა პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში ზურაბ ჩხეიძემ გაავრცელა.

ზურაბ ჩხეიძის ინფორმაციით, რუსი მესაზღვრეები მავთულხლართებს დიცის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ავლებენ. მისი თქმით, ე.წ. პირობით საზღვრის რამდენიმე ასეული მეტრით გადმოწევის მიზნით მავთულხლართების გაბმა დილით რეგიონის რამდენიმე სოფელში ერთდროულად მიმდინარეობდა. შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა დიდი ხანია ითხოვს, რომ ქართულ და ოსურ სოფლებს შორის არსებული მიჯნა გაირკვეს. მათი თქმით, პირობითი საზღვრების შესახებ მოსახლეობის არაინფორმირებულობა რუსი მესაზღვრეების მხრიდან ქართველი გლეხების დაკავებების რაოდენობას ზრდის. ამ კუთხით ადგილობრივი მოსახლეობა დემარკაციის პროცესს არ ეწინააღმდეგება.

– გარდა ამისა, სოფელ მეჯვრისხევში გვითხრეს, რომ ბოლო პერიოდში, ცხინვალის მხრიდან ნარკოტიკების გადმოდინების ფაქტებმა თავი იჩინა. ისინი დაბეჯითებით გვიცხადებენ, რომ დაუცველი საზღვარი და შერბილებული კონტროლი ნარკომომხმარებლების რაოდენობას ზრდის. რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთ ამ ზონის სოფელში დაკრძალვაზე ვიმყოფებოდით. სასაფლაოდან კი (რომელიც ქართველი და რუსი მესაზღვრეების ბლოკსაგუშაგოებს შორის მდებარეობს) ის ღია სივრცე გვიჩვენეს, საიდანაც ოსი და ქართველი „ნაცნობების“ დაკავშირებაა შესაძლებელი. ვინ შეიძლება იყოს ამ პროცესის ორგანიზატორი, ამის შესახებ არაფერს ამბობენ. ის კი ნამდვილად იციან, რომ ნარკოტიკების მოხმარების ფაქტებმა თავი იჩინა, რომელსაც ადგილობრივი ოფიციალური პირიც გვიდასტურებს. რამდენად რეალურია ეს ფაქტები, ამის დადასტურება სხვა წყაროებით ვერ შევძელით, – იუწყება შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი.

პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში მავთულხლართების გაჩენას ქართულ-რუსული ურთიერთობის ჭრილში განიხილავს. მისი თქმით, რკინის ბადეების გაბმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას ართულებს.

– როგორც ვხედავთ რუსულ მხარეს საერთოდ არ აინტერესებს ურთიერთობის დალაგება ქართულ მხარესთან – ან უკიდურეს შემთხვევაში ჩვენი უფლებების კვლავ შელახვის ხარჯზე სურს ამის გაკეთება. გრძელდება კვლავ მავთულხლართების გაბმა, ადამიანების გატაცება, ტერიტორიების მითვისება და დროა ქართულმა მხარემ დაინახოს და გამოიყენოს ყველა საერთაშორისო ბერკეტი ამ ყველაფრის აღმოსაფხვრელად, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ მძიმე რეალობას რომელიც შეიქმნება კონფლიქტის მოსაზღვრე სოფლებში, – აცხადებს ზურაბ ჩხეიძე.

გუბერნატორი გამოსავალს ყველა საერთაშორისო ბერკეტის ამოქმედებაში ხედავს. საზღვრის გადმოწევასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობას ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროც მიაწვდის. შსს-მ პირობითი საზღვრის გადმოწევის ფაქტი ოფიციალურად დაადასტურა. შსს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, ისინი ამ ფაქტის შესახებ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას აცნობებენ.

– შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რუსი მესაზღვრეების მხრიდან, სოფელ დიცის მიმდებარე ტერიტორიაზე მავთულხლართების ინსტალაციის ფაქტს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტრო აცხადებს, რომ ეს არის ყოვლად უკანონო ქმედება რუსი მესაზღვრეების მხრიდან. ამ პრობლემასთან დაკავშირებით სამინისტრო აუცილებლად დააყენებს საკითხს 31 მაისის, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ჯგუფის შეხვედრებზე. ივნისის ბოლოს კი, ჩანიშნულია ჟენევის დისკუსიები და აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, ჟენევის დისკუსიების ფორმატის ფარგლებშიც აუცილებლად ვისაუბრებთ. ზოგადად, საკითხთან დაკავშირებით სამინისტრო ყოველ ღონეს იყენებს, რომ პრობლემის შესახებ ინფორმაცია საერთაშორისო თანამეგობრობას და ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოებს მიაწოდოს. საქართველოს ხელთ არსებული ყველა დიპლომატიურიინსტრუმენტი აქტიურადაა გამოყენებული, – აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გია ვოლსკის განცხადებით, საოკუპაციო რეჟიმის მიერ საზღვრების გადმოწევასთან დაკავშირებით სიტუაცია მძიმეა. როგორც დეპუტატმა გუშინ გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში განაცხადა, საზღვრის გადმოწევა საოკუპაციო რეჟიმისათვის დამახასიათებელი აქტივობაა.

– დღეს დილას ჩავალ გორში, სადაც არასამთავრობათან ერთად შეხვედრები მექნება, რის შემდეგაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო დაზუსტებული ინფორმაცია მექნება. 30-31 მაისს არ არის გამორიცხული ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტშიც გვქონდეს საუბარი. გარდა საზღვრის გადმოწევისა, მაინტერესებს სარწყავ წყალთან არსებული მდგომარეობაც. იქ არიან არასამთავრობები რომლებიც კარგად ურთიერთობენ როგორც ქართველებთან, ისე ოსებთან. მარტო განცხადებები აქ არაფერს უშველის. ძირითადი აქცენტების გადატანა დიპლომატიურ მუშაობაზე უნდა მოხდეს. სიტუაცია მძიმეა, სერიოზულ ჩიხში ვართ შესული და ამ ჩიხის გარღვევაა საჭირო, – აცხადებს ვოლსკი.

მან პრობლემის მოგვარების გზებზეც ისაუბრა. მიიჩნევს, რომ საოკუპაციო რეჟიმთან დაკავშირებით სტრატეგია და მიდგომები უნდა შეიცვალოს. ვოლსკის თქმით, საქართველო არ უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რომ საერთაშორისო არენაზე ვინმე განცხადებას მიიღებს, რითიც საოკუპაციო რეჟიმის ქმედებებს დაგმობს.

– წინა ხელისუფლებას ამის გარდა სხვა არანაირი რესურსი არ ჰქონდა. ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია, მაგრამ ჩვენ ამის მიღმა გვაქვს რესურსი ვილაპარაკოთ რუსებთან და იმედი გვაქვს ამის რესურსი აფხაზებთან და ოსებთანაც გვექნება, თავდაპირველად არასამთავრობების დონეზე. ეს არ შეანელებს იმ პოზიციას, რასაც ოკუპაცია ჰქვია, – აცხადებს ვოლსკი.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის გოკა გაბაშვილის განცხადებით, კი ვიდრე ხელისუფლება ონიშჩენკოსთან ბოდიშების მოხდით არის დაკავებული, რუსები თავის საქმეს აკეთებენ.

– ვიდრე საქართველოს ხელისუფლება დაკავებულია ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ოპინენტების დევნით და დაკავებებით, დაკავებულია ონიშჩენკოსთვის ხვეწნით და ბოდიშების მოხდით, რუსები როგორც ჩანს, საქმეს აკეთებენ. როგორც დღეს ინფორმაცია გავრცელდა, კიდევ 300 მეტრით გადმოსწიეს ე.წ. საზღვარი. მოდის ინფორმაცია, რომ რუსები ძალიან ენერგიულად არიან დაკავებული სასაზღვრო ე.წ. ზოლის გამაგრებით ოკუპაციის ხაზზე. საქართველოს ხელისუფლებას მართებს რეაქცია აუცილებლად და რუსეთთან ურთიერთობების დალაგების მათი სურვილი არ უნდა იყოს ცალმხრივი. საერთშორისო ორგანიზაციებთან ერთად უნდა დასხდნენ და დასვან საკითხი ამ მავთულხლართების გაბმასთან და საზღვრის გადმოწევასთან დაკავშირებით, რომელმაც უკვე პერმანენტული ხასიათი მიიღო, – განაცხადა გაბაშვილმა.

ვერაფერს იტყვი, ამ შემთხვევაში გაბაშვილი მართალია, მაგრამ სად იყო აქამდე? რუსები ასე მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც მოიწევდნენ საქართველოს სიღრმეში. მაშინ დეპუტატი დუმილს ამჯობინებდა, ემანდ სააკაშვილს არ სწყენოდა.

ანზორ წოწონავა: „დევნილთა სასიცოცხლო ინტერესები ერთად უნდა დავიცვათ“

შორენა მარსაგიშვილი

ცოტა ხნის წინ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ უცხოელ პარტნიორებთან ერთად შეიმუშავა კანონპროექტი დევნილთა შესახებ. რომელიც პარლამენტში განხილვამდე ყველა სახელმწიფო უწყებაში უნდა გადაიგზავნოს. ამასთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ანზორ წოწონავას ესაუბრა.

– ბატონო ანზორ, რა იცით სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტის შესახებ, რომლის მომზადებაში არ იყვნენ ჩართული აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები?

– ჩემთვის ამ კანონპროექტის შესახებ ცნობილი გახდა დაახლოებით 2 კვირის წინ, ისიც ინტერნეტის საშუალებით. რა თქმა უნდა, უფრო სწორი იქნებოდა, რომ ამ პროექტზე მომუშავე კომისიაში აფხაზეთის სტრუქტურებიდან ჩართულიყო საკონსულტაციო ჯგუფი თუ არა რამდენიმე წარმომადგენელი, ან თუნდაც დევნილთა უფლებების დამცველი სამსახურის ხელმძღვანელი. მაგალითად, 2006-2009 წლებში, დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის პროექტზე მუშაობაში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელიც მონაწილეობდა. საერთოდ, სანამ ზემოთხსენებული კანონპროექტი უწყებებში იქნება გადაგზავნილი, მანამ უნდა ჰქონოდათ ჩვენთან კონსულტაცია. ჩვენ უნდა ვყოფილიყავით თანაავტორები. ასეთი იყო შეთანხმება. ცოტა გაუგებარი კია, ასე რომ მოხდა, მაგრამ დაველოდოთ....

– თქვენ რაიმე შესთავაზეთ სამინისტროს?

– რა თქმა უნდა! დევნილთა სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას მივაწოდეთ ჩვენს მიერ შემუშავებული საკმაოდ ვრცელი დოკუმენტი დევნილთა სოციალურ-პოლიტიკური საკითხების მოგვარების შესახებ. ეს არის ნუსხა იმ პრობლემების, რომლებიც წლების განმავლობაში გადაუჭრელი იყო და ახლა განსაკუთრებით გამწვავდა. ჩვენ პირადად შევხვდით ახალ მინისტრს ბატონ დავით დარახველიძეს, მის მოადგილეებს და ვესაუბრეთ ამის შესახებ. მათ მზადყოფნა გამოთქვეს ურთიერთთანამშრომლობისთვის.

– თუ შეგიძლიათ გვითხარით, რა შენიშვნებია თქვენს მიერ შეთავაზებულ პროექტში?

– ყველაზე საშური საქმეა დევნილთა საკითხების შესახებ სახელმწიფო სტრატეგიაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაა. კერძოდ: ზოგადი და ბუნდოვანი მონაცემების ნაცვლად უნდა მოხდეს დევნილთა ოჯახების კატეგორიების მიხედვით დიფერენცირება. ოღონდაც ეს უნდა იყოს რეალური და მკაფიო აღრიცხვა. უწინდელი ანუ ჯერ კიდევ მოქმედი მთავრობის გადაწყვეტილება არის ძალიან განზოგადებული, კონკრეტული პუნქტების გარეშე. განა შეიძლება ზეპირად ადამიანების ბედის გადაწყვეტა, თუკი ზუსტი აღიცხვა არ არსებობს? როგორ შეიძლება აღმასრულებელი ხელისუფლების დოკუნეტში იყოს ზოგადი მუხლები? სწორედ ამან წარმოქმნა ე.წ. „საძრომები“ თვითნებობისთვის და კორუფციისთვის, რაშიაც დევნილი მოსახლეობა ადანაშაულებდა კიდეც წინამორბედ ხელმძღვანელობას. მეორე მტკივნეული პრობლემა გახლავთ ერთი საოჯახო ნომრით დაფიქსირებული ოჯახების გამიჯვნა. თავის დროზე, მოგეხსენებათ, დევნილთა რეგისტრაცია სტიქიურ ხასიათს ატარებდა, რის გამოც მთერ რიგ დარღვევებს ჰქონდა ადგილი. უამრავი შემთხვევაა, სადაც ერთ საოჯახო ნომერში არის დარეგისტრირებული რამდენიმე ოჯახი, რომლებიც ვერც კი წარმოიდგენდნენ იმას, რომ პირვანდელი სტიქიურად და ქაოსურად ჩატარებული რეგისტრაცია მათი საცხოვრებელი ფართის განმსაზღვრელი იქნებოდა 20 წლის მანძილზე და შემდგმო პერიოდშიც. გარდა ამისა, ომის პერიოდში გამოდევნილი 9-10 წლის ბავშვი ხომ გაიზარდა და დაოჯახდა, ხომ გამრავლდა ოჯახები, ღვთის მადლით. როგორ შეიძლება ადამიანების გაზრდილი რაოდენობა ერთ ოჯახად დარჩეს? ამ კატეგორიის დევნილები პრივატიზაციის საბაბით აიძულეს ხელი მოეწერათ საბუთებზე, რომლის დროსაც, რა თქმა უნდა, დაფიქსირდა არსებული ერთი საოჯახო ნომერი. გამოსახლების დროს არ იქნა გათვალისწინებული ის დარღვევები, რაც უკვე მოგახსენეთ და ისე გამოუყვეს საცხოვრებელი ფართი. ეს ხომ უდიდესი კანონდარღვევაა? დღეს ეს კატეგორია მოიაზრება, როგორც უკვე „დაკმაყოფილებული“ და „უზრუნველყოფილი“.... დღეს რამდენიმე ათასი დევნილი ოჯახი რეგისტრირებულია კონკრეტული მისამართის გარეშე. ასევე პრობლემურია დევნილთა რეგიონებში ჩასახლება. 10-15 წლის წინ, როდესაც რეგიონებში თავის რჩენა შეუძლებელი იყო, ათიათასობით დევნილი დედაქალაქში წამოვიდა, ჩაწერის ინსტიტუტი კი უკვე აღარ არსებობდა. ასე რომ, რეგიონში დარეგისტრირებული დევნილები ფაქტობრივად ცხოვრობდნენ დედაქალაქში. აი, ამ კატეგორიასაც არ აკმაყოფილებენ საცხოვრებელი ფართით თბილისში.

– ამ შემთხვევაში სად ირღვევა კანონი? თუკი დევნილი არ არის დარეგისტრირებული თბილისში, რამდენად სწორი იქნება მისი დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართით დედაქალაქში?

– ეს არის ქვეყნის ვალდებულება. დევნილებმა ვერ შეძლეს პერიფერიებში არსებობა ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო, გულზე ხელებს ხომ ვერ დაიკრეფდნენ? რატომ არ უნდა მიეღო ისინი დედაქალაქს? კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანს შეუძლია ნებისმიერ ადგილას იცხოვროს, მით უმეტეს, ერთხელ უკვე სახლკარდაკარგულს.

– თუ ასეა, მაშ რატომ არ არეგისტრირებდა დევნილთა სამინისტრო მათ ნებისმიერ ადგილას, როგორც თქვენ ბრძანეთ?

– იმიტომ რომ უღრან ტყესავით ბნელი იყო სამინისტროს საქმიანობა. წლების მანძილზე ირღვეოდა დევნილთა უფლებები. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა. თუ დევნილმა 15 წელზე მეტი იცხოვრა დედაქალაქში, მისმა შვილებმა სკოლა აქ დაამთავრეს, აქ მსახურობენ, ახლა შეიძლება მათი რეგიონში გამწესება? გადასახლება ხომ არ არ არის, ბოლოს და ბოლოს, ხელახალი დევნილობა და ინტეგრირებულ გარემოცვას მოწყვეტა! ასევე დიდ აღშფოთებას და უკმაყოფილებას იწვევს დევნილებში ის აბსურდული კანონიც, რომლის თანახმადაც დევნილს საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში, სამი თვის შემდეგ დევნილთა შემწეობა უწყდება, მათ შორის მოსწავლე ახალგაზრდობასაც. საზღვარგარეთ დევნილები, როგორც ბევრი სხვა ჩვენი თანამემამულე, დალხინებული ცხოვრების გამო კი არა, სამუშაოდ მიდიან. არ შეიძლება დევნილის შემწეობის 28 ლარზე ეკონომიის გააკეთება, ამ მიზერულ თანხას ხომ მისი ოჯახის წევრები იყენებენ.

– ტექნიკურად როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა?

– ეს არაა მოუგვარებელი და მას არ სჭირდება გართულება. საკონსულოებმა უნდა აიღოს ეს ფუნქცია თავის თავზე. დევნილებმა საზღვარგარეთ საკონსულოში ან საელჩოში უნდა გაიარონ რეგისტრაცია პერიოდულად 6 თვის ან ერთი წლის განმავლობაში. თუ საზღვრის გადაკვეთის შესახებ ინფორმაციას აწვდიან სამინისტროს, იგივე საშუალებებით უნდა მიაწოდონ გარდაცვალების შესახებ ინფორმაციაც. სრულწლოვან დევნილთა რეგისტრაციის დროსაც კანონდარღვევას აქვს ადგილი. ჩვენ ეს ყველაფერი გათვალისწინებული და შემუშუშავებული გვაქვს ჩვენს პროექტში.

– გულდასაწყვეტია, რომ დევნილთა შესახებ კანონპროექტზე მუშაობაში მონაწილეობენ საერთაშორისო კომისიები, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება კი, რომელიც ყველაზე უკეთესად იცნობს დევნილთა პრობლემებს, არა...

– მართალი ბრძანდებით, ჩვენ პერმანენტულად დავდივართ რეგიონებში, ვხვდებით დევნილებს და ვიცით ყველა მათი პრობლემა. შეიძლება მათ დასახმარებლად ბევრი ბერკეტი არ გაგვაჩნია, მაგრამ სადაც შესაძლებელია ჩვენი ძალებით ვეხმარებით, სხვა შემთხვევაში ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, აფხაზეთის სტრუქტურების ერთობლივი ღონისძიებებით ვახორციელებთ სხვადასხვა სოციალურ პროექტებს. სწორედ ამ კონტაქტებით ვგებულობთ დევნილების პრობლემებს და ვშუამდგომლობთ სხვადასხვა უწყებებთან. მარტო შარშან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე 4000-ზე მეტ დევნილს შეხვდა. ფედერალურ სამინისტროებს არ უნდა დაავიწყდეს, რომ არსებობს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება, რომელიც ძალიან კარგად არის ჩახედული დევნილთა პრობლემებში.

– თუკი არ იქნა გათვალისწინებული თქვენი შეთავაზებები. შემდეგი ნაბიჯი როგორ წარმოგიდგენიათ?

– დევნილთა სამინისტრომ აფხაზეთის სტრუქტურების წარმომადგენლები უნდა ჩართოს ამ კანონპროექტზე მუშაობაში მანამ, სანამ მთავრობას და პარლამენტს წარუდგენს. სწორედ ამ ეტაპზე იოლია იმ შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინება, რომელმაც პრობლემები უნდა აღმოფხვრას. თუ ამ ეტაპზე არ მოხდა ჩვენი თანამშრომლობა, საქართველოს პარლამენტში მივიღებთ მონაწილეობას ამ კანონპროექტის განხილვაში.

ადვოკატების უფლებები ისევ შეზღუდულია

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ უფლებადამცველ გიორგი თევზაძესთან

უფლებადამცველი გიორგი თევზაძე ეხმიანება რამდენიმე დღის წინ პატიმარ ლევან კორტავას გარდაცვალების ფაქტს და საუბრობს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

გიორგი თევზაძის განცხადებით, მოქმედი ხელისუფლების პირობებში კვლავ ადგილი აქვს ადვოკატთა უფლებების დარღვევის ფაქტებს.

– ბატონო გიორგი, რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა პატიმარი ლევან კორტავა. ვრცელდება სხვადასხვა ვერსია მისი გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ და რა კომენტარს გააკეთებთ?

– წინა ხელისუფლების პირობებში პატიმართა მიმართ არსებულ არაადამიანურ მოპყრობას საჯაროდ ვაპროტესტებდით უფლებადამცველები. შემიძლია ვთქვა, რომ არჩევნების შემდეგ აშკარად გამოსწორდა ვითარება. აღვნიშნავ, რომ ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში მიუღებელია პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობა და ნებისმიერი გადაცდომა ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან, რომელიც უკავშირდება პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობას. ნებისმიერი ასეთი ფაქტი საზოგადოების მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. როგორც გავრცელდა ინფორმაცია, 2013 წლის 12 მაისს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულებიდან №14 დაწესებულებაში სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით პატიმარი ლევან კორტავა გადაიყვანეს 64 მსჯავრდებულთა შორის. სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სასჯელაღსრულების №6 დაწესებულების საცხოვრებელი კორპუსის კიბეებზე ასვლის დროს პატიმარს ფეხი დაუცურდა, საფეხურებზე მრავალჯერადი დაცემის შედეგად, მან სხეულის სხვადასხვა ადგილას, განსაკუთრებით, თავის არეში მიიღო დაზიანებები. ამ ინფორმაციას არ ეთანხმებიან გარდაცვლილი ლევან კორტავას ოჯახის წევრები. ისინი აცხადებენ, რომ ლევან კორტავა ჩხუბის შედეგად დაზიანდა, ბადრაგმა სცემა. შედეგად მიიღო ქალა-ტვინის ტრავმა სხვადასხვა მძიმე დაზიანებებით და სამკურნალოდ მოათავსეს ქუთაისის ცხაკაიას სახელობის კლინიკაში. გავრცელებული ინფორმაციით, თურმე გეგუთის კოლონიაში დაშავებული პატიმარი 10 დღის განმავლობაში კლინიკაში უგონო მდგომარეობაში, რეანიმაციის განყოფილებაში იმყოფებოდა. პატიმარი, სამწუხაროდ, 2013 წლის 23 მაისს გარდაიცვალა. გარდაცვლილის ოჯახის წევრებს აქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ პატიმარს სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც დადგა მძიმე შედეგი. მიმაჩნია, რომ საჭიროა ჩატარდეს კვალიფიციური გამოძიება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და შეისწავლონ ყველა ვერსია, რომელიც ვრცელდება საზოგადოებაში და გააჩნიათ ოჯახის წევრებს.

– ე.ი. პატიმარი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა და აუცილებელია ჩატარდეს ობიექტური გამოძიება?

– როდესაც პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიები ვრცელდება, ჩნდება ბევრი კითხვის ნიშანი, აუცილებელია ჩატარდეს კვალიფიციური გამოძიება. ვინაიდან ოჯახის წევრებს აქვთ ეჭვი, რომ პატიმარი ნაცემია ბადრაგის მიერ, საჭიროა გამოძიება ჩაატაროს პროკურატურამ ობიექტურობის დადგენის მიზნით. ასევე აუცილებელია ჩატარდეს დამოუკიდებელი ექსპერტიზა და საზოგადოებაში დასმულ კითხვებს გაეცეს პასუხები. ჩემთვის, როგორც უფლებადამცველისთვის, მიუღებელია ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში პატიმრის მიმართ არაადამიანური მოპყრობა, რაზედაც კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს კანონდამრღვევმა თუ ასეთ ფაქტებს ექნება ადგილი.

– რა პრევენციული ღონისძიებებია საჭირო, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უფრო მეტი კონტროლის მექანიზმი მოქმედებდეს?

– სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პრევენციის მიზნით აუცილებლობას წარმოადგენს, საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი მუშაობდეს და მონიტორინგი ტარდებოდეს, რაც თავისთავად შემაკავებელი ფაქტორია ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო ქმედების მიმართ. დღეს, ფაქტობრივად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აღარ ხორციელდება საზოგადოებრივი მონიტორინგი, რაც გარდამავალ პერიოდში მინისტრის ბრძანებით შეიქმნა. სამი თვის შემდეგ კი, ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე, გაუქმდა, 2013 წლის იანვარში. მაშინ, როცა შესაძლებელი იყო, ახალი მინისტრის ბრძანებითვე გაგრძელებულიყო სასჯელაღსრულების მონიტორინგი. სხვათა შორის, აღნიშნული მონიტორინგის წევრებმა, რომლის წევრი მეც ვიყავი, საკმაოდ შრომატევადი და აუცილებელი საქმიანობა გავწიეთ იმ პერიოდში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარე ცნობილი მოვლენების დროს. ამის შემდგომ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შევხვდით როგორც სასჯელაღსრულების მინისტრს, ასევე სახალხო დამცველს, სადაც მკაფიოდ დავაფიქსირე ჩემი პოზიცია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საზოგადოებრივი მონიტორინგის აუცილებლობის შესახებ.

– ახალი ხელისუფლების პირობებში რამდენად გაუმჯობესდა ადვოკატის მიერ თავისი დასაცავი პირის დაცვის განხორციელების მექანიზმი?

– სამწუხაროდ, ადვოკატთა დაცვის მექანიზმის გაძლიერებას ხელისუფლების ცვლილება ვერ შეცვლის თუ კანონში არ შევიდა ცვლილებები. ჯერჯერობით, ამ მიმართულებით იმ ცვლილებების განხორციელებაზე, რასაც ადვოკატები მოითხოვდნენ, რატომღაც ხელისუფლება თავს იკავებს. კერძოდ, თავს იკავებს იმ ცვლილებების შეტანაზე, რომელიც გააუმჯობესებდა პატიმართა დაცვის მექანიზმს, თანასწორს გახდიდა პროცესის ორივე მონაწილეს, როგორც ბრალდებას, ასევე დაცვას. მხედველობაში მაქვს იმ საპროცესო კანონმდებლობის ცვლილებებზე, რომელიც იგეგმებოდა საპროცესო კოდექსში.

– როგორც ადვოკატთა ასოციაციის, ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი, რას გვეტყვით, მოქმედი ხელისუფლების პირობებში ხომ არ ირღვევა ადვოკატთა უფლებები?

– წინა ხელისუფლების პირობებში ადვოკატთა უფლებები იგნორირებული იყო და არც კანონმდებლობით იყო გარანტირებული სათანადო პროცესუალური უფლებები, დაინტერესებულ პირთა დასაცავად. მოქმედი ხელისუფლების პირობებში ადგილი აქვს ადვოკატთა უფლებების იგნორირებას, მოსაწესრიგებელი რჩება საკანონმდებლო ბაზა. ამ პირობებში კომისია დაიცავს ყველა ადვოკატის კანონიერ უფლებებს სახელისუფლებო სტრუქტურებთან ურთიერთობებისას. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საზოგადოებაში ადვოკატის როლი ამაღლდეს და წერტილი დაესვას ადვოკატის მიმართ არსებულ იგნორირებულ დამოკიდებულებას, რადგან ადვოკატის როლის ამაღლება სამართლებრივი სახელმწიფოს შემადგენელი ატრიბუტია.

გენადი მამაგულაშვილი: „ქარელის სოფლებს რუსები ეპატრონებიან“

გულიკო ბალაძე

25 მაისს, როცა საქართველო დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნისთვის ემზადებოდა, ქარელის რაიონის სოფელ დვანში რუსი ოკუპანტები ჩვენი საზღვრის გადმონაცვლებით იყვნენ დაკავებული. ქარელის რაიონის სოფელ დვანის მცხოვრებ გენადი მამაგულაშვილის ინფორმაციით, 25 მაისს რუსმა ჯარისკაცებმა ცოტა ხნის წინ გაკეთებული მავთულხლართები დაჭრეს და ისინი შიგნით, სოფლის მხარეს გადმოიტანეს.

ამის შედეგად ხდება სოფელ დვანის მოსახლეობის შევიწროვება. სოფლის საძოვრები და წყლის არხები, სეპარატისტების მხარეს რჩება. შესაბამისად, ქართველები წყლისა და საძოვრების გარეშე რჩებიან. მავთულხლართები კი მათ სახლებს უახლოვდება.

გენადი მამაგულაშვილი:

– დაახლოებით ორ კვირაა რუსმა სამხედროებმა მავთულხლართების გადმოწევა და მცოცავი ანექსია დაიწყეს. იმ მავთულხლართებს, რომელიც რამდენიმე თვის წინ გააბეს, ნაწილ-ნაწილ შლიან და უფრო შიგნით გადმოაქვთ. ისეთი მიმართულება აქვთ აღებული, რომ მთლიანად მათ მხარეს ექცევა, ჩვენი წყაროს სათავე და ჩვენი საძოვრები. გამოდის, რომ ჩვენ ძალიან დიდი პრობლემების წინაშე გვაყენებენ.

– ბატონო გენადი, სოფელ დვანის ტერიტორიაზე გადმოაქვთ მავთულხლართები აქეთ?

– დიახ, იმ დღეს „წითელი ჯვრის“ იქაური ოფისის წარმომადგენლებიც მოვიდნენ. განა, მუდმივად მუშაობენ, რაღაც მომენტში მოვლენ, ბოძებს ჩადებენ, შემდეგ მოვლენ და მოულოდნელად გადმოიტანენ მავთულხლართებს. ნელა-ნელა ახდენენ ადმინისტრაციული საზღვრის შიგნით შემოწევას. ასე თუ გაგრძელდა, აღარც საძოვარი გვექნება, აღარც სარწყავი არხი.

– ბატონო გენადი, ჩვენი მხრიდან არავინ დგას, მაგალითად, პოლიცია, ან შინაგანი ჯარის ნაწილი, რომ ხელი შეუშალოს მათ?

– პოლიცია სოფელში დგას მხოლოდ.

– სოფელში რა უნდათ, პერიმეტრზე ვერ დადგებიან, სადაც ადმინისტრაციული საზღვარია?

– ბრძანება აქვთ, რომ კონტაქტში არ შევიდნენ მათთან. ეშინიათ, კიდევ უფრო არ დაიძაბოს სიტუაცია. მხოლოდ სოფლის მოსახლეობის დაცვა ევალებათ. რით გვიცავენ, არ ვიცი. გადიან ერთ-ორ ადგილზე, სოფლის განაპირას და ამოწმებენ. პერიმეტერს არ იცავენ. ვერც დაიცავენ, ალბათ, ისეთი მითითება აქვთ მიცემული.

– ის მხარე თუ იცავს პერიმეტრს, ჩვენები რატომ ვერ დაიცავენ?

– მათ სამხედრო ბაზა აქვთ. რუსი სამხედროები დგანან პერიმეტრზე და ისინი იცავენ. სადაც ახლა მე ვდგავარ, ჩვენი სოფლის სასაფლაოა. აქედან რუსული სამხედრო ბაზა მოჩანს. რუსული სამხედრო ბაზა აქედან ორ კილომეტრშია და მათ გაღიზიანებას ერიდებიან, მაგრამ ასეც არ შეიძლება თავის დახრა. რამდენჯერაც თავს დაუხრი, იმდენჯერ აქეთ-აქეთ გადმოაქვთ მავთულხლართები. თუ არანაირი რეაქცია არ გვექნება, მაშინ ახალ-ახალი ანექსიის ფაქტები იქნება.

– ფაქტობრივად, ეს მავთულხლართები ისე გადმოაქვთ, რომ სოფელს ებჯინება?

– დიახ. ჩვენი სოფლის სასიცოცხლო არეალი მცირდება. სოფელში რომ ხარ, რაღაც ხომ უნდა გააკეთო.

– მავთულხლართები უშუალოდ რუს სამხედროებს გადმოაქვთ, თუ ოსებს?

– რუს სამხედროებს გადმოაქვთ.

– თქვენ მითხარით, ცხინვალში მყოფი „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლები იყვნენ მოსულები. „წითელი ჯვარი“ იქ რას აკეთებდა?

– არ ვიცი. მე აქ გუშინ ჩამოვედი და მითხრეს, რომ გუშინაც მუშაობდნენ, მავთულხლართების გადმოტანაზე. ამ წუთში არ მუშაობენ. მოიპარებიან, რაღაცას გააკეთებენ, წავლენ და დატოვებენ მავთულხლართებს.

– სოფელი რას აპირებს?

– რას უნდა აპირებდეს, სოფელმა რა ქნას, ყველანაირი ინიციატივა ჩაკლულია.

– რაიმე შეწინააღმდეგება ხომ არ ხდება?

– არა, მაგრამ ჩვენ თანდათან ვიზღუდებით, ჩვენი სასიცოცხლო არეალი მცირდება. ცოტა თუ კიდევ გადმოიტანეს, ჩვენი სასმელი წლის სათავეც იქით დარჩება და სარწყავი არხისაც.

ზუგდიდში თეთრი პეპლის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე ტრენინგი ტარდება

გაეროს განვითარების ფონდის მხარდაჭერით, სამეგრელოს რეგიონში, ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდების დანერგვის ხელშეწყობის პროექტი ხორციელდება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, გუშინ, მცენარეთა საკარანტინო მავნებლის – თეთრი პეპლის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე პრაქტიკული სწავლება, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა, ზურაბ ჩეკურაშვილმა გახსნა.

სააგენტოს პრესსამსახურის ინფორმაციით, მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის სპეციალისტები აქტიურად არიან ჩართული სწავლების პროცესში. ტრენინგის ფარგლებში, 70 -მდე თემის წარმომადგენელი, სოფლის რწმუნებული და სოფლის მეურნეობის სამმართველოს ადგილობრივი წარმომადგენელი მზადდება.

აღნიშნული პროექტის საქმიანობის ძირითადი კომპონენტებია ადგილობრივი თემის მობილიზაცია, ინფორმირება და სწავლება, ასევე მოსახლეობის ტექნიკური დახმარება.

პროგრამის ფარგლებში გასულ წელს მოსახლეობას 750 ერთეული ზურგსაკიდი ძრავიანი აგრეგატი გადაეცა. მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 20 ცალის გადაცემაც.

ნიუსპრესი

მიხეილ სააკაშვილი: „ამერიკელი გენერალი დიდი აღფრთოვანებით მიყვებოდა ქართველების გმირობაზე“

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად და არ უნდა აღმოვჩნდეთ იმ ამირანის მდგომარეობაში, რომელსაც აღარ უნდა ჯაჭვის გაწყვეტა.

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ის იმყოფებოდა ავღანეთში ქართულ სამხედრო კონტინგენტთან ერთად დამოუკიდებლობის აღსანიშნავად და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რა მაღალი კვალიფიკაციის სამხედროები ჰყავს საქართველოს.

,,13 მაისს ქართულ ბაზაზე მოხდა თავდასხმა და ამერიკელი გენერალი დიდი აღფრთოვანებით მიყვებოდა ქართველების გმირულ მოქმედებას. მისი თქმით, მსოფლიოში მხოლოდ ცოტა სამხედრო კონტინგენტს შეუძლია ასეთი ეფექტური მოქმედება. ეს არის ყოველდღიური საფრთხე ჩვენი ჯარისკაცების, რომელიც მათ ექნებათ და ისინიც ძალიან მაგრად დგანან. პრეზიდენტისთვის არაფერი უფრო რთული არ არის, ვიდრე ჯარისკაცების გაშვება სიცოცხლისთვის ასეთ საშიშ ადგილზე, მაგრამ საქართველოსთვის ეს არის გადამწყვეტი რაღაც. საქართველო არის ამირანი, რომელსაც გამოუცხადეს ეკონომიკური და ელექტრო ენერგიის ემბარგო, მაგრამ მაინც გაუწია წინააღმდეგობა. ბოლოს, რომ ვერაფერი მოიფიქრა, პირდაპირი სამხედრო ბრძოლა გამოგვიცხადა. მოხდა სასწაული და ომის შემდეგაც ეს ამირანი გაიმართა წელში, წამოდგა, მთელი მსოფლიოს დასანახად დააპირა კლდიდან თავისი თავის ახსნა და უკვე დღეს, როცა ჩვენს მეციხოვნეს ბერკეტებიც აღარ აქვს ამირანის შეჩერების, როცა ჩვენ მეციხოვნე რუსეთი უამრავი მიზეზის გამო უახლოეს წლებში გარდაუვლად წავა კავკასიიდან, ახლა არ არის დრო ამირანი დაიღალოს და თქვას, რომ ჯანდაბას, ისევ მეციხოვნესთან ვიქნები“, – განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ ამის სიმპტომები ჩანს.

მისივე თქმით, სწორედ ამიტომ ჩვენ, როგორც არასდროს, უნდა გვესმოდეს, რომ 2008 წლის ომში ჩვენ ვიყავით ცამდე მართალი.

,,ჩვენ თვითონ თუ დავივიწყეთ ჩვენი სიმართლე, მაშინ რატომ ჩამოვა რომელიმე უცხოელი ლიდერი თავისი სიცოცხლის რისკის ფასად, როგორც ეს მოხდა 2008 წელს?! ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად და არ უნდა აღმოვჩნდეთ იმ ამირანის მდგომარეობაში, რომელსაც აღარ უნდა ჯაჭვის გაწყვეტა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ დავაფასოთ ის, რაც მოხდა წარსულში და გავაგრძელოთ ეს ყველაფერი მომავალში“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მედიანიუსი

განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობაში ბრალდებული, 1980 წელს დაბადებული ზაზა თ. ცხელ კვალზე დააკავეს.

დაკავებული 26 მაისს, დაახლოებით 14:00 საათზე, ქალაქ რუსთავში მცხოვრებ ქარჩავების ოჯახს დაესხა თავს. მან 1953 წელს დაბადებულ ნანული ქარჩავას ბლაგვი საგნით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. თავდასხმის შედეგად დაზიანებები ქარჩავას შვილებმაც მიიღეს. სამართალდამცველებმა ზაზა თ. მომხდარიდან რამდენიმე საათში თბილისში დაიკავეს. გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსკს-ს 109-ე მუხლით).

პირველი

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-მოხმარების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, ბათუმში, ილია ჭავჭავაძისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების კვეთაზე, ნარკოდანაშაულისთვის, 1988 წელს დაბადებული გიგა ბ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 4 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ამოღებული 16,67 გრ ნარკოტიკი 3,67 გრ ,,ჰეროინს“ შეიცავს. ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ გიგა ბ. დაკავებისას ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-მოხმარების ფაქტზე, სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც 8-დან 20-წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

ქუთაისში პაციენტები გაიფიცნენ

მერი ნამორაძე

გინდ დაიჯერეთ გინდ არა, მაგრამ ზოგიერთმა თანამედროვე სამედიცინო დაწესებულებამ იმ ზომამდე მიიყვანა ჩვენი პაციენტი, რომ ამ უკანასკნელებმა საპროტესტო აქციების გამართვა დაიწყეს ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით. ჯანგაჭირვებულ ადამიანს იმის ენერგია რომ ექნება, საპროტესტო აქცია გამართოს, ესე იგი მართლა ცუდად ყოფილა საქმე და შესაბამისი სამსახურები დაუყოვნებლივ უნდა დაინტერესდნენ რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე. ისევ დაბალანაზღაურებად სამედიცინო თუ დამხმარე პერსონალთან, რომლებიც დაგვიანებული თუ დაბალი ხელფასის გამო მოვალეობას აღარ ასრულებს თუ იმდენად მომთხოვნი გახდა საქართველოში პაციენტი, რომ საყოველთაოდ აღიარებული მეთოდებით დაწმენდილ-დასუფთავებულ სამედიცინო დაწესებულებებში მტვერს ეძებს, რომ შარი მერე ადმინისტრაციას მოსდოს.

საქმე ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრს ეხება, სადაც გუშინ პაციენტები დაწესებულებაში ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას ითხოვდნენ და საპროსტესტო აქციაც კი გამართეს. აქციის მონაწილეთა თქმით, დაწესებულებაში უმძიმესი ჰიგიენური პირობებია, რის გამოც მათი დიდი უმრავლესობა „ბე და ცე“ ჰეპატიტით ავადდება.

როგორც პაციენტები ამბობენ, დიალიზის აპარატს დღის განმავლობაში არ ცვლიან და ერთდროულად რამდენიმე პაციენტისთვის იყენებენ. ისინი დაწესებულების ადმინისტრციისგან ყურადღებას ითხოვენ. აქციის მონაწილეთა ბრალდებებს არ ეთანხმება საავადმყოფოს დირექტორი ანჟელა ორჯონკიძე, რომლის თქმით, საავადმყოფოში ნორმალური პირობებია, ხოლო დიალიზის ცენტრს მონიტორინგი რეგულარულად უტარდება და შენიშვნები არ გამოთქმულა.

მტყუან-მართალს, ალბათ, ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანო გაარკვევს, თუ პაციენტები ხმას ოფიციალური განცხადებით მიაწვდენენ. იმედია ის დრო არ დაბრუნდება, საავადმყოფოს დამლაგებლები ხელში რომ შეჰყურებდნენ პაციენტებს და თუ რაიმე ხარჯს გაიღებდი, სველ ტილოს გამოუსვამდნენ იატაკს, თუ არა და პალატის მტვრის ყლაპვა მოუწევდათ პაციენტებს.

ჭიათურ-მარგანეცი გაიფიცება?

მერი ნამორაძე

ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის სოციალური დიალოგის დაწყება არ ხერხდება. სრულმასშტაბიანი გაფიცვა უკვე მე-6 დღეა გრძელდება. მთავარი მოთხოვნა ხელფასების 50%-იან გაზრდა და სოციალური პირობების გაუმჯობესებაა. გაფიცულია ქარხნის 1.600 მუშა, სამი მათგანი კი, უკვე მე-4 დღეა შიმშილობს. როგორც ჩანს, პროფკავშირებთან რაიმე მოლაპარაკებაზე წასვლას ქარხნის მეპატრონეები არ აპირებენ, რადგან უკვე მუშების გათავისუფლება დაიწყეს.

გუშინ ქარხნის გაფიცულ მუშებთან შეხვედრას პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი აპირებდა. მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირში ამბობენ, რომ საწარმოს ხელმძღვანელობა გაფიცულებთან მოლაპარაკებებზე არ მოდის და დღეს დილიდან მათი სამსახურიდან გათავისუფლებაც კი დაიწყო. მცირე დისციპლინარული დარღვევების გამო უკვე 2 თანამშრომელია გათავისუფლებული. მათ ნაცვლად კი, სამსახურში სხვადასხვა დისციპლინარული დარღვევებისთვის გათავისუფლებული ყოფილი თანამშრომლები აჰყავთ.

ამ ფონზე სრულმასშტაბიანი გაფიცვის დაწყებას ჭიათურ-მარგანეცში გეგმავენ, სადაც ზეტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მუშების სოლიდარობის ნიშნად 25 მაისს გამაფრთხილებელი გაფიცვა შედგა.

როგორც ჩანს, 50%-იანი ხელფასის მატების მოთხოვნა დამსაქმებლისათვის მიუღებელია. მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომაზე უარის გამო დასაქმებულთათვის ისიც უცნობია, საერთოდ თუ გეგმავს დამსაქმებელი ხელფასის მატების შესახებ მოთხოვნის გაზიარებას მცირე პროცენტით მაინც. რამდენად წარმატებული იქნება პროფკავშირის მცდელობა, მოლაპარაკების მაგიდასთან დასვას დამსაქმებელ-დასაქმებული, უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

უმუშევრობის დონე უმნიშვნელოდ შემცირდა

მერი ნამორაძე

რამდენად გაახარებს სამსახურის მაძიებლებს ინფორმაცია, უმუშევრობის დონის 0,1 პროცენტით შემცირების შესახებ, ძნელი სათქმელია, მაგრამ მავანის გასაჩუმებლად, რომელიც ერს სამუშაო ადგილების მასობრივი შემცირებით აფრთხობს, მაინც გამოდგება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2012 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2011 წელთან შედარებით სწორედ რომ 0,1 პროცენტით შემცირდა და 15 პროცენტი შეადგინა. სამსახურის ინფორმაციით, დასაქმებულებში ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი. 2012 წელს დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 4,8%-ით ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 2,8 %-ით.

შრომის ბაზარზე ცვლილებების უმნიშვნელო ფონი „ახალ თაობას“ დასაქმების სააგენტო „აი-ემ-ეს“-შიც დაუდასტურეს. როგორც გვითხრეს, შრომის ბაზარზე ვითარება პრაქტიკულად არ შეცვლილა და რაც ადრე იყო, იგივე დარჩა.

– ზოგი ამბობს, რომ ქვეყანაში უმუშევრობა გაიზარდა. სინამდვილეში, რაც იყო, იგივე დარჩა. იგივე დარჩა ანაზღაურებაც, ამ მხრივაც დიდად არაფერი შეცვლილა. შრომის ბაზარზე დღეს აღარც იურისტები უნდათ, აღარც ბუღალტრები. როგორც ჩანს, ამ პროფესიაზე ვაკანსიაზე უკვე შეივსო და თან მიხვდნენ, რომ ყველა ბუღალტერი ბუღალტერი არ არის. ძირითადად ისევ გამყიდველებზე ანუ კონსულტანტებზე და შესაბამისად, სუსტი სქესის წარმომადგენლებზეა მოთხოვნა, – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას „აი-ემ-ეს“-ის მენეჯერმა, თამარ ლაბარტყავამ.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს თუ დავუჯერებთ, უმუშევრობის დონე სოფლის მოსახლეობაში გაცილებით დაბალია. მიუხედავად ამისა, სამსახურის ცნობით, 2012 წელს სოფლის ტიპის დასახლებებში უმუშევრობის დონე გაიზარდა 0,5%-ით, ხოლო ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირდა 0,3 %-ით.

დასაქმების სააგენტოში ამბობენ, რომ სოფლის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ქალაქში ეძებდა სამსახურს და ამას მშენებლობებზე პოულობდა, სამშენებლო ბიზნესის გაჩერების გამო ისევ სოფელს დაუბრუნდა. „ურჩევნიათ სოფელში, სახლებში ისხდნენ უმუშევრები, ვიდრე ქალქში და ქირა იხადონ“, – გვითხრეს დასაქმების სააგენტოში.

რაც შეეხება უმუშევრობის დონის მაჩვენებელს რეგიონულ ჭრილში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, კახეთის რეგიონში ის 2,4 %-ით და აჭარაში კი – 1.5%-ით შემცირდა. ამასთან უმუშევრობის დონე გაზრდილია შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონებში შესაბამისად, 1,7 და 1,6 პროცენტული პუნქტებით. სტატისტიკის სამსახური დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლებს სქესობრივ ჭრილშიც აქვეყნებს. 2012 წელს წინა წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე მამაკაცებში 0,6%-ით შემცირდა, ხოლო ქალებში 0,7%-ით გაიზარდა. ტრადიციულად ქალებში უმუშევრობის დონე ნაკლებია ვიდრე კაცებში. ამის ძირითადი მიზეზად სტატისტიკოსები იმას ასახელებენ, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა დიასახლისია და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას განეკუთვნება. ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს. 2012 წელს ქალებში არააქტიურობის დონემ შეადგინა 42,6, ხოლო კაცებში – 21,8 პროცენტი. ამგვარად, კაცებთან შედარებით ქალებში დაბალია როგორც აქტიურობის დონე, ასევე დასაქმების დონე. აქტიურობის დონის სქესობრივ ჭრილში განხილვისას, აღსანიშნავია, რომ მამაკაცებში აქტიურობის დონემ 2012 წელს ყველაზე მაღალ ნიშნულს 78,2 %-ს მიაღწია ბოლო 15 წლის განმავლობაში, ხოლო ქალებში – ბოლო 9 წლის განმავლობაში.

სტატისტიკოსებმა უმუშევრობის დონეს განიხილეს ასაკობრივ ჭრილშიც. მათი ინფორმაციით, უმუშევრობის დონემ ყველაზე მაღალ ნიშნულს 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში მიაღწია (36.9%). უმუშევრობის დონე ასევე გაზრდილია 40-44 და 55-59 წლების ასაკობრივ ჯგუფებში, შესაბამისად 3,7 და 1,4 პროცენტული პუნქტით. ამასთან, უმუშევრობის დონის ყველაზე დიდი შემცირება დაფიქსირდა 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

ასაკობრივ ჭრილთან დაკავშირებით დასაქმების სააგენტოში გვითხრეს, რომ დასაქმებულთა ასაკი საგრძნობლად გაიზარდა და ქორფა გოგო-ბიჭებზე მეტად დამსაქმებლებს მოთხოვნა უფრო ასაკობრივ კადრზე გაუჩნდა. ასე რომ ზოგიერთი ფირმა 60 წლამდე ასაკის პირებს აღარ იწუნებს.

რაც შეეხება უმუშევრობის დონეს ქვეყნების მიხედვით, 25 ქვეყანას შორის საქართველო მე-19 ადგილს იკავებს. ბოლო ადგილზე უმუშევართა დაახლოებით 33%-ით ბოსნია ჰერცოგოვინაა, უმუშევრების სიაში პირველ ადგილს იკავებს ბელორუსი. აქ უმუშევართა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1%-ზე ნაკლებია. საქართველოს გვერდით რეიტინგებშია ლიტვა, ლატვია, ხორვატია და ესტონეთი.

მაინც რა ხერხებით ცდილობენ ჩვენი უმუშევრები სამუშაო ადგილების მოძებნას? დასაქმების სააგენტოში აღიარეს, რომ მათ და მათი მსგავსი სააგენტოების მიმართ მოსახლეობის ინტერესი განელდა. უმუშევრები აღარც ინტერნეტით გავრცელებულ ვაკანსიებს ენდობიან, რადგან გადაგზავნილ ინფორმაციაზე პასუხს უმეტესად არ იღებენ:

– ალბათ ჩვენი მინუსიც არის, რომ უმუშევრები დასაქმების სააგენტოებს აღარ აკითხავენ. ძირითადად ის ადამიანები მოდიან, რომლებიც სამსახურიდან 1-2 კვირის წინ გათავისუფლდნენ. ინტერნეტით გავრცელებულ ვაკანსიებს აღარ ენდობიან. ჩვენამდე მოსულთა 98 პროცენტი ამბობს, რომ ვაგზავნით გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩვენს ინფორმაციას, მაგრამ უყურადღებოდ ტოვებენო. ასე რომ, თვითონ დადიან ორგანიზაციებში და ეძებენ სამუშაოს, – გვითხრეს სააგენტოში.

აფხაზ საბჭოთა ანაბრების პრობლემის შესახებ პირველი კონფერენცია გამართა

პრობლემის შესახებ სამეცნიერო წრეების, ექსპერტული საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის და ხელისუფლების 40-მდე წარმომადგენელმა იმსჯელა

24 მაისს, სასტუმრო „ვერე პალასში“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ორგანიზებით კონფერენცია – „საბჭოთა ანაბრები და სახელმწიფოს შიდა ვალი“ გაიმართა. ეს იყო პირველი ორგანიზებული ღონისძიება, რომელიც საბჭოთა ანაბრების თემაზე გაიმართა და პრობლემის განხილვამ პოლიტიკური მანიპულაციების და პროვოკაციების სიბრტყიდან სამეცნიერო-ექსპერტული განხილვის და მსჯელობის ასპარეზზე გადაინაცვლა.

კონფერენციას აკადემიური წრეების, ექსპერტული საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის და ხელისუფლების 40-მდე წარმომადგენელი დაესწრო. ღონისძიება „საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის“, „ეკონომიკური და სოციალური სტრატეგიების ცენტრის“ და „ახალგაზრდა ადვოკატების“ მხარდაჭერით გაიმართა. მედია-მხარდაჭერა კი Caucasian Business Week-მა, ანალიტიკური პორტალმა bpi.ge-მ, გაზეთმა „ბანკები და ფინანსები“ და საინფორმაციო-ანალიტიკურმა პორტალმა for.ge-მ უზრუნველყვეს.

კონფერენციაზე მოხსენებები და შემდგომ დისკუსია რამდენიმე ძირითად საკითხზე გაიმართა, დაწყებული პრობლემის წარმოქმნის მიმოხილვითა და დამთავრებული დაზარალებულ მეანაბრეთა კომპენსირების სხვადასხვა მოდელების განხილვით.

კონფერენციაზე ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც ცალსახად დააფიქსირეს, რომ პრობლემა სახელმწიფო დონისაა და მისი პერსონიფიცირება და ცაკლეულ პიროვნებებზე მიწერა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

კონფერენცია პროფესორმა მიხეილ ჯიბუტმა გახსნა, რომელმაც 90-იან წლებში განვითარებული მოვლენები საინტერესო პრეზენტაციაში გაშალა და წლების მიხედვით ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი წარმოადგინა.

შემდგომ გარკვეული პერიოდი ანაბრების გაუფასურების მიზეზებზე საუბარს დაეთმო და გამომსვლელებმა საკუთარი შეფასებები გააკეთეს.

„საქართველოს ბანკების ასოციაციის“ პრეზიდენტი ზურაბ გვასალია მიიჩნევს, რომ დროა სახელმწიფომ სათანადო ყურადღება დაუთმოს ამ საკითხს, ვინაიდან ეს მისი ღირსების საკითხია.

„ძალზედ ბევრი არასამართლიანი შეფასება მესმის ხოლმე, უნდათ ვიღაც პერსონალიების ძებნა, რაც, მინდა გითხრათ, რომ არასწორია და ამაზე დროის დაკარგვაც არ შეიძლება, ვინაიდან საბოლოო ჯამში პერსონალიებს მაინც ვერ გადავაბრალებთ. დროა სახელმწიფომ ეს პრობლემა მოაგვაროს“. ეს პრობლემა, პირადად მე, დიდი ხნის წინ მოვაგვარე, ავიღე ყველა წიგნაკი და დავხიე. ეს ჩემთვის იყო თავისუფლების ფასი, მაშინ დაინგრა ის იმპერია, ის ქვეყანა. ჩვენ რომ ჩავეძიოთ შეიძლება ლენინი გვყავდეს გასასამართლებელი და გორბაჩოვისათვის საყვედური გვქონდეს სათქმელი, თუ რატომ დაანგრია ეს იმპერია“, – აცხადებს გვასალია.

კონფერენციის დიდი ნაწილი სწორედ კომპენსირების მექანიზმებზე მსჯელობას დაეთმო და მონაწილეთა მხრიდან საკმაოდ ბევრი მოდელი იქნა შემოთავაზებული.

მნიშვნელოვანი, ყურადსაღები და საინტერესო იყო ბატონების – ანზორ საკანდელიძის და მალხაზ ცისკარიშვილის მიერ შემოთავაზებული მექანიზმი, რომელიც ანაბრების კომპენსირების გარდა მეწარმეობის ხელშეწყობასაც მოიცავს. კერძოდ, მათი იდეა მდგომარეობს საგადასახადო თამასუქების გამოშვებაში, რომლებიც დაზარალებულ მეანაბრეებს გადაეცემათ და მათ მიერ ახალი საწარმოს გახსნის შემთხვევაში ამ თამასუქით შესაძლებლობა მიეცემათ წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულება ჩაითვალონ. მეანაბრეებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა ეს თამასუქი გაყიდონ, როგორც ფასიანი ქაღალდი და ამით ხელი შეეწყობა მეორადი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. კომპენსირების აღნიშნული მოდელი კონფერენციაზე ფართო განხილვის საგნად იქცა.

ერთ-ერთი იდეა მდგომარეობდა დაზარალებული მეანაბრეების სხვადასხვა სახელმწიფო სააქციო საზოგადოებების აქციებით კომპენსირებაში, თუმცა „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორის, სოლომონ პავლიაშვილის განცხადებით, ამ იდეის რეალიზება ვერ მოხერხდება, რადგან ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი განვითარებული არ არის და აქციების კოტირება არ ხდება. ამიტომ, პროფესორი პავლიაშვილი კომპენსირების ფულად ფორმას უჭერს მხარს.

კონფერენციაზე საინტერესო სქემა იქნა შემოთავაზებული ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საბანკო სფეროს ექსპერტის ლია ელიავას მიერ, რომელიც დაზარალებულ მეანაბრეებზე კომპენსაციის გაცემის ოპტიმალურ წყაროდ პრივატიზაციის შედეგად ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვებში აკუმულირებულ თანხებს მიიჩნევს. ექსპერტის შეფასებით ამ მექანიზმის გამოყენება ეკონომიკის სტიმულირებასაც მოახდენს, ვინაიდან ქვეყანაში თითქმის 2 წელია დეფლაციური პროცესები მიდინარეობს და ეკონომიკაში ფულის ინექცია დადებითად აისახება შექმნილ ვითარებაზე.

„ეროვნულ ბანკს გააჩნია იმაზე მეტი სავალუტო რეზერვები, ვიდრე მას სჭირდება. დღეისათვის საქართველოს 3 მილიარდი დოლარის რეზერვები გააჩნია. ამ 3 მილიარდიდან თავისუფლად შეიძლება გაიხარჯოს ნახევარი მილიარდი აშშ დოლარი გადაყვანილი ლარში საკომპენსაციოდ, უფრო მეტსაც გეტყვით, შესაძლებელია კომპენსაცია გაიცეს დოლარში, რომელიც საერთოდ გავლენას ვერ მოახდენს ინფლაციის მაჩვენებელზე“, – აცხადებს ლია ელიავა.

კონფერენციაზე გაიმართა მსჯელობა „აორთქლებული“ ანაბრების მოცულობის დადგენის გზის თაობაზე. ფაქტია, რომ დღემდე დაზუსტებული და საბოლოო ციფრი არ არსებობს. კონფერენციის ერთ-ერთმა მონაწილემ, „საქსტატის“ წამომადგენელმა ლევან ქარსაულიძემ, რომელიც სახელმწიფოს შიდა ვალის პრობლემების შემსწავლელი კომისიის (აღნიშნულ კომისიას ეხება ანაბრების საკითხიც) წევრია, განაცხადა, რომ კომისიას ანაბრების პრობლემასთან დაკავშირებით ჯერ არ უმუშავია, თუმცა მათ მიერ შესწავლილი იქნა კოოპერატიული ბინათმშენებლობის პრობლემა, რომელიც ასევე სახელმწიფოს შიდა ვალია. ქარსაულიძის განცხადებით, ფასების დონის ცვლილების მიხედვით თანხების ინდექსირების შედეგად კოლოსალური ციფრი იქნა მიღებული და მისი შეფასებით ანაბრების ინდექსირების შემთხვევაშიც მიღებული თანხა იქნება ძალიან დიდი და ქვეყანა მის გასტუმრებას ვერ შეძლებს. თუმცა, კონფერენციის მონაწილეების მხრიდან იქვე დაფიქსირდა, რომ სახელმწიფოს მიზანია კომპენსირება და არა ვალის სრულად ანაზღაურება.

განხილვის საგანი გახდა მონაცემთა ბაზის საკითხიც, რომელიც ანაბრების პრობლემის მოგვარების გზაზე ერთ-ერთი მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორია. საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა „ვითიბი“ ბანკის ყოფილმა თანამშრომელმა თამარ კრაწაშვილმა, რომელიც ბანკში სწორედ მონაცემთა ბაზების შექმნაზე მუშაობდა. მისი თქმით, მეანაბრეების რეესტრი 3 სხვადასხა ბაზაში ხდებოდა და შეუძლებელია, რომელიმე ბაზა დღეისთვის არ არსებობდეს. ასე რომ, ამ მონაცემების მოპოვება, თუ მისი მიზანმიმართულად განადგურება არ მოხდა, პრობლემას არ უნდა უკავშირდებოდეს.

კონფერენციაზე ბევრი საინტერესო პოზიცია და მოსაზრება გამოითქვა. ამიტომ, კონფერენციის ბოლოს მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ შეიქმნას ჯგუფი, რომელიც იმუშავებს კონფერენციაზე გამოთქმული მოსაზრებების, გამართული დისკუსიის და შეთავაზებული იდეების სისტემატიზებაზე, თავმოყრაზე და მის გამოცემაზე. ეს დოკუმენტი იქნება ერთგვარი გზამკვლევი, კრებული, რომელშიც თავმოყრილი იქნება ანაბრების პრობლემის შესახებ სამეცნიერო წრეების, ექსპერტების და არასამთავრობო ორგანიზაციების შეჯერებული პოზიცია და ხედვა პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით.

საქართველოს ნატოს გენერალური მდივანი ეწვევა

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ ოჩშაბათის ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. მინისტრის მოადგილემ თამარ ბერუჩაშვილმა გასული კვირისა და მომდევნო კვირის შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოებზე ისაუბრა. საგარეო უწყებაში კომენტარი ასევე გააკეთეს ვანო მერაბიშვილისა და სხვა ბოლო დროს მომხდარ დაკავებებთან დაკავშირებით.

ვილნიუსის სამიტზე იქონიებს თუ არა გავლენას ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავება? აღნიშნულ კითხვაზე საგარეო უწყება პასუხობს, რომ სპეკულაციურია განცხადება, რომ კონკრეტული პირების დაკავებამ რაიმე გავლენა იქონიოს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, მთავრობა მოწოდებულია, ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებასთან დაკავშირებით კითხვები მინიმალური იყოს.

თამარ ბერუჩაშვილი აცხადებს, რომ კონკრეტული მაღალჩინოსანის დაკავება პოლიტიკურ პროცესს არ შეაფერხებს. მისი თქმით, მაღალჩინოსნების საქმეებზე ეუთოს ექსპერტები აწარმოებენ მეთვალყურეობას და მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ პრემიერის მრჩეველთან თომას ჰამერბერგთან. ეს განცხადება ბერუჩაშვილმა იმ კითხვის პასუხად გააკეთა, რომელიც ვილნიუსის სამიტზე ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავების შესაძლო გავლენას ეხებოდა.

– მნიშვნელოვანია ევროპელი პარტნიორების შეფასებები და ინტერესიც, რადგან საქართველომ აჩვენა დემოკრატიული განვითარების განსაკუთრებული სტანდარტი და ეს განსაკუთრებული ყურადღების საგანია ევროკავშირის მხრიდან, – განაცხადა ბერუჩაშვილმა და იქვე დასძინა, რომ საქართველომ დემოკრატიული განვითარების სტანდარტი უკვე აჩვენა.

– ჩვენი ევროპელი პარტნიორების შეფასებები და მოსაზრებები, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია. საქართველომ აჩვენა დემოკრატიული განვითარების განსაკუთრებული სტანდარტი. დაკავებები განსაკუთრებული ყურადღების საგანია ევროკავშირის მხრიდან, შესაბამისად, დაკვირვება უფრო ყურადღებით მიმდინარეობს. ნამდვილად მოვერიდებოდი ისეთ სპეკულაციებს, რომ კონკრეტული პირის დაკავება განსაკუთრებული მომენტი იქნება და პოლიტიკურ პროცესებს შეაფერხებს. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად წარმატებულად ახორციელებს საქართველო მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. როგორც უკვე გაცხადდა მთავრობის მხრიდან, შესაბამისი უწყებები უზრუნველყოფენ გამჭვირვალე გამოძიებას საერთაშორისო სტანდარტების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს მთავრობა მოწოდებულია, მინიმალური კითხვები იყოს ამ თემასთან დაკავშირებით, ხოლო თუ კითხვები იქნება, შესაბამისი პასუხები გაეცეს. – განაცხადა ბერუჩაშვილმა.

საგარეო უწყების წარმომადგენელი თამარ ბერუჩაშვილი ასევე მიიჩნევს, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის მხრივ პოლიტიკურ პროცესებს ვერც 17 მაისის მოვლენები შეაფერხებს და საქართველოს მთავრობა კონკრეტული ქმედებებით დაარწმუნებს საერთაშორისო საზოგადოებას, რომ პროცესი კანონიერების ფარგლებს არ სცილდება.

29 მაისს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ტორბიორნ იაგლანდის ანგარიშის განხილვა მოხდება. „საქართველოში კონფლიქტის შესახებ“ მე-7 კონსოლიდირებულ ანგარიშს განიხილავენ.

როგორც ბერუჩაშვილმა განაცხადა, მნიშვნელოვანია, რომ ევროპის საბჭო აგრძელებს რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს იმ ვალდებულებების მონიტორინგს, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომსა და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას უკავშირდება და აღნიშნული საკითხი ორგანიზაციის პოლიტიკურ დღის წესრიგში მუდმივად დგას.

საგარეო უწყების ინფორმაციით, მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი სიტყვით გამოვა. ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი საქართველოს ივნისის ბოლოსთვის ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსთან ერთად ეწვევა.

ჩრდილოატლანტიკური საბჭო ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის ხელმძღვანელობით, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს 27-28 ივნისს ეწვევა. სწორედ ამ პერიოდში მოხდება საქართველოში არსებული მდგომარეობის ადგილზე გაცნობა, რაც დიპლომატებს გაუადვილებთ არსებული სიტუაციის ანალიზსა და შეფასებებს.

– ეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა, რომ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს წევრები ადგილზე გაეცნონ საქართველოში არსებულ ვითარებას. საინტერესო შეხვედრები გამართონ და ადგილზე იყოს განხილული ის ვალდებულებები, რომლებიც საქართველომ ნატოს წინაშე აიღო, – განაცხადა ბერუჩაშვილმა და დასძინა, რომ ეს ფორმატი გასულ წელს ნაყოფიერი აღმოჩნდა.

საქართველოს ახლად დამტკიცებული ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩილ გეგეშიძე ამ ქვეყანაში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ვიზიტისათვის აქტიურ კონსულტაციებს მართავს.

აღნიშნული ინფორმაცია პრესას საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე მინისტრის მოადგილემ თამარ ბერუჩაშვილმა ჟურნალისტებს მიაწოდა.

ჟურნალისტის კითხვა პრემიერ-მინისტრის იმ განცხადებას შეეხებოდა, რომლის თანახმადაც, ბიძინა ივანიშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი ვიზიტის გამართვას ივნისში არ გამორიცხავს.

ბერუჩაშვილის თქმით, ხსენებულ ქვეყანაში პრემიერის ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია.

– როგორც იქნა, ელჩი ადგილზეა. არჩილ გეგეშიძე შესაბამის უწყებებთან აქტიურ კონსულტაციებს მართავს. ვიზიტის თარიღსა და დეტალებზე ინფორმაციას ახლა ვერ მოგაწვდით, – აღნიშნა პრესასთან საუბრისას თამარ ბერუჩაშვილმა.

მისი თქმით, ამის შესახებ მედიას მას შემდეგ ეცნობება, რაც თარიღი და სხვა დეტალები დაზუსტდება.

31 მაისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღონისძიებას „ღია კარის დღე: ტური – ვეცნობით ევროპას“ გამართავს. მოსწავლეებს გადაეცემათ სიმბოლური პასპორტები, სადაც საელჩო შტამპით დაფიქსირებს შესაბამის ქვეყანაში მათი ყოფნის ფაქტს.

ტურის დასრულების შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ტურის მონაწილეებს სამინისტროში მიიღებს და სკოლის მოსწავლეებს ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელ სიგელებს გადასცემს.

რაც შეეხება პორტუგალიის დროშის ქვეშ მცურავ გემს, სადაც ქართული ეკიპაჟი იმყოფებოდა, სასამართლო პროცესი გაიმართება.

საქართველოს საელჩო ესპანეთში ალჟირში ჩანიშნული სასამართლო პროცესის საქმის კურსშია. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი აცხადებს, უწყებას კავშირი აქვს გემზე მყოფ მეზღვაურებთან და მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

– ესპანეთის საელჩო ჩართულია პროცესში. ჩვენ უშუალო კონტაქტი გვაქვს მეზღვაურებთან. ისინი ჯანმრთელად არიან და ყველაფერი აქვთ, რაც სჭირდებათ, – განაცხადა ბერუჩაშვილმა.

სასამართლო პროცესზე ალჟირში, რომელიც პორტუგალიის დროშის ქვეშ მცურავ გემზე ტვირთმფლობელსა და გემთმფლობელს შორის დავაზე მიმდინარეობდა, საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ.

რაში ხარჯავდა თავდაცვის სამინისტრო ფულს

ნათია ხურცილავა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ მიიჩნევს, რომ თავდაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა უნდა დაინტერესდეს გასული შვიდი წლის განმავლობაში უწყების მიერ ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვის მართებულობითა და კანონიერებით“.

აღნიშნულ ინფორმაციას, საინფორმაციო სააგენტო „პირველი“ ავრცელებს. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებაშია ნათქვამი, გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სამინისტროში განხორციელებული ყველა ხარჯის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე იყოს.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები განმარტავენ, თავდაცვის სამინისტრო ხარჯვის მოცულობით სიდიდით მესამე სამინისტროა და ამიტომ, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რამდენად კანონიერად და ეფექტურად იხარჯება ამ სფეროში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოსთვის“ ცნობილი გახდა, რომ კონტროლის პალატამ თავდაცვის სამინისტროში ბოლო კომპლექსური რევიზია 2005-2006 წლებში ჩაატარა, თუმცა მან მხოლოდ თავდაცვის უწყების რამდენიმე დანაყოფი (ძირითადად, ფინანსების მართვის დეპარტამენტი, შესყიდვები, საჰაერო ძალები, სამხედრო პოლიცია, ცალკეული ბრიგადები, გენშტაბის ჯარების ლოჯისტიკის სამმართველო) მოიცვა.

ასევე ორგანიზაციის ინფორმაციით, „2006 წლის კომპლექსური რევიზიის შემდეგ კონტროლის პალატამ თავდაცვის სამინისტროში 2008 და 2009 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტების შესრულების აუდიტი ჩაატარა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების არასრული ანგარიშია“.

– კითხვები ჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ ჩათვალა საჭიროდ სახელმწიფომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ფინანსური აუდიტის ჩატარება, მაშინ, როცა ომის შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ქონების მართვისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის საკითხების შესწავლა, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წელს თავდაცვის ხარჯი მთლიანი შემოსულობების თითქმის 22%-ს შეადგენდა, – ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებაში.

ასევე ყურადსაღებად მიიჩნევენ ორგანიზაციაში, რომ 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აუდიტის შედეგები მთლიანად გასაიდუმლოდა, რაც, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი კანონიერად მოხდა, თავდაცვის სამინისტროს ფინანსებს კიდევ უფრო გაუმჭვირვალეს ხდის და თავდაცვის სამინისტროს მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე კიდევ უფრო ნაკლებ ინფორმაციას გვაძლევს. შვიდი წლის განმავლობაში, როგორც ჩანს, სახელმწიფომ არც თავისთვის და არც საზოგადოებისთვის არ ჩათვალა საჭიროდ, რომ გაერკვია, რამდენად ჯეროვნად და კეთილსინდისიერად იმართება თავდაცვის სამინისტრო, რამდენად შეესაბამება სამინისტროს საქმიანობა და ფინანსური სისტემები კანონმდებლობას, რამდენად კანონიერი და მიზნობრივი იყო თავდაცვის სამინისტროს საქმიანობა, რამდენად კანონიერად იხარჯებოდა ქვეყნის თავდაცვაზე გაწეული ხარჯები და ომის შემდეგ ჩატარდა თუ არა კანონით გათვალისწინებული ზომები, მათ შორის სამხედრო ტექნიკის აუდიტთან დაკავშირებით, – ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ განცხადებაში.

როგორც აღვნიშნეთ, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაცვის სამინისტრო ხარჯვის მოცულობით სიდიდით მესამე სამინისტროა, მისი ფინანსური საქმიანობის გარკვეული ნაწილი (საიდუმლო ხარჯები, შესყიდვები) გასაიდუმლოებულია, სწორედ ამიტომ, „მნიშვნელოვანია სახელმწიფო თავად იყოს დაინტერესებული თავდაცვის სამინისტროს ხარჯვის პერიოდული შესწავლით“, – ასეთია მესამე სექტორის მოწოდება.

ამერიკის მართლმადიდებელი საქართველო

ინტერვიუ ნიუ -იორკის წმ. ნინოს სახელობის ტაძრის მოძღვარ მამა ალექსანდრე თანდილაშვილთან

მამა ალექსანდრე თანდილაშვილი, რამდენიმე ათეული წელია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. მისი ღვაწლის დამსახურებით, შეერთებულ შტატებში უკვე რამდენიმე ქართული, მართლმადიდებლური ტაძარი ფუნქციონირებს, სადაც საქართველოდან გადახვეწილ ემიგრანტებს საშუალება აქვთ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვებს დაესწრონ და თავადაც მიიღონ მასში მონაწილეობა.

მამა ალექსანდრე თანდილაშვილი 1978 წლიდან პატრიარქთან მსახურობს და ამერიკაშიც სწორედ უწმინდესის ხელდასმით აღმოჩნდა.

„ნიუსპრესის“ ამერიკის ბიუროს კორესპონდენტთან საუბარში, მამა ალექსანდრე თავის ცხოვრებას და ამერიკაში გატარებულ პერიოდს იხსენებს:

– ჩემი სასულიერო მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ 1978 წლის აპრილიდან, როცა მისი უწმინდესობა პატრიარქი გახდა, სიონის ეკლესიაში სიარული დავიწყე. რამდენიმე თვის შემდეგ პატრიარქის სტიქაროსანი გავხდი და უწმინდესს ვემსახურებოდი. სწორედ აქედან დაიწყო სასულიერო ცხოვრებით ჩემი დაინტერესება. ორი წლის შემდეგ, ანუ 1980 წელს, სასულიერო სემინარიაში ჩავბარე. მე და მეუფე დიმიტრი ერთდროულად ვიყავით სასულიერო აკადემიის სტუდენტები. სწორედ იმ დროს, მისი უწმინდესობა ვატიკანში, რომის პაპის ორიენტალურ ინსტიტუტში გვგზავნიდა, თუმცა მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ კომუნისტების დრო იყო და მოსკოვიდან უარი გვითხრეს. ასე, რომ ჩემი და მეუფე დიმიტრის ვატიკანში წასვლა ვეღარ მოხერხდა. შემდეგ მე სწავლის გასაგრძელებლად ლენინგრადში, მეუფე დიმიტრი კი, მოსკოვის სასულიერო აკადემიაში გაგვგზავნეს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მეტეხის სასულიერო სემინარიაში პედაგოგად დამნიშნეს. ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა ორი წელი გაგრძელდა, რის შემდეგაც, უწმინდესის უშუალო გადაწყვეტილებით, ჩემი ამერიკაში გამომგზავრება მოხდა.

– გამოდის, რომ უწმინდესის მარტო ხელდასმული კი არა, აღზრდილიც ყოფილხართ

– დიახ, ასეა, რადგან 20-21 წლის ვიყავი, როცა პატრიარქის სტიქაროსანი გავხდი. მისი უწმინდესობა საოცარი ადამიანი გახლავთ. მაშინ ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მაგრამ ყოველ მის სიტყვას გაფაციცებით ვუსმენდით, გვინდოდა, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო მისი ქადაგებები. ეს იყო უმნიშვნელოვანესი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში -ვიზრდებოდი და ვსწავლობდი პატრიარქისაგან.

გარდა ამისა, ჯერ კიდევ სტუდენტობიდან, ძალიან ახლოს, პირადად ვიცნობდი მამა გაბრიელ ურგებაძეს. ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის დროს კი იგი ხშირად ჩამოდიოდა მცხეთაში. სამწუხაროდ, მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვათვითცნობიერებდით მის სიძლიერეს. ძალიან მიყვარდა მასთან საუბარი, სასიამოვნო და ცოცხალი ლაპარაკი იცოდა. ხშირად იგონებდა თავის ახალგაზრდობას, მასთან არ მოიწყენდი. არ შეიძლებოდა მასთან საუბარს კარგ და სასიამოვნო განწყობაზე არ დაეყენებინე. მახსოვს, მცხეთის ეკლესიის სამრეკლოს გვერდით თაღზე, რომელსაც ერთი მეტრი თუ ექნებოდა სიღრმე, მამა გაბრიელი ამბობდა, რომ აქ კელია უნდა გავაკეთოო, ძალიან ვიწრო კია, მაგრამ მე მეტი რად მინდაო. სამწუხაროდ ეს ვეღარ განხორციელდა.

– ამერიკაში, როგორ და როდის დაიწყო თქვენი მოღვაწეობა

– ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის ორი წლის თავზე, უწმინდესის გადაწყვეტილებით მოხდა ჩემი ამერიკაში წამოსვლა. აქ სწავლა გავაგრძელე წმ. ვლადიმირის სასულიერო სემინარიაში, სადაც ერთი წელი ვისწავლე. ამის შემდეგ ისევ დავბრუნდი საქართველოში. იქ რამდენიმე თვე მომიწია დარჩენა იმის გამო, რომ საბუთები მოსკოვში უნდა გაკეთებულიყო, რასაც 5 თვე დააგვიანდა. ამ პერიოდში დავქორწინდი და მაკურთხა კიდევაც უწმინდესმა ჯერ დიაკვნად, შემდეგ მღვდლად. ამის შემდეგ ამერიკაში დავბრუნდი.

– მამაო, თქვენ შეძელით და შუა ნიუ-იორკში, მსოფლიოს მეგაპოლისში, ქართული ტაძარი ჩამოაყალიბეთ სადაც წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინება. როგორ შეძელით ნიუ-იორკში ამ იდეის და ჩანაფიქრის ხორცშესხმა

– ეს იდეა, ჯერ კიდევ საქართველოში გაჩნდა, როდესაც მე და მეუფე დიმიტრი უწმინდესთან ვიყავით ვახშამზე. მაშინ ამერიკაში ბევრი ქართველი არ ცხოვრობდა. ძველი თაობის, ალბათ ათიოდე ადამიანი თუ იქნებოდა. პატრიარქმა თქვა, ვიდრე ისინი იქ იქნებიან, სამლოცველო სახლი ჩამოაყალიბეთ, სადაც უნდა ჩამეტარებინა ჯვრისწერა, ნათლობა და ასე შემდეგ. ასე, რომ, იდეა თავად პატრიარქისაა. რა თქმა უნდა ეს იყო მონახაზი. მაშინ წმ. ვლადიმირის სახელობის სემინარიის რექტორი იყო ცნობილი ღვთისმეტყველი მამა იოანე მაიენდორფი, რომელმაც მითხრა,

გაგრძელება მე-11 გვერდზე

რატომ არ გაუხსნეს ჯემალ ჭკუასელს ვარსკვლავი თბილისში?

ეკა ირემაშვილი

საქართველოს სახალხო არტისტს, ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელს ჯემალ ჭკუასელს მშობლიურ ოზურგეთში გასულ კვირას ვარსკვლავი საზეიმო ვითარებაში გაუხსნეს. ვარსკვლავის გახსნის ცერემონია ჯემალ ჭკუასელის 78 წლის იუბილეს დაემთხვა.

როგორც ვარსკვლავოსანი ხელოვანი აღნიშნავს, ყველაფერი ოზურგეთის გამგებლის კონსტანტინე შარაშენიძის თაოსნობით მოხდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ჯემალ ჭკუასელის ვარსკვლავი ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის წინ გახსნილიყო.

ჯემალ ჭკუასელთან ერთად ოზურგეთში ჩავიდა ანსამბლი „ერისიონი“ და საღამოს დასკვნითი ნაწილი მათ კონცერტს დაეთმო. მაყურებელთა სიმრავლის გამო კონცერტი ღია ცის ქვეშ ჩატარდა. წარმოდგენილმა პროგრამამ ოზურგეთელებში დიდი მოწონება დაიმსახურა, რის გამოც „ერისიონის“ წევრები ხანგრძლივი ტაშით და მხურვალე ემოციებით დაჯილდოვდნენ.

– ეს ქართული ხალხური სიმღერის გამოძახილი იყო, რაც თქვენ იხილეთ. არ დავკარგოთ ეს. ეს იქნება ჩემი დიდი სამადლობელიც და თხოვნაც. დიდი მადლობა მთელ საქართველოს, – განაცხადა ჯემალ ჭკუასელმა ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალზე.

როგორც „ახალ თაობას“ ჯემალ ჭკუასელმა განუცხადა, ის ფაქტი, რომ მისი ვარსკვლავი მშობლიურ ოზურგეთში გაიხსნა, მისთვის ძალიან ამაღელვებელი და ამავე დროს საპასუხისმგებლოა. ადამიანი, რომლის მოღვაწეობაც თბილისს და ანსამბლ „ერისიონს“ უკავშირდება, თავისი ფესვები უხმობენ და ყოველთვის მშობლიური კუთხისკენ მიუწევს გული.

რატომ არ გაუხსნეს ვარსკვლავი ჯემალ ჭკუასელს თბილისში? ამ კითხვით „ახალმა თაობამ“ „ერისიონის“ ხელმძღვანელს მიმართა:

ჯემალ ჭკუასელი:

– ჩვენ, ქართველები, ზოგადად მიჯაჭვულები ვართ იმ ადგილს, სადაც დავიბადეთ, როდესაც შენს მშობლიურ კუთხეში ვარსკვლავს გიხსნიან, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია. ქართველებს ფესვები ყოველთვის გვიხმობენ. შორს რომ ვარ ჩემი კუთხიდან, მტკივნეულადაც კი განვიცდი ამას. თბილისი თავისთავად თბილისია, ძალიან კარგია და მიყვარს, მაგრამ ოზურგეთში, თვითონ მოინდომეს ჩემი ვარსკვლავის გახსნა, თან ოქტაშვილმა ახალი ვარსკვლავი გამიკეთა, თეთრია, შვიდქიმიანი და ძალიან ლამაზი. თან ხომ იცით, შვიდი ქართველებისთვის საკრალური ციფრია.

– მაგრამ, თქვენ ხომ მთელი ცხოვრება თბილისში მოღვაწეობთ, „ერისიონიც“ თბილისთან ასოცირდება.

– კი, მაგრამ აქაც იქნება. ამ მნიშვნელოვან დღეს ჩემი „ერისიონი“ ჩემს გვერდით იყო. ჩვენ კონცერტით, ჩვენი შოუთი წავედით ოზურგეთში. ოზურგეთელები ლაპარაკობდნენ, ამდენი ხალხი არასდროს არ შეკრებილა ოზურგეთშიო. ჩავედით ჩვენივე კონცერტით და ვაჩვენეთ ის პროგრამა, რაც დაგვაქვს მსოფლიოში. მათი დამსახურებაა, რომ აქ ვარ, რომ ჩემი სახელი ასოცირდება „ერისიონთან“.

– ახალ პროგრამაზე მუშაობთ?

– კი. საერთოდ არც ერთი კონცერტი ერთმანეთს არ ჰგავს. ხან ნოტს შეცვლი, ხან მუსიკას შეცვლი, ხან შემსრულებელს. თუმცა დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ამ ყველაფერს, ერთი ნოტიც რომ შეიცვალოს, ყველაფერი იცვლება, მოძრაობაც, დამოკიდებულებაც, ამიტომ ძალიან საყურადღებოა და მოსაფრთხილებელი, ისევე, როგორც ცეცხლზე შემდგარი რძე.

– დამოუკიდებლობის დღეს რატომ არ ჩახვედით ოზურგეთში?

– ხომ ვიყავით ოზურგეთში ვარსკვლავის გახსნაზე, ახლა თბილისში დავრჩით და 40 წუთიანი კონცერტი გვქონდა პარლამენტის შენობის წინ. დღის ბოლოს კი მიწვეული ვიყავი ბატონი პრემიერის მიერ საზოგადოებასთან შეხვედრაზე ბაზალეთის ტბაზე.

– თბილისში ფიქრობთ საკონცერტო დარბაზში კონცერტის ჩატარებას?

– ჯერჯერობით არა, იმიტომ, რომ ამას ბევრი მიზეზი აქვს. კარგია ღია ცის ქვეშ ჩატარებული კონცერტები, მაგრამ ამ დროს 50 პროცენტი იკარგება, არ აქვს ის ეფექტი, რაც უნდა ჰქონდეს. იქ ვერც წესიერად გაანათებ, ვერც ხმას მოაწესრიგებ. 26 მაისს თავისუფლების მოედანზე შეკრებილებმა საოცრად მიგვიღეს, ბედნიერები ვართ, მაგრამ ჩვენი შოუ გაკეთებულია დახურული სივრცისთვის, თუმცა ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ მღვდელი ჭილოფში იცნობა. ეს სულ სხვა რამეა. ჩვენ გვინდა კონცერტების ჩატარება, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ჯერ კოსტიუმები უნდა შევცვალოთ მთლიანად.

– რატომ?

– 1986 წელს შეკერილი კოსტიუმები გვაქვს.

– გაცვდა?

– ახალი მთავრობა ძალიან დაგვეხმარა, 50.000 მოგვცა, თორემ კონცერტზე ვეღარ გამოვიდოდით. როცა ხარჯავ რაღაცას, 50 პროცენტი მაინც უნდა ამოიღო, რომ არ დაზარალდე. ჩვენთან კი ხარჯი აჭარბებს შემოსავალს. ბილეთები არ იყიდება. 40 ლარი რომ დავადეთ ბილეთს ფასი, ნაწყენები დარჩნენ, 40 ლარი რატომ დააფასეთ ბილეთებიო, არადა, 50-50-ზე რომ გათვალო, მაშინ ბილეთის ფასი 100 ლარი უნდა იყოს.

– თქვენი ახალი კოსტიუმები ორიგინალიდან ზუსტად აღდგენილი იქნება?

– დიახ, ყველა იქნება ორიგინალიდან აღდგენილი კოსტიუმები, ერთი-ორი კი სრულიად ახალი იქნება.

– ვინ აღადგენს თქვენს კოსტიუმებს?

– ჩვენი კოსტიუმები მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებაა. ჩვენ მოვიფიქრეთ რა გავაკეთოთ და ვკითხავთ, გამოდგება თუ არა, აღარ ვაწუხებთ, ისედაც უანგაროდ გაგვიკეთა ყველაფერი და ყოველთვის ისე გვეხმარებოდა. ახალ კოსტიუმებს ახალი ცეკვებისთვის ვქმნით, დავდგით უკვე ცეკვა აფხაზური, ახლა ლაზურს ვაკეთებთ კიდევ და ამ ცეკვებს კოსტიუმებიც სჭირდება. ჩვენ სიმღერებიც გვაქვს ახალი. როცა ანსამბლი ცეკვისა და სიმღერის არის, თან შოუ პროგრამა აქვს და წინა პლანზე სანახაობაა წამოწეული, ჩვენ ვალდებულები ვართ, საუკეთესოდან საუკეთესოები წარმოვადგინოთ. ბოლო-ბოლო 8 ათასი ქართული ხალხური სიმღერაა ჩაწერილი, თუ მეტი არა და ყველას ხომ ვერ ვიმღერებთ? ამიტომ ვარჩევთ საუკეთესოებს, ჩვენი ვალდებულებაა გვქონდეს ყველა კუთხის ან სიმღერა, ან ცეკვა. ამ მხრივ ძალიან შეზღუდულები ვართ, ძალიან ბევრი კარგი სიმღერა აქვს ქართულ კუთხეებს ისეთი, რომელიც მსოფლიოს დაამშვენებდა და თან ვერ გამოარჩევ ერმანეთისგან. როგორ გინდა ჩაკრულო არ იმღერო, რომელიც კოსმოსშია გაშვებული, როგორ შეიძლება ხასანბეგურა, კრიმანჭული არ იმღერო, როგორც შეიძლება აჭარული არ იმღერო, უკვე იქამდე მივედით, რომ რომელი ავარჩიოთ, აღარ ვიცით.

– გასტროლები ისევ გაქვთ?

– ერთ კვირაში ბაქოში მივდივართ, ქორწილში მიგვიწვიეს. სხვა საგასტროლო კონცერტებით გვაქვს დაგეგმილი, მაგრამ სანამ კონკრეტულად არ დაზუსტდება თარიღი, მანამდე არაფრის თქმა არ შემიძლია.

თბილისში ფოტოფესტივალი ჩატარდება

28 მაისს აბანოთუბანში ღია ცის ქვეშ ჰიგით მეოთხე ფოტოფესტივალი 2013 საზეიმოდ ინსტალირებული გამოფენით გაიხსნება და 4 ივნისამდე გაგრძელდება.

ეკა ირემაშვილი

მწერალთა სახლში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე ცნობილი გახდა, რომ ფოტოფესტივალი სხვადასხვა ღონისძიებებით იქნება დატვირთული. ჟურნალისტებს მწერალთა სახლში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის წევრები, ფესტივალის მონაწილეები, „ნეშენალ ჯეოგრაფიკის“ საქართველო წარმომადგენლები და ფოტოგრაფი ანტუან დაგატა შეხვდნენ.

– წელს ფოტოფესტივალი გაიხსნება 28 მაისს აბანოთუბანში. ყოველწლიური საერთაშორისო ფოტოგრაფიის ფესტივალი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით 2010 წლიდან ტარდება თბილისში. ფესტივალმა რეგიონული მნიშვნელობის კულტურული ღონისძიების სახელი უკვე დაიმკვიდრა და ტრადიციისამებრ თავს უყრის საერთაშორისო ფოტოგრაფიულ ელიტას – ცნობილ ფოტოგრაფებს და კურატორებს, საერთაშორისო პერიოდიკული გამცემების რედაქტორებს და ევროპის ცნობილი სამუზეუმო სივრცეების წარმომადგენლებს, ასევე, რეგიონის ახალგაზრდა ფოტოგრაფებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან, ირანიდან, ერაყიდან, – აღნიშნა ფესტივალის წარმომადგენელმა თიკა ლაღიძემ.

თბილისის ფოტოფესტივალი აღიარებულ და მსოფლიოში ცნობილ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის სარეგის დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხოგის ღვთისმშობლის სარეგის დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეხზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

ოქრუაშვილმა მასტერსიდან ოქრო წამოიღო

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა რუსეთის ქალაქ ტიუმენში ჩატარებულ უპრესტიჟულეს ტურნირზე მსოფლიოს მასტერსზე 4 მედალი მოიპოვა. 1 ოქრო და 3 ბრინჯაო – ასეთია ირაკლი უზნაძის შეგირდების მონაგარი.

ყველაზე დიდ წარმატებას მძიმეწონოსანმა ადამ ოქრუაშვილმა მიაღწია, რომელმაც შესანიშნავი აკორდი დასვა და მედლების ბოლო კომპლექტი ოქროთი დაასრულა.

ოქრუაშვილმა ტურნირზე სამი წმინდა გამარჯვება მოიპოვა და ჩემპიონის ტიტულთან ერთად 700 სარეიტინგო ქულაც გაინაღდა.

ოქროს მიმავალ გზაზე ოქრუაშვილს პირველად კუბელი ოსკარ ბრისონი გადაეღობა, მაგრამ ქართველმა სპორტსმენმა იპონით მოუგო. ამის შემდეგ მეტოქეებად მხოლოდ ბრაზილიელები ჰყავდა. ნახევარფინალში ვალტერ სანტოსი საფინალო სირენამდე 21 წამით ადრე დასცა ბეჭებზე. ქართულ-ბრაზილიური ფინალიც ხანგრძლივი გამოდგა – სირენამდე 30 წამით ადრე ადამ ოქრუაშვილმა მეტოქე შებოჭა. თუმცა, მანამდე ქართველმა მძიმეწონოსანმა იუკოს და ვაზარის აღებაც მოასწრო.

ადამ ოქრუაშვილი:

– ფინალისთვის ძალიან სერიოზულად ვიყავი განწყობილი. ძალიან ძლიერი მეტოქე მყავდა, მაგრამ შიშის გრძნობა არ მქონია. ტატამზე მტკიცე გადაწყვეტილებით გავედი – მოგება შემიძლია. ადრე ბრაზილიელს არ შევხვედრივარ, მაგრამ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც არასდროს. ფინალური ბრძოლის შემდეგ ძალიან ემოციური ვიყავი, სხვანაირად არც შეიძლებოდა. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ „მასტერსზე“ მოხვედრაზე ვოცნებობდი და უკვე ჩემპიონი ვარ. რა თქმა უნდა, ჩემში ახლა ემოციები სჭარბობს.

როგორც უკვე გითხარით, საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს მასტერსზე კიდევ 3 მედალი აიღო – ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ: ამირან პაპინაშვილი (60 კგ), ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ).

პაპინაშვილისთვის დაუძლეველი ზღუდე მეოთხედფინალი და ყაზახი იელდოს სმეტოვი აღმოჩნდა. წუთით ადრე სმეტოვი მხოლოდ გაფრთხილებით იგებდა, მაგრამ ბოლოს ვა ბანკზე წასული ქართველი სპორტსმენი იუკოზე წამოეგო, რამდენიმე წამში კი ვაზარზეც დავარდა და შებოჭვაზეც მოჰყვა.

პაპინაშვილმა დამამშვიდებელ ეტაპზე კარგი ჭიდაობით მაინც მოახერხა მედლის აღება – ჯერ იყო რეპეშაჟის ნახევარფინალში მონღოლი ამარტუვშინ დაშავაა დასცა ბეჭებზე, შემდეგ კი, რუსეთის ნაკრების წევრ ბესლან მუდრანოვი.

მასტერსზე გამოსვლა ჭრიკიშვილმაც მეოთხედფინალით დაიწყო, მაგრამ ოქრო-ვერცხლის შანსი რუსეთის ნაკრების წევრ მურატ ხაბაჩიროვთან წაგებით დაკარგა. ყველასთვის მოულოდნელად, ქართველი ძიუდოისტი პირწმინდად დაიჩაგრა. საწყის წუთნახევარში ორჯერ იუკოზე დავარდა, ერთხელ ვაზარზე. მესამე წუთზე კი თავისსავე წამოწყებულ გდებაზე იპონით წაგება დაუფიქსირეს.

ხაბაჩიროვის ჯავრი ავთანდილ ჭრიკიშვილმა რუსეთის ნაკრების კიდევ ერთ წევრზე, სირაჟუდინ მაგომედოვზე იყარა და მეტოქეს ვაზარ-იუკოთი გასცდა. რეპეშაჟის ფინალში კი კანადელ ანტუან ვალუა-ფორტიეს მხოლოდ იუკო აკმარა.

ვარლამ ლიპარტელიანს ნახევარფინალში უხერხული მეტოქე კირილ დენისოვი გადაეყარა, რომელთანაც ახლახან ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ფინალში წააგო. დაპირისპირების ბედი ერთადერთმა გაფრთხილებამ გადაწყვიტა, რომელიც მსაჯმა ლიპარტელიანს მისცა.

დენისოვთან დაჭიდებამდე ქართველმა ძიუდოისტმა ორი შეხვედრა მოიგო – რუსი გრიგორი სულემინი ვაზარით ჩამოიშორა, ხოლო იაპონელ შოჰეი შიმოვადას ორი ვაზარით. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი, ეგვიპტელი ჰატემ აბდ ელ ახერი მტკივნეულ ილეთზე დაიჭირა.

ვალერი ლიპარტელიანი:

– აქ პირველი ადგილისთვის ჩამოვედი, ასე რომ, ბრინჯაოს მედლით დიდ სიხარულს ნამდვილად არ განვიცდი. კირილი ძალიან კარგი სპორტსმენი და ბიჭია. კარგად მაქვს შესწავლილი მისი სტილი, მაგრამ მოგებას ვერ ვახერხებ. იმედი მაქვს, ეს არასასიამოვნო სერია დიდხანს არ გასტანს. ასე დარწმუნებით ვერ ვიტყვი. ჩვენს წონაში ბევრი ძლიერი ოსტატია: იგივე დენისოვი, კუბელი გონსალესი. სიურპრიზები ყველასგან მოსალოდნელია....

შალვა ქარდავასთვის (66 კგ), ზებედა რეხვიაშვილისა და ნუგზარ ტატალაშვილისთვის (ორივე 73 კგ), ლევან წიკლაურისთვის (81 კგ), ზვიად გოგოჭურისა (90 კგ) და ირინე ლეონიძისთვის (მძიმე) კი მასტერსი მერვედფინალით დაიწყო და დასრულდა.

ქარდავა იაპონელ ტომოფუმი ტაკაიოსთან მესამე წუთზე შებოჭვით დამარცხდა. რეხვიაშვილისა და უზბეკი მირალი შარიპოვის შეხვედრის ბედი ერთმა გაფრთხილებამ გადაწყვიტა, შარიპოვის სასარგებლოდ. ტატალაშვილი კი ბრაზილიელ ბრუნო მენდონსასთან მესამე წუთზე ვაზარზე დავარდა და საფინალო სირენამდე მისი ამოღება ვეღარ მოახერხა.

წიკლაურმა მერვედფინალში იაპონელ კეიტა ნაგაშიმასთან ორი გაფრთხილებით წააგო. გოგოჭური უილეთოდ, გაფრთხილებებით 1:3 დამარცხდა ტურნირზე მეორე ნომრად განთესილ კუბელ ეშლი გონზალესთან, ხოლო ლეონიძემ მომავალ ჩემპიონთან, ჩინელ სონგ იუსთან შეხვედრაში სამწუთნახევარში ოთხი შიდო მიიღო.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩემპიონია

ოლიმპი – შსს აკადემია 80:86

სუპერლიგას ახალი ჩემპიონი ჰყავს. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გუნდმა ფინალური სერიის მე-5, გადამწყვეტ მატჩში 86:80 დაამარცხა „ოლიმპი“ და პირველად, არსებობის 5-წლიან ისტორიაში, ქვეყნის უმთავრესი ტიტული პირველად მოიგო.

გადამწყვეტ მატჩამდე გუნდებმა 2-2 მატჩი მოიგეს და ყველაფერი სერიის ბოლო, გადამწყვეტ მატჩზე იყო დამოკიდებული, რომელსაც უკეთესად მომზადებულები შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიელები შეხვდნენ. ბერძენი სპეციალისტის, გეორგის კეცელიდისის გაწვრთნილმა „შსს-აკადემიამ“ საჩემპიონო მატჩი საბოლოოდ 6 ქულით კი მოიგო, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ „ოლიმპს“ ყველა სათამაშო კომპონენტში აჯობა.

კეცელიდისის გუნდმა ლიდერობა თავიდანვე რომ მოიპოვა, მეტოქე ერთხელაც არ გაუშვია წინ. „ოლიმპმა“ მატჩის პირველი ბურთი ჩააგდო და 2:0 დაწინაურდა, რის შემდეგაც კირკ არჩიბეკის დიდებული თამაშის წყალობით აკადემიელებმა 10:0 გაქცევა მოაწყვეს და როგორც ვთქვით, უპირატესობას თამაშის ბოლომდე ფლობდნენ.

პირველი მეოთხედი შსს-მ 25:15 მოიგო. აკადემიელთა ცენტრი პერმეტრზე აიწია და სამქულიანი ნიშნულის სიახლოვედან ორქულიანებს წარმატებით ისროდა. უკანა ხაზიდან აქტიურობდა დეონტა ვონი, რომელიც ზუსტ გარღვევებსაც ახორციელებდა და შორი, თუ საშუალო დისტანციებიდან წარმატებით ბომბავდა ოლიმპელთა ფარს.

მეორე ტაიმი აკადემიელთა 8-ქულიანი უპირატესობით განახლდა. მესამე პერიოდი გარდამტეხი გამოდგა. თავიდან „შსს-აკადემია“ 12 ქულით დაწინაურდა (56:44), თუმცა დარენ მურის სამქულიანის და სტეფან მილოშევიჩის შედეგიანი ფარქვეშა თამაშის წყალობით ოლიმპელებმა 9:0 გაქცევა მოაწყვეს და ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირეს – 53:56. შსს-ს მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო და მოედანზე დაბრუნებულმა აკადემიელებმა თამაში გამოასწორეს. ბენჟამინ რეიმონდმა, რომელიც მანამდეც შედეგიანად თამაშობდა, ოლიმპიელებს ფარქვეშ პრობლემები შეუქმნა. რეიმონდის ათამაშებამ საქმე გაუიოლა კირკ არჩიბეკს და შსს-მ გადამწყვეტი მეოთხედის წინ 8-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნეს – 62:54.

ბოლო პერიოდში ოლიმპელებმა მეტოქეზე კიდევ ერთხედ მიიტანეს იერიში და დარენ მურისა და მიხეილ ბერიშვილის შედეგიანი თამაშის წყალობით, თამაშის დასრულებამდე 6 წუთით ადრე ჩამორჩენა კვლავ 3 ქულამდე შეამცირეს – 62:65. აკადემიელებმა უპირატესობა მაინც არ დათმეს. ილია ლონდარიძის, არჩიბეკის და ვასილის კუნასის ქულებით „შსს-აკადემიას“ 10-ქულიანი ჰანდიკაპი დაუბრუნა და დარჩენილ დროში ოლიმპელებს წარმატების შანსი გადაეწურათ.

ჩემპიონებს 22 ქულით და 12 მოხსნით კირკ არჩიბეკმა ულიდერა. 21 ქულა და 8 მოხსნა დააგროვა ბენჯამინ რეიმონდმა, დეონტა ვონის ანგარიშზე კი 17 ქულა დაგროვდა. 8-8 ქულით აკადემიელებს მერაბ ბოქოლიშვილი და ილია ლონდარიძე შეეშველნენ. „ოლიმპის“ შემადგენლობაში 25 ქულით და 7 მოხსნით სტევან მილოშევიჩი გამოირჩა, 17-17 ქულა დააგროვეს დარენ მურმა და მიხეილ ბერიშვილმა.

სუპერლიგის სეზონი 29 მაისს ფინალისტების სუპერთასით დასრულდება: „შსს-აკადემია“ და „ოლიმპი“ ერთმანეთს სეზონის ბოლო ტიტულს შეეცილებიან.

მატჩის შემდეგ

გეორგის კეცელიდისი (შსს აკადემია):

– პირველ რიგში, ვულოცავ ჩემს გუნდს და ასევე მადლობას ვეტყვი მეტოქე გუნდის მწვრთნელს, ბატონ გია კაზანჯიანს, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მასთან თამაში ყოველთვის მსიამოვნებს და დიდ პატივს ვცემ. ძალიან რთული სერია გამოვიდა, ვულოცავ ბიჭებს, ისინი ჩემთვის მოთამაშეებზე მეტნი არიან, შვილებად იქცნენ, მათი შრომის დამსახურებაა, რომ თასის და სუპერლიგის ჩემპიონები გავხდით. როგორც იცით, საბერძნეთიდან ვარ და იქ ძალიან ბევრი ადამიანია, რომელთაც ჩემი წარმატება უხარიათ, დიდ მადლობას ვეტყვი ჩემს კოლეგებს – ბარძოკას „ოლიმპიაკოსიდან“, პედულაკისს „პანათინაიკოსიდან“ და რუსეთის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ კაციკარისს. მინდა ეს გამარჯვება ყველა ბერძენ მწვრთნელს მივუძღვნა. განსაკუთებით მივულოცავ ჩემპიონობას ილია ლონდარიძეს, რომელიც არაჩვეულებრივი ადამიანი და ნამდვილი კაპიტანია, არა მხოლოდ მოედანზე, არამედ მოედნის გარეთაც და ეს ყველაფერში ჩანდა. ვთვლი, რომ ნამდვილად იმსახურებდა ნაკრებში გამოძახებას. რაც შეეხება ჩემს საქართველოში დარჩენას: ახლა საბერძნეთში მივემგზავრები, სადაც ოჯახი მელოდება. საქართველოში დაბრუნებაზე არ მაქვს ჯერ გადაწყვეტილება მიღებული, სავარაუდოდ, ძნელი იქნება აქ დარჩენა. თუმცა, ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იქნებოდა ეროვნულ ნაკრებში, მათ შორის ასაკობრივ ნაკრებებში, თუნდაც ასისტენტად ყოფნა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით შემოთავაზებები არ მიმიღია.

გია კაზანჯიანი (ოლიმპი):

– ვულოცავ „შსს აკადემიას“ გამარჯვებას, ღირსეულმა გაიმარჯვა, დღეს ჩვენზე ბევრად ძლიერები იყვნენ, თავიდანვე დიდი უპირატესობა მოიპოვეს, ძალიან ბევრი ვიბრძოლეთ, 3-ქულამდე დავიყვანეთ სხვაობა, თუმცა ძალები აღარ გვეყო, რომ წინ გავსულიყავით. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი წარმატებული სეზონის ბოლოს ფინალურ სერიაში დავმარცხდით. იცით, რომ ჩვენი თამაში აწყობილია მილოშევიჩზე, დღეს კი არჩიბეკმა მას ტოლი არ დაუდო, წამყვანი მოთამაშეებიდან ვერ მივიღეთ დასაწყისში კარგი თამაში. ძირითადში კი ჩვენი მარცხი იმან განაპირობა, რომ 3-წამიანი ზონიდან 50 ქულა მივიღეთ, საპასუხოდ კი, მხოლოდ 34 ჩავაგდეთ. ასეთი თამაშით ვერც მოვიგებდით. მადლობას ვეტყვი ჩემს კლუბს და წარმატებას ვუსურვებ მომავალში.

ილია ლონდარიძე (შსს აკადემია):

– პირველ რიგში, მივულოცავ ჩემს გუნდს ამ გამარჯვებას და მადლობას ვეტყვი „ოლიმპს“ ასეთი საინტერესო სერიისთვის. ძალიან ბევრი ვიშრომეთ და შედეგი სახეზეა. მადლობა გეორგის კეცელიდის, რომელმაც მთელი წელი არაფერი დაზოგა და ყველაფერი ჩადო ჩვენში, დიდი მადლობა კლუბის პრეზიდენტს, მენეჯერს და ყველას, ვინც გვერდით გვედგა.

შედეგები

ფეხბურთი

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბილბაო-ლევანტე 0:1
ატლეტიკო-მალიორკა 0:0
ბეტისი-სარაგოსა 4:0
ვალენსია-გრანადა 1:0
ვალიადოლიდი-სელტა 0:2
მალაგა-დეპორტივო 3:1
ოსასუნა-სევილია 2:1
სოსიედადი-რეალი 3:3
ხეტაფე-რაიო 1:2
ესპანიოლი-ბარსელონა 0:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	37	31	4	2	111-39	97
2.რეალი	37	25	7	5	99-40	82
3.ატლეტიკო	37	22	7	8	62-30	73
4.ვალენსია	37	19	8	10	64-50	65
5.სოსიედადი	37	17	12	8	69-49	63
6.მალაგა	37	16	9	12	52-46	57
7.ბეტისი	37	16	7	14	56-55	55
8.რაიო	37	16	4	17	48-64	52
9.სევილია	37	13	8	16	54-51	47
10.ხეტაფე	37	13	8	16	43-55	47
11.ლევანტე	37	12	9	16	39-56	45
12.ესპანიოლი	37	11	11	15	43-51	44
13.ბილბაო	37	12	8	17	42-63	44
14.ვალიადოლიდი	37	11	10	16	47-54	43
15.გრანადა	37	10	9	18	35-54	39
16.ოსასუნა	37	10	9	18	31-46	39
17.დეპორტივო	37	8	11	18	47-69	35
18.სელტა	37	9	7	21	36-52	34
19.სარაგოსა	37	9	7	21	36-59	34
20.მალიორკა	37	8	9	20	39-70	33

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

მურსია-პონფერადინა 0:2
ელჩე-რეალი ბ 1:1
ლუგო-საბადელი 2:0
რასინგი-გვადალახარა 0:0
ნუმანსია-ერკულესი 3:2

იტალია. თასი. ფინალი

რომა-ლაციო 0:1

იტალია. სერია ბ. პლეი ოფი

ემპოლი-ნოვარა 4:1

ემპოლის მე-4 ბურთი ლევან მჭედლიძემ გაიტანა

ლივორნო-ბრეშა 1:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

აიაჩო-ნიცა 0:2
ბასტია-სოშო 0:0
ბორდო-ევიანი 2:1
ბრესტი-ნანსი 1:2
ვალანსიენი-ტრუა 2:1
ლილი-სენტ ეტიენი 1:1
ლიონი-რენი 2:0
ლორიანი-პრუ 1:3
მარსელი-რეიმსი 0:0
ტულუზა-მონპელიე 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	38	25	8	5	69-23	83
2.მარსელი	38	21	8	9	42-36	71
3.ლიონი	38	19	10	9	61-38	67
4.ნიცა	38	18	10	10	57-46	64
5.სტ. ეტიენი	38	16	15	7	60-32	63
6.ლილი	38	16	14	8	59-40	62
7.ბორდო	38	13	16	9	40-34	55
8.ლორიანი	38	14	11	13	57-58	53
9.მონპელიე	38	15	7	16	54-51	52
10.ტულუზა	38	13	12	13	49-47	51
11.ვალანსიენი	38	12	12	14	49-53	48
12.ბასტია	38	13	8	17	50-66	47
13.რენი	38	13	7	18	48-59	46
14.რეიმსი	38	10	13	15	33-42	43
15.სოშო	38	10	11	17	41-57	41
16.ევიანი	38	10	10	18	46-53	40
17.აიაჩო	38	9	15	14	39-51	40
18.ნანსი	38	9	11	18	38-58	38
19.ტრუა	38	8	13	17	43-61	37
20.ბრესტი	38	8	5	25	32-62	29

შენიშვნა: აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

ჰოლანდია. ეხედივიზიონი

პლეი ოფი

უტრეხტი-ტვენტე 1:2

პორტუგალია. თასი

ფინალი

ბენფიკა-გიმარაეში 1:2

შოტლანდია. თასი

ფინალი

ჰიბერნიანი-სელტიკი 0:3

შვეიცარია. სუპერიგა

სტ.გალენი-სერვეტი 4:1
იანგ ბოიზი-ციურიხი 2:4
გრასჰოპერსი-ბაზელი 1:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-ინსბრუკი 2:3
მატერსბურგი-ადმირა 0:1
რაპიდი-რიდი 3:0
ზალცბურგი-აუსტრია 3:0
ზალცბურგი-აუსტრია 3:0
შტურმი-ნოიშტადი 0:3

ბელგია. პროიგა

პლეი ოფი

სტანდარდი-გენტი 7:0

საბერძნეთი. სუპერიგა

პლეი ოფები

პაოკი-ასტერასი 1:0
ატრომიტოსი-იანინა 2:0

ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

პლზენი-ლიბერეკი 1:2
ბუდეოვიცე-იიჰლავა 2:1
დუკლა-ბოლესლავი 2:1
პრჟიბრჟამი-ბრნო 2:0
სლავია-ჰრადეც კრალოვე 3:0
სლოვაკო-ბანიკი 2:0
ტეპლიცე-სპარტა 0:3
იაბლონეცი-სიგმა 2:1

პოლონეთი. ექსტრაჯლასი

პოგონი-გურნიკი 1:0
იაგელონია-შლიონსკი 0:3

უკრაინა. პრემიერლიგა

დნიპრო-ილიჩევეცი 7:0
ვორსკლა-ჰოვერლა 3:0
დინამო-მეტალურგი(ზ) 3:0
ზორია-ტავრია 3:0
კარპატი-მეტალისტი 1:1
ჩერნომორეცი-არსენალი 0:0
შახტარი-მეტალურგი(დ) 4:0

შვედეთი. თასი. ფინალი

დიურგარდენი-გიოტებორგი 1:1(1:3პ)

ნორვეგია. ტიპელიგა

ლილესტრიომი-ჰაუგესუნდი 3:0
ვიკინგი-ტრომსო 2:1
სონგდალი-სტარტი 1:1
ოდ გრელანდი-ულფი 3:0
ბრანი-სარპსბორგი 3:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ინტერი-ჯჯკ 3:1
კუუპიო-ჰონკა 1:2
მიუპა-ვპს 3:0
ჰიკი-როვანიემი 3:0
იარო-ტპს 1:1
მარიეჰამნი-ლახტი 2:2

აშშ. მლს

კანზასი-ჰიუსტონი 1:1
ნიუ იორკი-კოლამბუსი 2:2
ლოს ანჯელესი-სიეტლი 4:0

ბრაზილია. სერია ა

გრემიო-ნაუტიკუ 2:0
კრისიუმა-ბაია 3:1
პონტე პრეტა-სან პაულუ 0:2
სანტოსი-ფლამენგო 0:0
კურიტიბა-ატლეტიკო(მ) 2:1
კრუზეირო-გოიასი 5:0
ფლუმინენსე-ატლეტიკო(პ) 2:1

არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

ბელგრანო-ინდეპენდიენტე 0:0
რასინგი-გოდოი 1:1
სან მარტინი-ლანუსი 3:1
რივერ პლეიტი-რაფაელა 3:0
ოლდ ბოიზი-ბოკა 4:0

კალათბურთი

ნბა. პლეი ოფი

ინდიანა-მაიამი 96:114
სერიის ანგარიში: 1:2

ჩოგბურთი

ჰოლან გაჰოსი. ჯაცები

კიურეი-ლაცკო 6:3;6:4;6:4
ფედერერი-კარენო-ბუსტო 6:2;6:2;6:3
გაიეკი-კუდლა 6:2;5:7;6:0;6:4
მუნიოსი-დევვარმანი 3:6;3:6;5:7
ჩარდი-ბეკერი 6:4;6:2;7:5
ფერეფი-მატოსევიჩი 6:4;6:3;6:4
ლოდრა-დარსი 6:4;4:6;6:1;6:4
ტროიცკი-ბლეიკი 6:4;6:2;6:2

ქალები

გარსია-ბეიგელზიმერი 6:3;6:4
პეტროვა-პუჩი 6:3;5:7;4:6
პავლოვიჩი-როჯერსი 3:6;4:6
ფერსტეინი-რაზანო 6:7;4:6
ფიცენმაიერი-მინელა 7:5;6:1
ლისიცკი-არვიდსონი 6:3;6:4
ვოსკობოევა-მინი 4:6;6:4;7:5
უილიამსი!ვ.-რადვანსკა!უ. 6:7;7:6;4:6

ჰოკეი. ნჰლ. პლეი ოფი

სან ხოსე-ლოს ანჯელესი 2:1
სერიის ანგარიში: 3:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ვინ სად შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სპორტის სხვადასხვა სახეობებში – ხრიდოლში, ფარიკაობაში, ქუჩის კალათბურთში, ძიუდოში, ქართულ ჭიდაობაში, ჭადრაკში, მინი ფეხბურთში, გრეხეტბოთლში.

თავისუფლების მოედანზე თავდაცვის სამინისტროს კურსდამთავრებულთა ფიცის საზეიმო ცერემონიალი ჩატარდა, გადაიფრინეს თვითმფრინავებმა და მოეწყო თავდაცვის სამინისტროს სასულე ორკესტრის საჩვენებელი მსვლელობა. კოსტიუმირებული მსვლელობა ჩატარდა თავისუფლების მოედნიდან ვარდების რევოლუციის მოედნისკენაც, რომელზეც წარმოდგენილი იყო საქართველოს ყველა ეპოქის დროშა და სასულე ორკესტრი.

რაც შეეხება მუსიკალურ პროგრამას, თბილისში მთელ რუსთაველის გამზირზე მოწყობილი იყო საკონცერტო სცენები, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ თბილისის „ბიგ ბენდი“, „რეტრო ბენდი“, ავთანდილ მამაცაშვილის კამერული ორკესტრი, „ჯორჯიან ბრასი“, პანტომიმის თეატრის დასი, ილუზიონისტები, „სუხიშვილები“, „რუსთავი“, „ერისიონი“, „მართვე“, „აფხაზეთი“, „ორბი“, „მძლევარი“, ქუჩის მუსიკოსები, ბავშვთა კვინტეტი, კონსერვატორიის ჯაზბენდი, ნიჭიერთა ათწლედის მოსწავლეების გამოსვლები, ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო მოსწავლეების გამოსვლა, დავით ილურიძის ბენდი, სასულე ორკესტრი ირაკლი ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით.

თბილისში ღონისძიებები, რუსთაველის გამზირის გარდა, რამდენიმე ადგილას ჩატარდა. გლდანის პარკში წარმოდგენილი იყო თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ტექნიკა და აღჭურვილობა, მოეწყო ბუნგალო, ლუდის ფესტივალი, შეჯიბრებები სპორტის სახეობებში. მუსიკალურ პროგრამაში გაერთიანდა საბავშვო კონცერტი, ხალხური ცეკვა და სიმღერა, ანსამბლ „ორერას“ კონცერტი, სტუდენტური დღეების ჰიმნი, დიჯეი ლევან ჯიმშელეიშვილი, ხოლო ღონისძიებები გლდანის პარკში დიზაინერ დათუნა სულიკაშვილის კოლექციის ჩვენებამ დახურა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ჩატარდა ვარკეთილის სკვერშიც, სადაც თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ტექნიკა და აღჭურვილობა გამოიფინა, წარმოდგენილი იყო თოჯინების თეატრის ფესტივალი, ანსამბლი „მუხამბაზი“, იუმორინა, დიჯეის პროგრამა.

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ტექნიკა და აღჭურვილობა დასათვალიერებლად საქართველოს რეგიონებშიც გადანაწილდა. საქართველოს რეგიონებში არსებული მემორიალები გვირგვინებით შეამკეს, შედგა ძეგლების გახსნა, ჩატარდა შეჯიბრებები, მარათონები, ასპარეზობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, შედგა შეხვედრები რეკორდსმენ სპორტსმენებთან, ჩატარდა დოღი, საერთაშორისო „რეგატა“ იალქნიანი ნავებით, ღია პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში, თეატრალური წარმოდგენები, სახალხო სეირნობები, მეჯლისები, კოსტიუმირებული მსვლელობები, ადგილობრივი სამზარეულოების, ღვინის, ლუდის, ყვავილების ფესტივალები, წიგნების, მხატვრული და ფოტო ნიმუშების, ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების, ხალხური რენვის, ყვავილების, მუზეუმის ექსპონატებისა და ადგილობრივი ბიბლიოთეკების, სამთო აღჭურვილობის, ცვილის ფიგურების გამოფენები; ეროვნულ უმცირესობათა მუსიკალურ-გასართობი პროგრამები; ჩოხოსანთა მსვლელობები, საბავშვო პროგრამები, თოჯინური სპექტაკლები, მხიარული სტარტები, ტურნირები სკოლებს შორის, საცირკო სანახაობები, ასფალტზე ხატვა და პლანერები, საბავშვო კონცერტები და სპექტაკლები, კულინარიული შეჯიბრებები, ღვინის დეგუსტაციები, ქუჩის აქციები ეროვნული თემატიკით, რეპ-შოუები, ალტერნატიული მუსიკოსების, სპორტული და სამეჯლისო ცეკვების, ქორეოგრაფიული, ხალხური ანსამბლების თვითშემოქმედებითი კოლექტივების გამოსვლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღონისძიებები, დიზაინერთა კოლექციების ჩვენება, ქართული პურის, ჩაის სხვადასხვა ეროვნული ქართული პროდუქციის კუთხეები, ფლეშმობი, 1918-21 წლების დამოუკიდებლობის ამსახველი ვიდეომასალის ჩვენება, ტრადიციულ სამოსში გამოწყობილ ცხენოსანთა ჯგუფების მსვლელობები, ქართველი მწერლების ცნობილი პერსონაჟების გაცოცხლება და საყოველთაო სეირნობა ძველებური ღია „კონკით“, ტურისტული კუთხეები, კონცერტები ცნობილი ქართველი მომღერლებისა და ანსამბლების შესრულებით. საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა 26-ვე ქალაქში სახელმწიფო ჰიმნითა და ფოიერვერკით დასრულდა.

26 მაისს საქართველოში არ შეხვედრია მომღერალი სოფო ნიჟარაძე, ის საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან და მის უფროს ვაჟთან ედუარდ სააკაშვილთან ერთად ავღანეთში შეხვდა. საქართველოს პრეზიდენტმა ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ჰელმანდის პროვინციაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა. დამოუკიდებლობის დღეს მიხეილ სააკაშვილი ბაზა ლეზერნიკზე მე-3 ბრიგადის 33-ე ბატალიონისა და მე-4 ბრიგადის 42-ე ბატალიონის ჯარისკაცებთან ერთად შეხვდა.

ამ ვიზიტის ამსახველი ფოტომასალა მომღერალმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა და კომენტარებიც დაურთო.

მომღერალმა ჯარისკაცებისთვის საქართველოსა და ამერიკის ჰიმნები და პატრიოტული სიმღერები შეასრულა. მომღერალმა „ფეისბუქში“ ქართველებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და სამხედრო ფორმაში გადაღებულ ფოტოს წარწერაც დაუტოვა „რიგითი ნიჟარაძე ბაზაზე, სასადილოში! ავღანეთი, 26 მაისი 2013.“

„მე ვარ ამაყი და ბედნიერი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე გავატარე სამშობლოსთვის თავდადებულ ჯარისკაცებთან ერთად, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში ავღანეთში, ვარ ამაყი, რომ მხვდა წილად ბედნიერება შემესრულებინა საქართველოს ეროვნული ჰიმნი სამშობლოსთვის თავგანწირული პატრიოტების წინაშე, რომლებიც ხშირად თავიანთი სიცოცხლის ფასად ემსახურებიან საქართველოს და სამშობლოდან შორს, მაგრამ მაინც შეუპოვრად იბრძვიან ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის! გილოცავთ ყველას საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ღმერთი იყოს თითოეული თქვენთაგანის და სრულიად საქართველოს მფარველი!“ – დაწერა მომღერალმა.

მის ამ ფოტოს, როგორც მოსალოდნელი იყო, კომენტარები მოყვა, რაც სოფო ნიჟარაძეს უპასუხოდ არ დაუტოვებია:

„მე ვნახე ჯარისკაცები, ვნახე მათი ბედნიერი სახეები და ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზოგიერთი ობიექტის სულელური აზრი! ყველას მადლობა თბილი სიტყვებისთვის...

...სანამ ვერ გბლოკავთ აქედან, გადმოანთხიეთ შინაგანი ემოციები, გაიხარეთ და ბედნიერად დაიძინეთ...“ – დაწერა სოფო ნიჟარაძემ.

თბილისში ფოტოფესტივალი ჩატარდება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ფოტოგრაფებთან და სააგენტოებთან თანამშრომლობს და მრავალრიცხოვან პუბლიკას ექსკლუზიურ გამოფენებს, თანამედროვე ფოტოგრაფიის ცოცხალი ლეგენდების მასტერკლასებს და „ფოტოგრაფიის ღამის“ უნიკალურ პროგრამას სთავაზობს, რომელიც მსოფლიოს უახლეს და საუკეთესო ფოტოგრაფიულ პროდუქციას აერთიანებს.

2013 წელს თბილისის ფოტოფესტივალის პროგრამაში გაერთიანებული გამოფენების სერია ადამიანის უფლებების თემატიკაზე აკეთებას ფოკუსირებას.

– ფესტივალის პროგრამა თანამედროვე ფოტოგრაფიის ისეთი ვარსკვლავების და უმაღლესი ფოტოგრაფიული ჯილდოების მფლობელების ნამუშევრებს აერთიანებს გამოფენების სერიაში და „ფოტოგრაფიის ღამის პროგრამაში“, როგორებიც არიან: ანტუან დაგატა, იური კოზირევი, პეპ ბონე, სტენლი გრინი, ანდრეა ბრუსი, ფანჩესკო ზიზოლა, იუსტინა მელნიკევიჩი, ნევშა თავაქოლიანი და მრავალი სხვა, – განმარტავს ფესტივალის წარმომადგენელი.

2013 წლის თბილისის ფოტოფესტივალის პროგრამა გამოფენების გარდა, საჯარო ლექციებისა და მასტერკლასების ციკლსაც აერთიანებს.

– ფოტოფესტივალი წლევანდელ პროგრამაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ცნობილი და პრესტიჟული ფოტოსააგენტოს „ნურ“, რომლის წევრებიც უკანასკნელი წლების მანძილზე მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის უფლებების დარღვევის დოკუმენტირებაზე მუშაობენ, – აცხადებს სამხატვრო ხელმძღვანელის ასისტენტი თიკა ლაღიძე.

რაც შეეხება ფოტოგრაფიის ღამეს, ეს ღონისძიება პირველ ივნისს გაიმართება და ის ფოტოფესტივალის ცენტრალურ ღონისძიებას წარმოადგენს.

– ტრადიციად ქცეული „ფოტოგრაფიის ღამე“ ძველი თბილისის ქუჩებში, ღია ცის ქვეშ ინსტალირებულ 10 ეკრანზე – აბანოთუბანში, მეიდანზე, ლესელიძეზე, შარდენის ქუჩაზე, ბამბის რიგში, ერეკლე მეორეს ქუჩაზე, გუდიაშვილის ბაღში, იერუსალიმის მოედანზე, აბო თბილელის ქუჩაზე, გია აბესაძის ქუჩაზე – დამთვალიერებლებს მსოფლიოს საუკეთესო და უახლესი ფოტოგრაფიული პროდუქციის ხილვის შესაძლებლობას მისცემს. „ფოტოგრაფიის ღამის“ უშუალო პარტნიორი პრესტიჟული არლის ფესტივალია, რომელიც არსებული შეთანხმების შედეგად თბილისის ფოტოფესტივალს თავისი პროგრამის საუკეთესო ნაწილს აწვდის. შესაბამისად, თბილისელებს და ფესტივალის სტუმრებს მსოფლიოს წამყვანი ფოტოგრაფების, ცნობილი სააგენტოების და საერთაშორისო პერიოდიკული გამოცემების მიერ მომზადებული უახლესი ფოტოპროდუქციის ნახვის უნიკალური შანსი ეძლევათ. „ფოტოგრაფიის ღამის“ პროგრამა ცნობილი ფოტოგრაფების ნამუშევრების გარდა, ქართველი, სამხრეთ კავკასიელი, უკრაინელი, რუსი, ეგვიპტელი, ერაყელი ფოტოგრაფების სლაიდშოუების ხილვის შესაძლებლობასაც მისცემს ფესტივალის სტუმრებს, რომელიც უკანასკნელი 4 წლის მანძილზე „ფოტოგრაფიის ღამის“ მეშვეობით ასობით ცნობილი ფოტოგრაფის ნამუშევარს ეცნობა ერთი ღამის განმავლობაში, – აღნიშნავს თიკა ლაღიძე.

„თბილისი ფოტოფესტივალი 2013“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით გაიმართება. ფესტივალის პარტნიორთა შორის კი არიან არლის საერთაშორისო ფოტოფესტივალი, „ნეშენალ ჯეოგრაფიკ“ საქართველო, საფრანგეთის საელჩო საქართველოში, ევროპის სახლი, ლიტერატურის მუზეუმი, ეროვნული მუზეუმი, მწერალთა სახლი. „თბილისის ფოტოგრაფიის ღამის“ მთავარი პარტნიორია თბილისის მერია, რომლის სრული ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერითაც იმართება თბილისის ფოტო ფესტივალის ეს ცენტრალური ღონისძიება.

– „ფოტოგრაფიის ღამე“ არლის ფესტივალის ერთ-ერთი ცენტრალური ღონისძიების ქართული ვერსიაა. მისი თბილისში ჩატარება არლის ფესტივალსა და თბილისის ფოტო ფესტივალს შორის არსებული პარტნიორობის საფუძველზე გახდა შესაძლებელი. ტრადიციულად ფოტო ჩვენებები ღია ცის ქვეშ, ფესტივალის გახსნის კვირეულის შაბათ ღამეს იმართება ძველ თბილისში. 2013 წელს „ფოტოგრაფიის ღამე“ შაბათს გაიმართება 21.30-დან 03.00-მდე. „ფოტოგრაფიის ღამე“ თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ყველაზე ხალხმრავალი ღონისძიებაა. ერთი ღამის განმავლობაში იგი დაახლოებით 20 000-მდე მაყურებელს უყრის თავს.

თბილისის ფოტოგრაფიის ღამე არლის ფესტივალის მიერ მოწოდებული მსოფლიოს წამყვანი ფოტო სააგენტოების, ფოტო კოლექტივების და პერიოდიკული გამოცემების საუკეთესო ფოტოგრაფიულ პროდუქციას აერთიანებს; რაც თბილისელ მაყურებელს და თბილისის ფოტოფესტივალის სტუმრებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს ძველ თბილისში – აბანოთუბნიდან გუდიაშვილის ბაღამდე, ღია ცის ქვეშ დამონტაჟებულ 10 ეკრანზე ერთი ღამის განმავლობაში იხილონ მსოფლიოს საუკეთესო და უახლესი ფოტოგრაფიული პროდუქცია. არლის ფესტივალის მიერ მოწოდებული მასალის გარდა თბილისის ფოტოგრაფიის ღამე ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, უკრაინელი, რუსი, თურქი, ირანელი, ავღანელი და ერაყელი ფოტოგრაფების ნამუშევრებსაც აერთიანებს.

თბილისის ფოტოფესტივალის პროგრამა უკვე სრულად არის გაწერილი: 28 მაისს აბანოთუბანში ლეღვთახევში იუსტინა მელნიკევიჩი, დანა პოპა, ნევშა თავაქოლიანი წარმოადგენენ „ტრანსგრესია I: მამაკაცის მომავალი...“ ამავე დღეს ევროპის სახლში პეპ ბონეტ, ესტელ ბარერი წარმოადგენენ ტრანსგრესია II: „თი“, 31 მაისს დაგეგმილია შეხვედრა თომას დვორჟაკთან მწერლის სახლში და მოეწყობა პროექტის პრეზენტაცია, პირველ ივნისს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში ფოტოგრაფი რობ ჰონსტრასი მოაწყობს დისკუსიას და სლაიდ შოუს და წარმოადგენს ფოტოპროექტს „ზი სოჩი პროჯექტი“, ანტუან დაგატა გუდიაშვილის ბაღში ყოფილ კაფეში „პურ პური“ წარმოადგენს პროექტს „ვორტექსი“, რომელსაც ფოტოგრაფიის ღამე ღია ცის ქვეშ დაგვირგვინებს, 2 ივნისს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში გაიმართება შეხვედრა ელის გაბრინერთან, ჟურნალის „ნეშენალ ჯეოგრაპიკის“ (ვაშინგტონი) უფროს ფოტორედაქტორთან, რომელიც დამსწრე საზოგადოებასთან მოაწყობს დისკუსიასა და სლაიდშოუს. ამავე დღეს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში ფესტივალის ფარგლებში ანდრეა ბრუსი, თომას დვორჟაკი, ოლგა კრავეცი, მარია მორინა, მარია პლოტნიკოვა, მარია ტურჩენკოვა, ოქსანა იუშკო წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს, რომლებიც გაერთიანდა სახელწოდებაში „ომი და თამაშები: ჩრდილოეთ კავკასია დღეს“, 2 ივნისის საფესტივალო პროგრამას დაასრულებს პროექტი „ნურის“ ბგერები გუდიაშვილის ბაღში. წარმოდგენილი იქნება სლაიდშოუ და ცოცხალი მუსიკა ალიქსანდრა ფაზინას, ნინა ბერმანის, პეპ ბონეს, სტენლი გრინის, იური კოზირევის, კადირ ვან ლოჰუიზენის, ჯონ ლოვენშტეინის, ფრანჩესკო ზიზოლას ფოტოების ჩვენებით და ცოცხალი მუსიკალური აკომპანიმენტის თანხლებით ხოსე ბაუტისტას შესრულებით.

წლევანდელი თბილისის ფოტოფესტივალის ბოლო დღეს მწერალთა სახლში ნეშენალ ჯეოგრაფიკის (ვაშინგტონი) უფროსი ფოტორედაქტორი ელის გაბრინერი ფოტოსამყაროთი დაინტერესებულ საზოგადოებას შესთავაზებს პროექტს „პორტფოლიო რევიუ“, ხოლო ფესტივალს 4 ივნისს დახურავს გურამ წიბახაშვილი და მისი პროექტი „ზღვარზე: საქართველო 1986-2000“, რომელსაც თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა) უმასპინძლებს.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მუსულმანთა სასულიერო მოსამართლე; 2. საყანედ გაკაფული ტყის ზოლი; 3. სამღებრო ძველ თბილისში; 4. პატარა მდინარე, ნაკადული; 5. თბილისელი სახალხო მკურნალი, დასტაქარი; 6. ემილ ზოლას რომანი; 7. გემის სამზარეულო; 10. პოპულარული არომატული მატონიზირებელი სასმელი; 11. სახელმწიფო ევროპაში; 12. მონასტერი რაჭაში; 13. ტბა თბილისში; 16. მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 18. ძველი დროის დამახასიათებელი ნიშნები; 19. ცხარე საწებელა; 21. რეგულარული შემოსავალი უძრავი ქონებიდან; 24. თვითმფრინავთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი ინგლისში.

თარაზულად: 1. უძველესი ქართული ხალხური სანახაობითი თამაში-წარმოდგენა; 3. სხივურ-კვანტური გენერატორი; 8. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 9. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 14. შვიდდღიური; 15. კომბინაცია პრეფერანსში; 17. ცხენების ჯოგი; 20. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 22. ზოდიაქოს ნიშანი; 23. საფრანგეთში ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ათდღიანი კვირის სახელწოდება; 25. კედელზე საკიდი ელექტროსანათი მოწყობილობა; 26. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი; 27. ქალაქის ტიპის დასახლება; 28. მთავარი მოედანი მუსულმანური ქვეყნების ქალაქებში.

შეადგინა თ.ბოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ბალზაკი; 5. კრავი; 7. კონდახი; 9. აფთიაქი; 10. ვახშამი; 13. ნალტობი; 14. ბანანი; 15. მონა; 19. პანდორა; 20. იპოდრომი; 21. დოგმატიკა; 22. პიკაპი.

შვეულად: 1. ბაყაყი; 2. ზოგიში; 3. კომბოსტო; 4. ახმახი; 6. ვიდიკონი; 8. იქედნე; 11. კარამელი; 12. მონარქი; 16. კოლიო; 17. აპაში; 18. კოკნი.

სკანვორდის პასუხები:

1. იანსენი; 2. რეგრესია; 3. გარმონი; 4. რეგრესი; 5, რანდა; 6. ანილინი; 7. ანეტო; 8. სკა; 9. ტრინიდადი; 10. ია; 11. ილიონი; 12. კამენა; 13. სპირტი; 14. ილი; 15. ალოე; 16. ჩარლი; 17. აბაჟური; 18. კრავი; 19. ალეკ; 20. კასრი; 21. ალ; 22. ვანინი; 23. დებიტორი; 24. მაგია; 25. აბი; 26. არია; 27. კუ; 28. კაგორი; 29. ელი; 30. კაბუკი; 31. ალბომი.

სურათებზე: კორტნი ლავი; კირან რიჩარდსონი.

ამერიკის მართლმადიდებელი საქართველო

დასაწყისი მე-7 გვერდზე

რომ მანჰეტენზე, მეორე საკათედრო ტაძარში არის პატარა ეკლესია და თუ გინდა დაგეხმარები, იქ რომ დროდადრო ქართველებისთვის წირვა ჩაატაროო.

ეს იდეა, ჯერ კიდევ სტუდენტობისას დამიჯდა ჭკუაში, მაგრამ მაშინ ამისთვის საჭირო ფინანსები არ აღმომაჩნდა. როცა სემინარია დავამთავრე, იმ პერიოდში ნიუ-იორკის მთავარი ეპისკოპოსი მამა პეტრე იყო, წარმოშობით ფრანგი. მას ჩემთან ძალიან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. სწორედ მამა პეტრემ შემომთავაზა, დავრჩენილიყავი კიდევ ერთი წელი და დამპირდა, რომ დამნიშნავდა ერთ – ერთ ეკლესიაში. მე დარჩენა გეგმაში არ მქონდა, საქართველოში დაბრუნება და ჩემი საქმიანობის გაგრძელება მინდოდა. ამის შესახებ უწმინდესს ვესაუბრე და მისი კურთხევით გადაწყდა, რომ ისევ დავრჩენილიყავი. ეს იყო 1991 წელი. ამ დროს საქართველოში ჩამოაგდეს გამსახურდიას მთავრობა, რასაც დიდი არეულობა მოჰყვა. შემდეგ დაიწყო ომი აფხაზეთში. ამ ყველაფერმა და იმან, რომ ჩემი შვილები ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, გადამაწყვეტინა კიდევ დავრჩენილიყავი გარკვეული დროით ამერიკაში. ამ დროს დავიწყე ფიქრი ქართული ეკლესიის გახსნაზე, ვინაიდან მხოლოდ ამით ექნებოდა აზრი და გამართლება ჩემს აქ ყოფნას.

1992 წლის სექტემბრიდან დავიწყე წირვა-ლოცვის ჩატარება ქართველებისთვის, მეორე ავენიუზე საკათედრო ტაძარში. ეს 11 წელიწადი გაგრძელდა. თვეში ერთჯერ ან ორჯერ ვატარებდი წირვას და ერთხელ პარაკლისს. ასე მოვუყარე თავი ქართველების გარკვეულ ნაწილს ეკლესიაში. მახსოვს პირველად 25 ადამიანი მოვიდა. ეს კარგის მაჩვენებელი იყო, ვინაიდან მაშინ აქ სულ 100 ქართველი თუ იქნებოდა. იყო უამრავი პრობლემები, ხან მგალობლები არ გვყავდა, ხან მედავითნე არ იყო და ხან მრევლი ვერ ახერხებდა მოსვლას. ხანდახან წირვაზე 2-3 ადამიანი იდგა ხოლმე. მიუხედავად ამისა წირვა-ლოცვის ჩატარება არ შეწყვეტია იმ იმედით, რომ ხვალ უკეთესობა იქნებოდა. ამასობაში საცხოვრებლად დასავლეთ პენსილვანიაში გადავედი, სადაც 4 წლის განმავლობაში ვმსახურობდი. ნიუ-იორკში წირვის ჩასატარებლად თვეში მხოლოდ ერთხელ ჩამოვდიოდი.

– მიუხედავად სიძნელეებისა, თქვენ შეიძინეთ შენობა, რომლის კაპიტალურ რემონტს დიდი თანხები დასჭირდა. ვისი თანადგომით მოახერხეთ ეს?

– ამ საქმეში ჩვენი მრევლისა და კეთილი ადამიანების ღვაწლი უდიდესია. ეს არის საკმაოდ დიდი შენობა, სადაც გარდა ეკლესიისა, იქნება დიდი დარბაზი სხვადასხვა ღონისძიებებისთვის, გვექნება საკლასო ოთახები საკვირაო სკოლისთვის, შეიძლება სკოლამ სხვა დღეებშიც იფუნქციონიროს. შენობის სარდაფში გვაქვს დიდი ფართობი, სადაც სხვადასხვა წრეებისთვის ოთახებს მოვაწყობთ. ასე, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენია. თანადგომას კი ამ ეტაპზეც ვსაჭიროებთ. რაც შეეხება დამხმარე პიროვნებებს – არიან კეთილი ადამიანები.

– ნიუ-იორკის გარდა, თქვენი მოღვაწეობის დროს დაარსდა ქართული ეკლესიები ფილადელფიაში, ჩიკაგოში და პენსილვანიაში

– ფილადელფიაში ამ საქმეში დიდი წვლილი არ მაქვს შეტანილი. მე რაც გავაკეთე იყო ის, რომ სანამ მოძღვარს გამოგზავნიდნენ, ჩავედი და მრევლს შევხვდი. დაახლოებით 40 ადამიანი იქნებოდა. ავირჩიეთ დროებითი საბჭო და მივეცი რჩევები, თუ რა უნდა გაეკეთებინათ. მინდა ვთქვა, რომ მათ ყველაფერი კარგად წარმართეს. პენსილვანიის მონასტრის შეძენაში მართლაც მიმიძღვის წვლილი. როცა მეუფე დიმიტრი ამერიკაში პირველად ჩამობრძანდა, მას მოვახსენე, რომ პენსილვანიაში იყიდებოდა ეკლესია 100 000 დოლარად. როცა მეუფე საქართველოში დაბრუნდა, ეს პატრიარქს აცნობა. უწმინდეს ეს აზრი ძალიან მოეწონა, მომცეს კურთხევა და დამლოცეს, რომ ამ ტაძრის შესაძენად ყველაფერი გამეკეთებინა, მაგრამ ახლა ყველაზე მთავარი – თანხა იყო მოსაძებნი. ამისთვის დავუკავშირდი ღაშა დარბაიძეს, რომელიც ნიუ-იორკში, ერთ-ერთ სერიოზულ კომპანიაში მოღვაწეობს. უნდა აღვნიშნო, რომ ამ კათოლიკური ეკლესიის გაყიდვის შესახებ პირველად სწორედ მისგან შევიტყვე. მან შემომთავაზა, რომ ეს ტაძარი ერთობლივი ძალებით გვეყიდა. თვითონ კი დამპირდა, რომ 40 000 დოლარს გაიღებდა.

შესაგროვებელი დარჩა 60 000 დოლარი. შემდეგ კი, ისე მოხდა, რომ გამოჩნდა სხვა ეკლესიაც, რომელიც იმავე ფასად – 100 000 დოლარად იყიდებოდა. ჩვენ წავედით მოლაპარაკებაზე და საბოლოოდ 65 000 დოლარზე შევთანხმდით. მე დავურეკე რამდენიმე პიროვნებას და მათი დახმარებით დარჩენილი 25 000 დოლარიც შეგროვდა და ტაძარიც შევიძინეთ. სწორედ ესაა დღეს, დავით აღმაშენებლის სახელობის ქართული მონასტერი პენსილვანიის შტატში -პოკონოში.

– მამაო, ანალოგიური მიზნით კანადაშიც იყავით ჩასული

– კანადაში ვიყავი და მრევლს შევხვდი. ვისაუბრეთ გზებზე, როგორ უნდა გაეხსნათ ტაძარი. სამჯერ ვიყავი ჩასული, ვიხდიდი პარაკლისებს, ვკითხულობდი ქადაგებებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იქ იდეალური პირობები იყო ეკლესიის გასახსნელად შექმნილი. კარგი კი ის იყო, რომ ბევრი ქართველი იყო მსურველი იმისა, ტაძარი ჰქონოდათ. ამის შემდეგ კანადაში ჩავიდა ქართველი მოძღვარი მამა პავლე, რომელიც ამჟამად მსახურობს და ქართული ეკლესიის გახსნაზე მუშაობს.

– მამაო, რა სირთულეები ახლავს მოძღვრის ფუნქციას ამ ქვეყანაში და არის თუ არა იგი განსხვავებული მოძღვრის ფუნქციისგან ჩვენს სამშობლოში?

– რა თქმა უნდა ძალიან განსხვავებულია. ეს სხვა ქვეყანაა, სხვა წესებით და კანონებით. კანონების ცოდნა კი ამ ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანია და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მისი დაცვა. საქართველოში ეკლესიის შეძენა მოძღვრის საზრუნავს არ წარმოადგენს, იქ არც მრევლის პრობლემაა. აქ, კი მოგეხსენებათ, როგორი ცხოვრებაა, ცდუნებაც ძალიან დიდია. ბევრს გზა-კვალი აერია, ბევრმა, ვინც საქართველოში ეკლესიაში დადიოდა და აღმსარებელი იყო, აქ რატომღაც პასუხისმგებლობა მოიხსნა, ვითომ უცხო ქვეყანაში ღმერთი და მოძღვარი აღარ გვჭირდებოდეს. ჩვენი მრევლის დაახლოებით 70% ის ხალხია, ვინც ეკლესიაში სიარული პირველად აქ დაიწყო.

მადლობა უფალს, ჩვენი მრევლის უკმაყოფილო არასოდეს ვყოფილვარ. უფლის წყალობაა, რომ მრევლი მყავს, უფლის წყალობაა, რომ ქართული ეკლესია გვაქვს. ჩვენს ხალხთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ამერიკაში. მოგეხსენებათ აქ არის რუსული ეკლესიები, რომლებიც მრევლის სიმცირეს განიცდიან, მით უფრო, რომ ტერიტორიულად, რუსულ ეკლესიებში მისვლა უფრო მოსახერხებელია და რაოდენობრივადაც ისინი მეტნი არიან.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსები ამერიკაში 100 წელზე მეტი ხნის წინ ცხოვრობდნენ. იმ დროისთვის მათ უკვე ჰქონდათ თავისი ეკლესიები. ამ საქმეს იმპერატორი ნიკოლოზი აფინანსებდა. სწორედ ამ დაფინანსების საშუალებით მოხდა რუსული ეკლესია-მონასტრების აშენება და ამოქმედება. რევოლუციის შემდეგ რუსებს ახალი არაფერი არ აუშენებიათ, რაც აშენდა, სულ ძველმა თაობამ გააკეთა. აქ რუსული დიასპორის 3-4 თაობაა, ჩვენ კი ჯერ პირველი თაობა ვართ.

– ჩვენს ქვეყანაში აღზრდის ათასწლეულების გამოცდილებაა, რაც სარწმუნოებას და ეროვნულ ტრადიციებს უკავშირდება. როგორ ფიქრობთ უცხოეთში მყოფი ქართველები შეეძლებთ ეროვნულობის და ტრადიციების შენარჩუნებას?

– საერთოდ ქართველებს, უცხოეთში ცხოვრების გამოცდილება არ გვაქვს. მაგალითად სომხებს, რუსებს, ბერძნებს და ებრაელებს ამის დიდი გამოცდილება გააჩნიათ. მათ გამომუშავებული აქვთ უცხოეთში ცხოვრების იმუნიტეტი, რაც ძალიან ეხმარებათ ენის და ეროვნულობის შენარჩუნებაში. სამწუხაროდ ქართველებს ეს იმუნიტეტი ჯერ არ გაგვაჩნია და იმედია ეკლესიები სწორედ რომ ამ იმუნიტეტის წარმოშობას შეუწყობს ხელს. იმედია, რომ ჩვენ აქ დარჩენა დიდხანს არ მოგვიწევს. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ეს კიდევ 50 წელი გაგრძელდეს. მაგალითად იტალიელებიდან იშვიათად ნახავთ ვინმეს, რომ იტალიურად ლაპარაკობდეს. ეს ალბათ კანონზომიერიცაა – რაღაც დროის შემდეგ დაკარგო ენა და ეროვნულობა. მართალია ეროვნულობას უფრო ინარჩუნებ, მაგრამ ენას მაინც დაკარგავ. ამ საფრთხის წინაშე, თუ აქ დიდხანს დავრჩებით, ქართველებიც დადგებიან. უფლის იმედი მაქვს, რომ ეს ასე არ მოხდება.

– მამა ალექსანდრე, ამერიკა არის ქვეყანა, სადაც ადამიანი დგას ძალიან დიდი საცდურისა და საფრთხის წინაშე, რომ ჭაობში ჩაიძიროს

– ქრისტიანი ყველგან ქრისტიანი უნდა იყოს, არ აქვს მნიშვნელობა რომელ ქვეყანაში ცხოვრობს ის. საერთოდ კი ქრისტიანების ცხოვრება განსაცდელებითაა სავსე. მე ვერ ვიტყოდი, რომ ამერიკა ისეთი ქვეყანაა, სადაც ყველა ცოდვის ჭაობში იძირება, თუმცა ცდუნება ძალიან დიდია. ამ მხრივ არც სხვა ქვეყნები ჩამორჩებიან. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკას ამ მხრივ ევროპა კიდევაც უსწრებს. სამწუხაროდ, არც საქართველოა გამონაკლისი. ეს არა მარტო ამერიკის, არამედ გლობალური პრობლემაა. ქრისტიანმა კი ისე უნდა იცხოვროს, რომ ამ ჭაობში არ აითქვიოს.

– ახერხებს თუ არა მამა ალექსანდრე თავისი შვილებისთვის ქართული სულისკვეთების შენარჩუნებას, რადგან ისინი მაინც ამერიკაში დაბადებულები და გაზრდილები არიან

– სამი შვილი მყავს, ორი გოგოდა და ერთი ბიჭი. უფროსები 20 და 19 წლისები არიან, ბიჭი კი 15-ისაა. მეუღლე ამჟამად სახლშია და შვილებს უვლის. რა თქმა უნდა ვცდილობთ ქართული სულისკვეთებით გავზარდოთ ისინი, თუმცა არ დაგიმალავთ და ეს ცოტა რთულია. მათ არ უწევთ ქართველ ბავშვებთან შეხება, მაგრამ ეს ყველაფერი გამოსწორებადია, რადგან ჩვენ უკვე ჩვენი ტაძარი გვაქვს.

ხოლო ის, რომ აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ – გარდაუვალია. თუ დიდხანს დავრჩებით, როგორც ქართველები დავიკარგებით. ჩვენ კი დასაკარგი ერთი ადამიანიც არ გვყავს. ჩვენს შემდეგ მეორე თაობამ შეიძლება კიდევ გაუძლოს, მაგრამ მესამე თაობა უკვე ვეღარ იქართველებს. საქართველოში რაც ადრე გამოსწორდება მდგომარეობა, მით უკეთესი იქნება. მოწოდებები კი კარგია, მაგრამ, რაღაც რეალური სჭირდება ამ ხალხს, რომ უკან დაბრუნდეს. მე რამდენიმე თვის წინ ვიყავი საქართველოში, ბევრი რამეა შეცვლილი და გალამაზებული, თუმცა ეს საკმარისი არ არის. ვიმედოვნებ მდგომარეობა ეკონომიკურადაც გამოსწორდება.

– რამეს ხომ არ გაიხსენებთ თქვენი პარაკლისების მადლმოსილების შესახებ

– ჩემს გადახდილს კი არა, საერთოდ პარაკლისს აქვს დიდი მადლი, ვინც არ უნდა გადაიხადოს ის. თუმცა, აქვე ვიტყოდი, რომ გულმოდგინე დამოკიდებულება ყველა საქმისადმი და მით უფრო ლოცვისადმი, უფლისაგან შესმენილი ინება. იყო ასეთი შემთხვევა, როცა უშვილო ცოლ-ქმარს პარაკლისის გადახდის შემდეგ შვილი შეეძინათ. ერთხელ ერთი ქალბატონი მოვიდა ჩემთან, რომელიც 6 თვე ეძებდა სამსახურს და პარაკლისის გადახდა მთხოვა. ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი ხატი ,,შენ ხარ ვენახის“ ღვთისმშობლისა, რომელიც მამა არჩილ მინდიაშვილმა გამოგვიგზავნა. ეს ხატი ძალიან მიყვარს და პარაკლისს მასთან ვიხდი ხოლმე. ამ ქალბატონსაც ამ ხატთან გადავუხადე და პარაკლისის დამთავრებიდან 5 წუთიც კი არ იყო გასული, რომ დაურეკეს და სამსახურის შესახებ აცნობეს. ღვთისმშობელმა შეისმინა ჩვენი თხოვნა და დაეხმარა მას. სამწუხარო კი ის არის, რომ ამის შემდეგ ის ქალბატონი ტაძარში აღარ მინახავს.

ლელა ჭელიძე

„ნიუსპრესის“ ამერიკის ბიურო

სამგლოვიარო განცხადებები

დედა მარინა ბიკაშვილი, მეუღლე თემურ მინაშვილი, დეიდა ნუნუკა ბიკაშვილი, მამიდა ბელა ბაკაშვილი, კობა ამირხანაშვილი, თამაზ ძნელაძე ოჯახებით, ნათესავები, მეგობრები, ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანა ბაკაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი: 28, 29 მაისს, 17 საათზე, ალ. ჭავჭავაძის ქუჩა

9, 30 მაისს, 13 საათზე საბურთალოს ამაღლების ეკლესიაში.

გამოსვენება: 30 მაისს, 15 საათზე, ამავე ეკლესიიდან.

ონის რაიონის სოფელ მრავალძალის მკვიდრნი სხირტლაძეები და იობაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი

ელგუჯა გურგენის ძე სხირტლაძე

სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახსა და ხატიკაცებს.

გულიკო, მიშა, პაატა, მარიამ, ზაზა ქავთარიები, ლულუ, ნელი მენთეშაშვილები, ქეთინო რამიშვილი იუწყებიან უახლოესი მეგობრების, ბესიკ და შოთა ვეშაპიძეების დედის, ქალბატონ

ელენე ნანუაშვილი-ვეშაპიძის

გარდაცვალებას.

ლალი მარუაშვილი, შალვა, ეკა, გიორგი, მარიამ მშვილდაძეები იუწყებიან მეგობრის დედის, ქალბატონ

ელენე ვეშაპიძის

გარდაცვალებას.

ნოდარ ტაბიძე, თენგიზ მდივანი, ნოდარ ჩიბალაშვილი, აკაკი სიხარულიძე, ჯენეტო ჭანტურაია იუწყებიან მეგობრის, ბესარიონ ვეშაპიძის დედის, ქალბატონ

ელენე ვეშაპიძის

გარდაცვალებას.

გივი სანაძე, ტარიელ ლოლაძე ოჯახებით იუწყებიან მეგობრის, ბესიკ ვეშაპიძის დედის, ქალბატონ

ელენე ვეშაპიძის

გარდაცვალებას.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

სამშაბათი 28 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** „ჩვენი დილა„ (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30** „მოამბე„ **11.00** „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) **12.45** „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** „დღეს ორის ნახევარზე„ **15.00** ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ **17.00** დ/ფ „ისლანდიის ვულკანის მორიგი ამოფრქვევა„ **18.00** „პეპე და მეგობრები„ **19.05** ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება„ **21.00** ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ **22.00** „აქცენტები„ **23.30** მხ/ფ „საგანგებო ექსტრადიცია„ (რ. უიზერსპუნტი) **01.50** დ/ფ „ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) **09.00** „თავისუფალი ტრიბუნა„ **10.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00** „ბრიფინგის დრო„ **11.00** დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 4 ნაწ. **14.00** ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 27-ე სერ. **16.00** დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 5 ნაწ. **19.00** „თავისუფალი ტრიბუნა„ **22.00** „არგუმენტების დრო„ **00.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. „დაუვიწყარი„ **11.20** სერ. „მაფიის ძვრივი„ **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კონცერტი: „ორერა" 1 ნაწილი (გ/ჩ) **16.00** სერ. „დამალული სიმართლე„ **17.50** სერ. „მაგნატები„ **18.50** სერ. „აკრძალული სიყვარული„ **21.00** სერ. „მარტოსული„ **22.00** ახალი საბავშვო ხმა (პ/ე) ფინალი **00.15** მხ/ფ „მე დევიდი ვარ„ (ჯ.კავიზელი) **02.00** მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. „სიყვარული მფლობელია„ **11.00** სერ. „იდუმალი ძალა„ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** „შუა დღე„ **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. „ვნების უფსკრული„ **18.45** სერ. „ცრემლების გვირგვინი„ **20.05** სერ. „ერთგულების ძალა„ **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია. **23.30** სერ. „ბრიმი„ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.15** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **06.40** სპექტაკლი - „ბნელ ოთახში„ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** „განთიადი„ **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.00, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული სწავლება **10.50** საუბრები ლიტერატურაზე **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ „სანამ წვიმა გადივლიდეს„ **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **16.00** კონცერტი - კ. პევზნერის საღამო **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩემი ქვეყანა **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ჩვენი ბიბლიოთეკა **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.40** ღირსი ასურელი მამა პიროს ბრეთელი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.45** კარაბადინი **02.10** ირაო

მაესტრო **7.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00, 14.30, 17.30, 22.20, 0.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50, 23.00, 3.30** თოქ-შოუ — „პოლიტმეტრი„ **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** „პრეს-პრესი„ (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ **19.00** სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.30** „ყოველდღიური აბები„ **1.00, 3.00** ახალი ამბები

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6350
- ევრო — 2,1206
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4736
- 100 რუსული რუბლი — 5,2209

ამინდის პროგნოზი 28 მაისისთვის

25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

ასტროპროგნოზი 28 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

ვერძი — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. **ქალწული** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **ღრიანკალი** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, პრობლემები აღარ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მშვენიერი დღეა, იაქტიურეთ. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი პოზიცია დააფიქსირეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი

შვეულად: 1. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 2. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული გასართობი თავსატეხის შემქმნელი; 3. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ჯიხვების ჯოგი; 6. ჰოლანდიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელი; 8. საფრანგეთის პრეზიდენტი; 11. კუჭქვეშა ჯირკვალი; 13. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული საშობაო კერძი ინგლისში; 14. მომთაბარე არაბი; 15. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 19. მცირე ალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი.

თარაზულად: 1. წყალბადის იზოტოპი „მძიმე წყალი“; 4. სამთო-კლიმატური კურორტი საქართველოში; 7. კენიის დედაქალაქი; 9. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 10. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 12. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ყველაზე დიდი ჩანჩქერი აფრიკაში; 17. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულებას ადგენენ მტკიცების გზით; 18. ვაშლის ქართული ჯიში; 20. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 21. მაღალი განმავლობის მსუბუქი ავტომობილი; 22. სპილენძის შენადნობი ნიკელთან.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ნიკოლოზ ანდრიაძემ მედალი გარდაცვლილ მეუღლეს მიუძღვნა

იტალიის ქალაქ ტეჩნში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ვეტერან მოფარიკავეთა შორის, 1963 ნლის მსოფლიო ჩემპიონმა ახალგაზრდებს შორის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა – ნიკოლოზ ანდრიაძემ 70 ნლის და უფროსი ასაკის ვეტერანთა შორის ხაპრიოთ ფარიკაობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ტურნირში 11 ქვეყნის 21 მოფარიკავე მონაწილეობდა – ანდრიაძემ ჯგუფში 5 მოწინააღმდეგე დაამარცხა და მხოლოდ 1 შეხვედრა დათმო მომავალ ევროპის ჩემპიონ, რუსეთის წარმომადგენელ გარი ავთანდილოვთან.

8 საუკეთესოში გასასვლელად ანდრიაძემ ჩეხი დომინიკ ხრენი დაამარცხა, ხოლო 4 საუკეთესოში გასასვლელად – ბრიტანელი მალკოლმ ფეირი. უმთავრესი ბრძოლა ისევ ავთანდილოვთან გადახდა, მაგრამ რუსმა მოფარიკავემ ჩვენებური ფინალამდე არ მიუშვა და ანდრიაძე მესამე ადგილს დასჯერდა.

ბატონ ნიკოლოზს იტალიიდან ჩამოსვლითანავე გავესაუბრეთ.

ნიკოლოზ ანდრიაძე:

– ვეტერანთა ტურნირებში 1992 წლიდან ვმონაწილეობ. 60-წლიანებში არაერთხელ ვიასპარეზე და მედლამდე სულ ცოტა მაკლდებოდა. იტალიაში კი, ერთდროულად ორი იუბილე აღვნიშნე – დაბადებიდან 70-ე და მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებიდან 50-ე წელი. თუმცა, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ რაპირისტთა ტურნირი ჩემი გარდაცვლილი მეუღლის, მანანა ანდრიაძის დაბადების დღეს დაემთხვა. ის ყოველთვის მგულშემატკივრობდა და ცოცხალი რომ ყოფილიყო, ვიცოდი, როგორ გაუხარდებოდა ჩემი წარმატება. სწორედ ამაზე ვფიქრობდი ბრიტანელ სპორტსმენთან შეხვედრისას, როდესაც ანგარიში 9:9 გახდა. მოგების შემთხვევაში მედალი განაღდებული მქონდა და ბოლო, გადამწყვეტი ჩხვლეტა ჩემი საფირმო შეტევით მივაყენე. მართალია, შემდეგ ფინალში გასასვლელი ბრძოლა ავთანდილოვთან წავაგე, მაგრამ მედლის მოპოვებამ ძალიან გამახარა. ცხადია, ამ მედალს ჩემს მეუღლეს ვუძღვნი. სხვათა შორის, ავთანდილოვს 2008 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვუგე და მაშინ მე-5 ადგილი დავიკავე. არა უშავს – წელს ოქტომბერში, ბულგარეთის ქალაქ ვარნაში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება და რევანშს იქ ავიღებ.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ვინ სად შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს?

ეკა ირემაშვილი

წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე გამორჩეულად და რადიკალურად განსხვავებულად აღინიშნა. ახალი მთავრობის გადაწყვეტილებით, 26 მაისს სიმბოლურად, საქართველოს 26 ქალაქში სხვადასხვა ღონისძიება დაიგეგმა.

უამინდობის გამო, დაგეგმილი ღონისძიებები სამი საათით შეფერხდა, თუმცა გამოდარებასთან ერთად, სადღესასწაულო პროგრამა სრულად ამოქმედდა. შეფერხებული ღონისძიებების პროგრამა თბილისში – რუსთაველის გამზირსა და თავისუფლების მოედანზე 15 საათისთვის ამოქმედდა, ვარკეთილის სკვერსა და გლდანის პარკში კი დაგეგმილი სახალხო დღესასწაული ნახევარი საათით გვიან დაიწყო.

როგორც კულტურის სამინისტროში განმარტეს, ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილი 26 მაისის ღონისძიებების საორგანიზაციო ჯგუფის შემადგენლობაში გაერთიანდნენ ცენტრალური ხელისუფლების, საქართველოს ყველა სამინისტროს, თბილისის მერიის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წევრები.

ღონისძიებები ჩატარდა საქართველოს 26 ქალაქში, მათ შორის, თბილისში, ქუთაისში, გორში, გარდაბანში, ფოთში, ახალქალაქში, მცხეთაში, ოზურგეთში, სენაკში, სიღნაღში, თელავში, ზუგდიდში, ბათუმში, ახალციხეში, მესტიაში, ყვარელში, ლანჩხუთში, დუშეთში, ბორჯომში, ბოლნისში, ახმეტაში, ამბროლაურში, მარნეულში, რუსთავში, საჩხერეში, ცაგერსა და წალკაში.

ქართული თეატრისა და ესტრადის წარმომადგენლებმა საქართველოს ქალაქებში გადაინაცვლეს და იქაური მცხოვრებლებისთვის საკუთარი შემოქმედება წარმოაჩინეს. 26-ვე ქალაქში საქართველოს ჰიმნი ქართული ესტრადის ცნობილმა წარმომადგენლებმა შეასრულეს.

თბილისში დაგეგმილი სადღესასწაულო პროგრამა ასე დალაგდა: ვარდების მოედანსა და საკრებულოს შენობის წინ თავდაცვის სამინისტროს ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოფენა, „საქართველოს ფოსტის წინ“ „სმარტის“ პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა და ხელოვნურ კლდეზე ცოცვა, „იმელის“ შენობის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოფენა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ – თეატრალური უნივერსიტეტის თეატრი, თოჯინების თეატრი „აწკალა“ და თოჯინების გამოფენა-გაყიდვა, მაღაზია „კარტიეს“ წინ – „თბილისური მონმარტი“, სადაც აპოლონ ქუთათელაძის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა, ასევე ძერწვა და მასტერკლასები მოეწყო. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ – სტუდენტების მიერ დოკუმენტური ფილმის გადაღება, ეტიუდების ფესტივალი, ამავე უნივერსიტეტის ფოლკლორული ანსამბლის კონცერტი, რუსთაველის თეატრის კაფე „ქიმერიონში“ ღვინის ფესტივალი და წიგნების ფესტივალი, გამოფენა-გაყიდვა, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა – ქუჩის მხატვრების გამოფენა, ქვაშვეთის ტაძრის წინ – საეკლესიო ნივთების, საპატრიარქოს ნობათის გამოფენა-გაყიდვა, დემოგრაფიული ფონდის კუთხე. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – თანამედროვე ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა, ისტორიული იარაღის გამოფენა, ლუდ „ნატახტარის“ დეგუსტაცია, გრიბოედოვის თეატრთან – სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოფენა და ტურისტული კუთხე, სიონის ქუჩაზე – ყვავილების ფესტივალი, რუსთაველის გამზირზე – ღია კაფეები, „მხიარული სტარტები“. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ჩატარდა შეჯიბრებები

გაგრძელება მე-10 გვერდზე

დავით ევგენიძე ახალ კრებულზე მუშაობს

ეკა ირემაშვილი

კომპოზიტორი დავით ევგენიძე ახალ კრებულზე მუშაობს, რომელიც მისი 55 წლის იუბილესთან დაკავშირებით სულ მალე გამოიცემა. მუსიკოსი, რომელიც თავისი შემოქმედებით საზოგადოებაში კარგად არის ცნობილი, ამჯერად პოეტის ამპლუაში წარდგება მსმენელის წინაშე.

დავით ევგენიძე რუსეთში ხუთწლიანი მოღვაწეობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო, თუმცა კავშირი თავის რუს კოლეგებთან არ გაუწყვეტია. იგი არაერთი რუსული ფილმის მუსიკალურად გამფორმებელია, მათგან რამდენიმემ საკმაოდ პრესტიჟული ჯილდოც მოიპოვა და ქართველ კომპოზიტორს დიდი აღიარება მოუტანა.

როგორც თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული:

„კომპოზიტორ დავით ევგენიძეს წელს 55 წელი უსრულდება. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით, გამოსაცემად მზადდება დავით ევგენიძის ლექსების კრებული, რომელსაც უკვე დიდი ხანია ელოდება მკითხველი. კრებულს ექნება ორიგინალური დიზაინი და მასში შევა ათი წლის მანძილზე დაგროვებული ლექსები“.

დავით ევგენიძეს ფართო საზოგადოება იცნობს როგორც კომპოზიტორს, თუმცა მისი ლექსები პოეზიის მოყვარულებშიც საკმაოდ პოპულარული და აქტუალურია. მუსიკალურ საღამოებთან ერთად კომპოზიტორი ხშირად მართავს პოეზიის საღამოებს და მისი შემოქმედების მოყვარულებს თავის ახალ კრებულებს წარუდგენს ხოლმე.

დავით ევგენიძის ლექსები თავისებური რითმითა და შეგრძნებებით გამოირჩევა. როგორც თავად ამბობს, ორივე ჟანრში სიამოვნებით მუშაობს – პოეზიაშიც და მუსიკაშიც. ყველაზე ხშირად მაინც მუსიკალურ საღამოებს აწყობს, რადგან მისთვის მუსიკა ერთ-ერთი უმთავრესი მაცოცხლებელი ძალაა. ერთ-ერთი ბოლო კონცერტი მან 5 მაისს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ახალგაზრდა და ნიჭიერ მუსიკოსებთან ერთად გამართა.

ცნობილია, რომ მუსიკით არიან გატაცებული დავით ევგენიძის შვილები. მისი გოგონა ლიკა ევგენიძე, რომელიც ახლა ამერიკაშია და გასულ სატელევიზიო სეზონზე რუსთავი ორზე გადაცემა „შუა დღის“ წამყვანი იყო, თბილისის ივენთ ჰოლში ჩატარებულ მამის ერთ-ერთ საღამოზეც ამღერდა და შეკრებილი მსმენელის მოწონებაც დაიმსახურა. სიმღერა უყვარს კომპოზიტორის მეორე ქალიშვილსაც, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს. კომპოზიტორს დიდი სურვილი აქვს, რომ თავისი შვილები შეკრიბოს, გააერთიანოს და მათთან ერთად მუსიკისა და პოეზიის სამყაროში თავდაუზოგავად იმოგზაუროს.

როდის იქნება კომპოზიტორისა და პოეტის 55 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული გამოსაცემად მზად და როდის გაიმართება მისი პრეზენტაცია, ჯერჯერობით უცნობია.